www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ხუთშაბათი, 10 ივლისი, 2003 წელი. №187 (399) ფასი 30 თეთრი


## ქართველი სპიკერის ევროპული პოსტი

თამარ ხორბალაძე

*საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე ვიცე-პრეზიდენტად მეორე ვადით აირჩიეს. იგი ამ მოვალეობას 3 წლის განმავლობაში შეასრულებს. ვიცე-პრეზიდენტის სამ ადგილს ერთმანეთს 6 კანდიდატი ეცილებოდა. საგულისხმოა, რომ ნინო ბურჯანაძემ მიღებული ხმების რაოდენობით პირველი ადგილი დაიკავა. "24 საათი" გუშინ ქალბატონ ნინოს როტერდამში დაუკავშირდა:*

- ეს სერიოზული წარმატებაა პირადად ჩემთვისაც და, რაც მთავარია, საქართველოსთვის. ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტობა პარალელურად ამ ორგანიზაციის ბიუროს წევრობას და მუდმივმოქმედი კომიტეტის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ნიშნავს, რაც, რა თქმა უნდა, ზრდის უმნიშვნელოვანესი პრობლემების დაყენებისა და წინ წამოწევის შანსებს.

**- სესიაზე აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით გამოხვედით. აპირებს თუ არა ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეა ამ მიმართულებით მუშაობის გააქტიურებას?**

- გახსოვთ, რომ აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით ასამბლეაში სპეციალური საპარლამენტო ჯგუფის შექმნა მოვახერხეთ, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა ეუთო-ს საპარლამენტო ისტორიაში. ჩვენი დელეგაცია, საერთო აღიარებით, ყველაზე აქტიური დელეგაციაა. მოვახერხეთ ისიც, რომ აფხაზეთის მცხოვრებთათვის მოქალაქეობის მინიჭების საკითხი ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის საგანგებო მჯელობის საგანი გახდა: მოიწვიეს ბიუროს ორი და დამატებითი მუდმივმოქმედი კომიტეტის ერთი სხდომა; საპარლამენტო ასამბლეაზე კი 40 წუთი იხილებოდა აფხაზეთის საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ იგი დღის წესრიგში არ იყო შეტანილი.

წელს სპეციალური რეზოლუციის მიღება პროცედურული პრობლემების გამო ვერ მოხერხდა. თუმცა, მეორე მხრივ, მივაღწიეთ იმას, რომ სპეციალური ჯგუფის ხელმძღვანელმა მოხსენება წარმოადგინა ამ ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებით და მიმართა კითხვა-მოთხოვნით ეუთო-ს ხელმძღვანელს, რომელიც ამ ეტაპზე ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრია. კითხვაზე, არის თუ არა რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება და რკინიგზის გახსნა რუსეთის მიერ აფხაზეთში საქართველოს სუვერენიტეტის უხეშად დარღვევა და

გაგრძელება A3 გვერდზე

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 35 | |
| ბათუმი | 38 | |
| ქუთაისი | 39 | |
| თელავი | 37 | |
| სოხუმი | 39 | |
| ფოთი | 28 | |
| თელავი | 27 | |
| ზუგდიდი | 31 | |
| გორი | 26 | |
| ახმეტა | 27 | |
| ჭიათურა | 29 | |
| გაგრა | 28 | |
| სამტრედია | 30 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1500 |
| ევრო | 2.4891 |
| გირვანქა სტერლ | 3.5750 |
| რუბლი | 0.0708 |

# ქართველი პარლამენტარების თხოვნა-საჩივრები ევროკავშირს

გიორგი ასანიშვილი

*2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებზე დასავლეთი სულ უფრო „ამკვეთრებს ფოკუსს":*
*თბილისში ლამის ყოველდღე ჩამოდიან დელეგაციები, რომლებიც ინტერესდებიან ყველაფრით, რაც კი საარჩევნო თემატიკას უკავშირდება. ჯეიმს ბეიკერის კვალდაკვალ, საქართველოს დედაქალაქს ეწვივნენ ევროსაბჭოსა და ეუთო-ს წარმომადგენლები, გუშინ კი, ქართულ პოლიტიკურ ელიტასთან შეხვედრები გამართა ევროკავშირის დელეგაციამ. სამუშაო დღის უმეტესი ნაწილი სტუმრებმა საქართველოს პარლამენტში გაატარეს, სადაც ისინი დახურულ კარს მიღმა პარლამენტის ვიცე-სპიკერს გიგი წერეთელს და საპარლამენტო ფრაქციათა ლიდერებს შეხვდნენ.*

გაგრძელება A3 გვერდზე


ზაურ გულუაშვილის ფოტო

*საქართველოში ევროპული სტრუქტურების ნამდვილი კვირეულია.*

## „ჩვენ დაინტერესებულნი ვართ საქართველოს მომავლით„

აცხადებს ევროსაბჭოს დელეგაცია

*"ევროსაბჭოს სპეციალური კომიტეტი კარგა ხანია ელოდება ანგარიშს იმის შესახებ, თუ რა ხდება საქართველოში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით. „თავის დროზე კომიტეტმა გამოაგზავნა რეკომენდაციები. ჩვენ არ მიგვიღია არც რაიმე პასუხი და არც დაპირება, რომ ეს რეკომენდაციები შესრულდება. ამჟამინდელი ვიზიტისას საქართველოს მთავრობა დაგვპირდა, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას დაიწყებს. ჩვენ ამ პროცესს დაწყებულად მაშინ ჩავთვლით, როცა დავინახავთ, რომ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა," – განაცხადა პრესასთან შეხვედრისას ევროსაბჭოს დელეგაციის წარმომადგენელმა, შვეიცარიის ელჩმა ევროსაბჭოში ჟან-კლოდ ჟოზეფმა.*

ვერიკო თევზაძე

ვიზიტის მიზანი იყო, რომ დელეგაცია გარკვეულიყო, როგორი მდგომარეობაა საქართველოში დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით. მომავალი საპარლამენტო არჩევნები, სამართალდამცავ ორგანოთა რეფორმა და კანონთა აღსრულება, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა - ეს სამი ძირითადი საკითხი წარმოადგენდა ევროსაბჭოს ინტერესთა სფეროს. ევროპის საბჭოს დელეგაცია შეხვდა პრეზიდენტ შევარდნაძეს, საქართველოს პარლამენტს.

ამერიკის ყოფილი სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის ვიზიტის შემდეგ ევროსაბჭოს აინტერესებდა საქართველოს

გაგრძელება A3 გვერდზე

## საგარეო ვალები ქვეყნის ბიუჯეტს ორჯერ აღემატება

1 ივლისისათვის სახელმწიფო და სახელმწიფოს გარანტიით აღებული ვალი შემცირდა და შეადგენს 1.80 მილიარდ აშშ დოლარს ანუ 3.81 მილიარდ ლარს. აქედან სახელმწიფო საგარეო ვალი 1.71 მილიარდი აშშ დოლარია, ხოლო სახელმწიფოს გარანტიით აღებული კრედიტები, კი 90,1 მილიონი აშშ დოლარი.

ივნისში სახელმწიფო და სახელმწიფოს გარანტიით აღებული ვალი შემცირდა 14 მილიონი დოლარით და თითქმის 100 მილიონი ლარით, თვის ბოლოს ლარის კურსის განმტკიცების გამო.

ზაფხულის პირველ თვეს დაიფარა უზბეკეთის ვალის ძირითადი თანხის ნაწილი 50.1 ათასი აშშ დოლარის ოდენობით და, შესაბამისად, შემცირდა საგარეო ვალი უზბეკეთის მიმართ. ივნისშივე დაიფარა უკრაინის ვალის ძირითადი თანხის ნაწილი 45.7 ათასი აშშ დოლარის ოდენობით და, შესაბამისად, შემცირდა საგარეო ვალი უკრაინის მიმართ. დაიფარა ავსტრიის ვალის ძირითადი თანხის ნაწილი 68.2 ათასი ევროს ოდენობით და, შესაბამისად, შემცირდა საგარეო ვალი ავსტრიის მიმართ. იმავდროულად, თვის ბოლოს დოლარისა და ლარის კურსების განმტკიცების გამო ავსტრიის ვალი კიდევ მეტად შემცირდა.

დამატებითი თანხების ათვისების გამო, კრედიტის ვალუტაში – ევროში გაიზარდა საგარეო ვალი გერმანიის მიმართ, თუმცა იმავდროულად, თვის ბოლოს დოლარისა და ლარის კურსების განმტკიცების გამო საგარეო ვალი გერმანიის მიმართ შემცირდა. დამატებითი თანხების ათვისების გამო გაიზარდა საგარეო ვალი იაპონიის მიმართ. მცირე რაოდენობით დამატებითი თანხების ათვისების გამო, კრედიტის ვალუტაში – კუვეიტურ დინარებში გაიზარდა საგარეო ვალი კუვეიტის მიმართ, მაგრამ იმავდროულად, თვის ბოლოს დოლარისა და ლარის კურსების განმტკიცების გამო შემცირდა საგარეო ვალი კუვეიტის მიმართ.

დამატებითი თანხების ათვისების გამო გაიზარდა საგარეო ვალი მსოფლიო ბანკის მიმართ. დოლარისა და ლარის კურსების განმტკიცების გამო შემცირდა საგარეო ვალი ევროკავშირის მიმართ. ეროვნული ბანკის მიერ დაიფარა საერთაშორისო სავალუტო ფონდის სესხის ძირითადი თანხის ნაწილი და შესაბამისად შემცირდა საგარეო ვალი სსფ-ს მიმართ.

დოლარისა და ლარის კურსების განმტკიცების გამო შემცირდა სახელმწიფოს გარანტიით აღებული ვალი. სულ ივნისში, ადრე შეთანხმებული კრედიტებიდან და გრანტებიდან, დამატებით იქნა ათვისებული 4.2 მილიონი აშშ დოლარი.

ზემოთ აღნიშნულის გარდა, ივნისში ბიუჯეტიდან დაიფარა უცხოური კრედიტების საპროცენტო გადასახადი 10.78 მილიონი ლარის ოდენობით და საქონელის და მომსახურების მიწოდებით დაიფარა საჯარიმო საპროცენტო გადასახადი თურქმენეთის მიმართ 4.73 მილიონი ლარის ოდენობით.

***საკონსულტაციო ფირმა „დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"***

## "ყაზბეგი" ერაყის ბაზარზე გადის

კომპანია "ყაზბეგმა" პირველი ქართული საექსპორტო პროდუქცია გაგზავნა ერაყში. გუშინ თბილისისა და რუსთავის ქარხნებში ორი კონტეინერი დაიტვირთა, რომლებმაც ერაყში 45 ათასი ბოთლი ლუდი და ამდენივე "ცივი ჩაი" უნდა ჩაიტანოს. ერაყში ოთხი სახეობის "ცივი ჩაი" და ერთი სახეობის ლუდი გაიგზავნა. როგორც კომპანიის წარმომადგენელი აცხადებს, "ყაზბეგმა" კონტრაქტს თურქულ ფირმა "ტეტასთან" მოაწერა ხელი. კონტრაქტი გრძელვადიანია და მისი ღირებულება 20 ათას ამერიკულ დოლარს შეადგენს. როგორც გაირკვა, "ტეტა" ყოველთვიურად საქართველოდან 15 ტრაილერ ლუდს და ამდენივე "ცივ ჩაის" წაიღებს. თითოეულ ტრაილერს 45 ათასი ბოთლის გადატანა შეუძლია.

კომპანია "ყაზბეგი" თავის საექსპორტო გეოგრაფიას აფართოებს და აზერბაიჯანის, რუსეთის, შუა აზიის, უკრაინის ბაზრების შემდეგ აშშ-ს ბაზარზე შესვლასაც გეგმავს. მომავალ კვირაში უკვე ამერიკაში გასაგზავნი პროდუქცია დაიტვირთება, საწყის ეტაპზე ექსპორტის მოცულობა 32 ათასი ბოთლი იქნება.

***24 საათი***


ლევან ხერხეულიძის ფოტო

*"ყაზბეგის" პროდუქცია ერაყში მიმავალ ტრაილერებზე იტვირთება.*

## რატომ დააკონსერვეს ესპანელ ბიზნესმენთა საქმის გამოძიება

*ყოფილმა მძევლებმა ქართველი სამართალდამცველების მიერ ნაჩვენებ ფოტოებზე ამოიცნეს ადამიანები, რომლებიც მათ გატაცებაში მონაწილეობდნენ. გარდა კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებისა, ესპანელმა მოწმეებმა "ხელი დაადეს" ყოფილ ქართველ მაღალჩინოსნებსაც.*

*თბილისში ჩამოსულ ესპანელთა ოჯახის წევრებს სასტუმრო "ლონდონში" ძალოვანი უწყების ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირი შეხვდა და გატაცებულთა ახლობლებს წვრილმანი ხარჯებისთვის 50 ათასი დოლარი მოსთხოვა.*

*ესპანელ ბიზნესმენთა გატაცების გამო ატეხილი საერთაშორისო სკანდალი იმით დასრულდა, რომ ესპანეთის შს მინისტრი ქართველ კოლეგას ჯერ ტელეფონით ესაუბრა, შემდეგ კი ესპანეთის პრემიერ-მინისტრის დავალებით საქართველოში არაოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა.*

ინგა ალავიძე

***"ზუსტად ვიცით, რომ პანკისის ხეობაში დიდი და კარგად ორგანიზებული მაფია მოქმედებს. ჩვენი გამტაცებლები ამ ორგანიზაციის რიგითი წევრები იყვნენ. ასევე გავიგეთ ისიც, რომ პანკისი სხვა ქვეყანაა, რომელსაც არც პრეზიდენტი ჰყავს და არც სხვა მმართველი. ჩვენ საქართველოში ჩვენება არ მიგვიცია, რადგან პოლიციისა და საქართველოს მთავრობის შიშით ვერაფერი განვაცხადეთ,"*** *– ესპანელ ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადეს 373-დღიანი მძევლობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულმა ესპანელმა ბიზნესმენებმა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, საქართველოს ხელისუფლებისადმი და სამართალდამცველი სტრუქტურებისადმი ესპანელთა უნდობლობას საკმაოდ სერიოზული საფუძველი ჰქონდა.*

გაგრძელება A3 გვერდზე

## გატაცებული თურქი საქართველოში ხე-ტყის ბიზნესს ეწეოდა

კიდევ რამდენი ადამიანი გაიტაცეს ბოლო ხანებში საქართველოში

სოფიკო ჩხაიძე

საქართველოში ადამიანების გატაცებათა სერია გრძელდება. გამტაცებელთა მორიგი მსხვერპლი თურქეთის მოქალაქე, საქართველოში ხე-ტყის ბიზნესით დაკავებული აირენ ნეკი დიკი გახდა. იგი ზუგდიდში, პოლიციის განყოფილების სიახლოვეს გაიტაცეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 26 წლის თურქი ბიზნესმენი უკვე 2 თვეა საქართველოში, კერძოდ, ზუგდიდში იმყოფება. სწორედ იქ აპირებდა იგი ხე-ტყის გადამამუშავებელი საამქროს ამუშავებას. როგორც შევიტყვეთ, საამქროში უკვე დანადგარების დამონტაჟების პროცესი მიმდინარეობდა და უახლოეს მომავალში მუშაობა უნდა დაეწყოთ. აირენ ნეკი დიკის მიერ საქართველოში წამოწყებული საქმიანობის წარმატებულობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ცოტა ხნის წინათ ბიზნესმენმა საქართველოში დაასახლა თავისი მშობლებიც.

გაგრძელება A2 გვერდზე

## „ხალხი გაიგებს, რატომ მოკლეს გიორგი სანაია„

მოსამართლემ მკვლელობის პოლიტიკური მოტივი გამორიცხა, დანარჩენი კი უმნიშვნელოდ მიიჩნია

სოფიკო ჩხაიძე

*გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ნანა გუგუნიშვილმა დაუდგენლად მიიჩნია ჟურნალისტ გიორგი სანაიას მკვლელობის მოტივი, თუმცა პოლიტიკური მიზნებით მკვლელობა გამორიცხა. მკვლელობის მოტივის დადგენის გარეშე მოსამართლემ გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებულ გრიგოლ ხურცილავას განაჩენი, სხვა დანაშაულებთან ერთად, განზრახ ჩადენილი მკვლელობისთვის გამოუტანა და 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.*

გაგრძელება A4 გვერდზე

## გლებ პავლოვსკი: „კავკასიაში არჩევნები ელექტორალურ პროგნოზს არ ემორჩილება„

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

*რუსეთში მოახლოებული საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების წინ თავის შეხედულებებს გვიზიარებს რუსეთის ეფექტური პოლიტიკის ფონდის პრეზიდენტი გლებ პავლოვსკი.*

**- რუსეთში საპარლამენტო არჩევნებამდე ჩეჩნეთში არჩევნებია გადასატანი. როგორ ფიქრობთ, ჩატარდება საერთოდ ეს არჩევნები და რა შედეგებს უნდა ველოდოთ?**

- ყველაზე მეტად იმის პროგნოზი მიჭირს, რა შეიძლება მოხდეს ხვალ ჩეჩნეთში. კავკასიის საარჩევნო კამპანიების გამოცდილებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ იქ არსებობს გარკვეული კანონზომიერება - ნებისმიერი არჩევნები, საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო, საერთოდ არავითარ ელექტორალურ პროგნოზს არ ემორჩილება. ეს კავკასიაა და მორჩა, ამით ყველაფერია ნათქვამი. ჩეჩნეთში არჩევნების შედეგები პირდაპირ დამოკიდებული იქნება ჩეჩნური საზოგადოების შიგნით არსებული დაჯგუფებების, მეტნაკლებად წონადი საზოგადოებრივი ძალების გარიგების შედეგებზე.

გაგრძელება A5 გვერდზე


A2 ამბები A3 ამბები A4 ამბები A5 ამბები A6 სპორტი A7 რევიუ A8 სხვადასხვა

# გატაცებული თურქი საქართველოში ხე-ტყის ბიზნესს ეწეოდა

პირველი გვერდიდან

გატაცება დილის 10-ის ნახევარზე მოხდა. ქუჩაში ფეხით მიმავალ თურქს უცხოური მარკის ავტომანქანა წამოეწია, საიდანაც სამი შეიარაღებული ნიღბიანი პირი გადმოვიდა და მსხვერპლი მანქანაში ძალით ჩასვა. მანქანა აფხაზეთის მოსაზღვრე სოფლის - შამგონას მიმართულებით წავიდა.

**"გადაიყვანეს თუ არა გატაცებული აფხაზეთის ტერიტორიაზე, ჯერჯერობით, ჩვენთვის უცნობია. ჯერ ისიც კი არ ვიცით, რა მანქანით იყვნენ ბოროტმოქმედები, "ფორდით" თუ "ოპელით" – თვითმხილველებმა ამის დაფიქსირება ვერ მოასწრეს. გამომძიებლები მუშაობენ და მალე ბევრი რამ გაირკვევა"**, - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ზუგდიდის რაიონის პროკურორმა მურთაზ ნარმანიამ.

თუმცა, დღეს უკვე შეიძლება გატაცების სავარაუდო მოტივებზე საუბარი – თურქეთის მოქალაქე ან ფულის გამოძალვის მიზნით უნდა იყოს გატაცებული, ან მისი ბიზნესი ადგილობრივთა ინტერესებს დაუპირისპირდა.

იმავე მურთაზ ნარმანიას თქმით კი, ჯერჯერობით, მოტივებზე საუბარი ნაადრევია, რადგან გამოძიებისთვის ამ ეტაპზე აირენ ნეკი დიკის არც ბიზნესპარტნიორებია ცნობილი და არც იმ პირთა წრე, რომლებთანაც გატაცებულს საქართველოში კონტაქტი ჰქონდა.

გავრცელებული ხმების თანახმად, აირენ ნეკი დიკი ერთადერთი არ გახლავთ, ვინც ბოლო ხანებში საქართველოში გაიტაცეს. საუბარია ქვემო ქართლიდან ვინმე მუმლაძისა და თბილისიდან – ბიზნესმენ მუხრან ბაგრატიონის შვილის გატაცებაზე. როგორც ამბობენ, გატაცებული მუმლაძე ქვემო ქართლში ბენზინის ბიზნესს ეწევა, მამამისი ამ ცოტა ხნის წინ იარაღის კონტრაბანდისთვის დააკავეს. მუმლაძის გატაცების შესახებ არაფერი იცის ქვემო ქართლის პროკურორმა სიმონ მაჭავარიანმა, სამხარეო პოლიციის უფროსმა ალეკო ბუკიამ კი ჩვენთან საუბარში ასეთი კომენტარი გააკეთა: **"ცოტა ხნის წინათ მუმლაძის გატაცების შესახებ ჭორის დონეზე მეც შევიტყვე, თუმცა ჩვენთვის არავის მოუმართავს, მუმლაძეები კი ჩვენ მხარეში იმდენია... კარდაკარ სიარულს და ჭორის გადამოწმებას დიდი დრო დასჭირდება".**

რაც შეეხება მუხრან ბაგრატიონის შვილის გატაცებას, ამ შემთხვევაში სამართალდამცველნი კიდევ უფრო სიტყვაძუნწნი არიან, თუმცა ფაქტის უარყოფა უჭირთ.

# ფინანსთა ექსმინისტრი ფინანსთა სამინისტროს შეეჭიდება

*გუშინ „გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ" (გსეკ) საზოგადოებას ახალი ლობისტი – საქართველოს ფინანსთა ყოფილი მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი წარუდგინა. ამიერიდან ენერგოკომპანიას საქართველოს მთავრობასთან ურთიერთობისას თუ შიდა გადაწყვეტილებების მიღებისას კონსულტაციებს საკონსულტაციო ფირმა „დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე" (DVNK) გაუწევს და „გსეკ"-ის მიზნებსა და პოლიტიკას საზოგადოებას წარუდგენს. ეს ჯგუფი „გსეკ"-ის მმართველმა საკონსულტაციო კომპანიამ „პი-ეი კონსალტინგმა" ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე შეარჩია.*

მაია ურუშაძე

უპირველეს ამოცანად, რაც „გსეკ"-მა უნდა დაისახოს მიზნად, ზურაბ ნოღაიდელს კომპანიაში წესრიგის დამყარება ესახება. მისი თქმით, ენერგოკომპანიის ფილიალების ხელმძღვანელები ადგილობრივი ხელისუფლების გავლენის ქვეშ იმყოფებიან და კომპანიამ უნდა მოახერხოს, რომ ისინი სათავო ოფისის მეთვალყურეობის ქვეშ მოაქციოს. გარდა ამისა, ნოღაიდელი კომპანიის კუთვნილი თანხების ამოღების მაჩვენებლების გაზრდაზეც საუბრობს.

მისი განცხადებით, „გსეკ" ამჟამად ენერგოსისტემის სუსტი წერტილია. **„მაგრამ ჩვენ შევეცდებით, ამერიკელ ექსპერტთა გამოცდილება ქართულ რეალობას შევუთავსოთ,** - აცხადებს ნოღაიდელი, **- ამ შემთხვევაში კომპანია შეძლებს მოსახლეობისათვის მისაღები და ენერგეტიკული სექტორისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებების მიღებას."**

ნოღაიდელი მიიჩნევს, რომ პრობლემები გამწვავებულია არა მარტო ენერგეტიკულ, არამედ მთელ ეკონომიკურ სექტორში. **„უკვე დროა, დეტალურად გაირკვეს, თუ რატომ აღმოჩნდა ქვეყანა ერთი წლის განმავლობაში სრულ ფინანსურ კრიზისსა და ქაოსში,"** – აცხადებს იგი და იმედოვნებს, რომ თავისი გამოცდილებით ქვეყნის ფინანსურ სექტორს ახალ ამპლუაში - ეკონომიკური მრჩევლის სტატუსით უფრო დაეხმარება.

ექსფინანსთა მინისტრს ფინანსთა სამინისტროსთან ურთიერთობის გარკვევაც მალე მოუწევს. პირველივე „საქმე", რომელსაც ნოღაიდელმა უნდა მოჰკიდოს ხელი, სწორედ ამ უწყებიდან მისაღებ თანხებს უკავშირდება: „გსეკ"-ი ფინანსთა სამინისტროს უკვე სთხოვს იმ 350 ათასი ლარის გადმორიცხვას, რომლითაც ლტოლვილების მიერ ივნისში მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური უნდა დაიფაროს. თუ ამ თანხამ დროულად არ მიაღწია „გსეკ"-ის ანგარიშამდე, ლტოლვილებს ელექტროენერგიის გარეშე დარჩენა ემუქრებათ.

## მოკლედ

### "ამცახარა" დღეს ვლადისლავ არძინბას უფლებამოსილების შეწყვეტას მოითხოვს

დღეს, სოხუმში, აფხაზ ვეტერან მეომართა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა "ამცახარა" თავის რიგგარეშე ყრილობაზე თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხის დაყენებას გეგმავს.

ყრილობის წინ "ამცახარას" და სამთავრობო ძალებს შორის ვითარება უკიდურესად დაიძაბა. ხელისუფლება ცდილობს, "ამცახარას" ლიდერებს გადააფიქრებინოს არძინბასთვის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხის დაყენება.

გუშინ, სოხუმში, "ამცახარას" პოლიტსაბჭოს სხდომა ჩატარდა. პოლიტსაბჭოს წევრი ვიტალი ტარნავა დარწმუნებულია, რომ ყრილობის დელეგატები არძინბასთვის საპრეზიდენტო უფლებამოსილების შეწყვეტას დაუჭერენ მხარს. **ინტერ-პრესი**

### სოხუმში სომხეთიდან ჩასახლებულებს ქართველების ბინებით აკმაყოფილებენ

ქალაქ გაგრაში ფუნქციონირებს სომხური ორგანიზაცია „მაშტოცი", რომელიც სომხეთიდან აფხაზეთში ჩასული თანამემამულეების დასაქმებაზე ზრუნავს. ამ ორგანიზაციის ცენტრალური ოფისი განთავსებულია სოხუმის მესამე საშუალო სკოლის შენობაში, რომლის დირექტორია ლევონ კრბაშიანი, ხოლო თავად ორგანიზაციას პროფესიით ექიმი სამველ დანელიანი ხელმძღვანელობს. "მაშტოცთან" აქტიურად თანამშრომლობს აფხაზური პარლამენტის, ე.წ. სახალხო კრების წევრი არზუმ ტრაპიზონიანი, რომელიც ლობირებს სომხეთიდან აფხაზეთში სომხური ოჯახების ჩასახლებას. მათ ქართველების მიტოვებულ სახლებში აბინავებენ. **მედია-ნიუსი**

### კოკოითი კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებას შეუძლებლად მიიჩნევს

ეუთო-ს გენერალური მდივნის ვიზიტი სამაჩაბლოში გუშინ საღამოს დასრულდა. იან კუბიშის და ცხინვალის ხელისუფლების ლიდერების დახურულ შეხვედრაზე სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოევმა ეუთო-ს მისიის ცხინვალის წარმომადგენლობის მიმართ გარკვეული პრეტენზიები გამოთქვა.

კოკოევმა, რომელიც კონფლიქტის ზონაში სტაბილურობის ერთადერთ გარანტად რუსეთს მიიჩნევს, განაცხადა, რომ ეუთო-ს მისიის ცხინვალის წარმომადგენლობის ხელმძღვანელები თავიანთ ფუნქციებსა და ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შექმნილ ვითარებაში ნაკლებად ერკვევიან და, აქედან გამომდინარე, ცხინვალის ხელისუფლებისგან იმგვარი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას ითხოვენ, რამაც შესაძლოა, ქართულ-ოსური კონფლიქტის რეანიმაცია გამოიწვიოს.

ამასთან, დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგებას შეუძლებლად მიიჩნევს. ეუთო-ს გენერალური მდივანი ოსური მხარის ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ ეთანხმება. იან კუბიშის განცხადებით, ეუთო-ს მისია ქართულ-ოსური კონფლიქტის მხოლოდ მშვიდობიანი გზით მოწესრიგების საკითხს განიხილავს და სხვა ალტერნატივა დღის წესრიგში არ დადგება.

ვიზიტის დასასრულს ეუთო-ს გენერალურმა მდივანმა კონფლიქტის ზონაში არსებული შერეული სამშვიდობო ძალების საგუშაგოებიც მოინახულა. კუბიშის განცხადებით, ამ ეტაპზე ეუთო ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში რაიმე ცვლილებებს არ გეგმავს და არც ახალი ინიციატივები გააჩნია. **ინტერ-პრესი**

# გადადგეს მთელი მთავრობა - მოითხოვენ „ახლები"

ლელა მჭედლიძე



"მემარჯვენეების" პოზიციის გახმოვანება ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეს დავით კოღუაშვილს დაევალა.

"ახალი მემარჯვენეები" სახელმწიფო მინისტრისა და ეკონომიკური გუნდის იმპიჩმენტს ჯერ კიდევ 2002 წლის გარღვეული ბიუჯეტის გამო ითხოვდნენ, მაგრამ ეს მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. ამჯერად "ახლები", უკვე ძალოვანი მინისტრების ჩათვლით, მთელი აღმასრულებელი ხელისუფლების გადადგომას ითხოვენ. მიზეზი ისევ საბიუჯეტო ვალდებულებების შეუსრულებლობაა. "ახალი მემარჯვენეებისთვის" უკვე მნიშვნელობა არა აქვს, რამდენად კეთილსინდისიერად შეასრულებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს აღმასრულებლი ხელისუფლება. მათი აზრით, გარდა იმისა, რომ ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდა დაუშვებელია, ისინი ხმას არც სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის 139 მილიონი ლარით შემცირებას მისცემენ.

**"ჩვენ ჯერ კიდევ კარგა ხნის წინ ვაცხადებდით, რომ ხელისუფლების მიერ წარდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტი არარეალურად იყო დაგეგმილი. განცხადება იმის შესახებ, რომ ახლა ამის გამო პასუხისმგებლობა, აღმასრულებელი ხელისუფლების გარდა, საკუთარ თავზე პარლამენტმაც უნდა აიღოს - არასწორია. თავის დროზე პასუხისმგელობა ამ ბიუჯეტის შესრულების გამო სწორედ მთავრობამ აიღო და ახლა პასუხისმგებლობას პარლამენტს და, მით უმეტეს, ჩვენ ვერავინ დაგვაკისრებს",** - "მემარჯვენეების" ამ პოზიციის გახმოვანება გუშინ ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეს დავით კოღუაშვილს დაევალა.

**"რა თქმა უნდა, ხელისუფლება ვალდებულია, რომ ხარჯვითი ნაწილი შეამციროს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა უკვე დეფოლტის წინაშე დადგება,"** -განმარტა კოღუშვილმა და დასძინა, რომ ხელისუფლებას, ბოლოს და ბოლოს, პასუხი უნდა მოეთხოვოს ბიუჯეტისადმი ასეთი უდიერი დამოკიდებულების გამო. საამისოდ მხოლოდ "ახლების" გაცხარება არ არის საკმარისი. იმისთვის, რომ მოთხოვნა აღმასრულებელი ხელისუფლების გადაყენების შესახებ მეტ-ნაკლებად საფუძვლიანი გახდეს, უფრო მეტი პოლიტიკური ძალის აქტიურობაა საჭირო. როგორც კოღუაშვილმა განაცხადა, "ახალ მემარჯვენეებს" საამისოდ მეტ-ნაკლებად თანამოაზრე პარტიებთან საგანგებო კონსულტაციები არ გაუმართავთ. **"თუ ვინმე ჩვენს პოზიციას და შეხედულებას გაიზიარებს, წინააღმდეგნი არ ვიქნებით",** - ამბობს კოღუაშვილი.

# ბიუჯეტი დამატებით სეკვესტრს ვერ ასცდება

*პრეზიდენტი შევარდნაძე დღეს მოაწერს ხელს ნორმატიულ აქტს, რომელშიც განსაზღვრულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის სამახსოვრო ჩანაწერით გათვალისწინებული თითოეული უწყების ვალდებულებები და დეტალურადაა გაწერილი ჩამოსაჭრელი თანხების ოდენობა. გუშინ პრეზიდენტთან ეკონომიკური გუნდისა და ძალოვანი მინისტრების დაგეგმილი შეხვედრა ჩაიშალა. მინისტრები სახელმწიფო მინისტრის კაბინეტში შეიკრიბნენ. მთავრობისა და სსფ-ს გადაწყვეტილებით, ძალოვან უწყებებს 20 მილიონი ლარით შეეკვეცათ ხარჯები, რამაც ძალოვანი მინისტრების უკმაყოფილება გამოიწვია. საერთაშორისო სავალუტო ფონდის სამახსოვრო ჩანაწერს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი საგანგებო პრესკონფერენციით გამოეხმაურა და სსფ-ს რეკომენდაციებს "ორმხრივი ილუზიებით გაჟღენთილი მემორანდუმი" უწოდა.*

სოფიკო ოხანაშვილი

**"ჩვენს მთავრობას რომ დაკარგული აქვს რეალობის შეგრძნება, ეს უკვე დიდი ხნის ამბავია, მაგრამ სსფ-საც თუ ასეთი არარეალური ხედვა ჰქონდა, ეს ჩემთვის ძალიან მოულოდნელი აღმოჩნდა",** - განაცხადა გოცირიძემ. მისი გათვლებით, ასეთი არარეალური მიდგომისა და გაანგარიშების გამო სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციით 135 მილიონი ლარით უნდა შეიკვეცოს, მეორე სეკვესტრისთვისაა განწირული.

პრესკონფერენციაზე საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელმა ჟურნალისტებს "დამატებითი სეკვესტრის" ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარი გააცნო. ოპტიმისტური სცენარით, 2003 წლის ბოლომდე სახელმწიფო ბიუჯეტს საბაჟო დეპარტამენტის, სოციალური უზრუნველყოფის ფონდის, საგზაო ფონდის, არასაგადასახადო შემოსავლებისა და საგადასახადო დეპარტამენტის კუთხით კიდევ 35 მილიონი ლარი დააკლდება, ხოლო პესიმისტური სცენარით - წლის ბოლოს საჭირო გახდება ბიუჯეტის 50 მილიონი ლარით შემცირება.

გოცირიძემ იმ ღონისძიებებზეც ისაუბრა, რომლებიც საბიუჯეტო გარღვევას დაფარავენ. სავალუტო ფონდის რეკომენდაციით, 2003 წლის დარჩენილ 6 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი შემოსავლები 38,3 მილიონი ლარით უნდა გაიზარდოს. აქედან 23,3 მილიონი ლარი - საგადასახადო შემოსავლების ზრდაზე, 15 მილიონი ლარი კი საბიუჯეტო ორგანიზაციების სპეცსახსრების ბიუჯეტში მობილიზებაზე მოდის.

ფონდის რეკომენდაციით, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 95,5 მილიონი ლარით შემცირდება; მათ შორის - ძალოვან სტრუქტურებს დაფინანსება 20 მილიონი ლარით შეუმცირდებათ, კულტურულ პროგრამებს – 1,5 მილიონი ლარით, ჯანდაცვის პროგრამებს – 6,5 მილიონი ლარით, სოფლის მეურნეობის პროგრამებს – 4,4 მილიონი ლარით, 8 მილიონი ლარით შემცირდება ტრანსფერტები ადგილობრივ ბიუჯეტში, საბიუჯეტო ორგანიზაციების არაძირითადი ხარჯების შემცირება 13,5 მილიონი ლარით არის დაგეგმილი. ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელები უკმაყოფილებას გამოთქვამენ და აცხადებენ, რომ მათი სტრუქტურებისთვის დაფინანსების შემცირება მრავალი პრობლემის გამომწვევი მიზეზი გახდება. **"ისედაც დეფიციტურია ჩვენი ბიუჯეტი, შემცირებით სერიოზული პრობლემები შეგვექმნება",** - ასეთია შინაგან საქმეთა მინისტრის კობა ნარჩემაშვილის შეფასება.

ფინანსთა მინისტრის მირიან გოგიაშვილის განცხადებით, კვირის ბოლოს ბიუჯეტის კორექტირების პროექტი უკვე პარლამენტში შევა. **"135 მილიონი ლარი არ არის ბიუჯეტის 10 პროცენტი ე.ი. საქმე გვაქვს არა სეკვესტრთან, არამედ კორექტირებასთან, ამიტომ თუ საკანონმდებლო ორგანო დიდ წინააღმდეგობას გაგვიწევს, სამინისტროს მის გარეშეც აქვს გადაწყვეტილების მიღების უფლება, მაგრამ ჩვენ არ გვინდა, ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება პარლამენტის გარეშე მივიღოთ",** - განაცხადა ფინანსთა მინისტრმა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის კორექტირების პროექტის პარლამენტთან შეთანხმება სავალუტო ფონდის ერთ-ერთი მოთხოვნაა და არა ფინანსთა სამინისტროს სურვილი.

საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი კი დარწმუნებულია, რომ ბიუჯეტის კორექტირების ამ პროექტს პარლამენტი მხარს არ დაუჭერს. ამით კი მთავრობას მიეცემა საშუალება სსფ-სთან გაფუჭებული ურთიერთობები პარლამენტს და ოპოზიციას დააბრალოს. რეალურად კი, გოცირიძის აზრით, პროექტის წინააღმდეგ ის მაჟორიტარი დეპუტატები გამოვლენ, რომლებმაც ბიუჯეტს ხმა სწორედ ამ კონკრეტული თანხების გამო მისცეს. გოცირიძე არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა, ბიუჯეტის კორექტირების პროექტი მაჟორიტარებსა და მთავრობას შორის "ვაჭრობის საგანი" გახდეს. **"მაჟორიტარები ასე ადვილად არ შეეგუებიან ამდენი წვალების შემდეგ მოპოვებული თანხების დაკარგვას. ერთადერთი მიზეზი, რის გამოც შესაძლოა, მათ მხარი დაუჭირონ ამ პროექტს, საარჩევნო სიაში მოხვედრა იქნება",** - განაცხადა გოცირიძემ.

ბიუჯეტის 135-მილიონიანი შემცირება, ელექტროენეგიის ტარიფის კორექტირება, ივლისის თვის ბიუჯეტის შესრულება, საგადასახადო კოდექსის გამარტივება, დავალიანებების დაგროვების შეწყვეტა, მიმდინარე დავალიანებების დაფარვა და ძველი დავალიანებების გასტუმრების გეგმის შემუშავება – ეს ის რეკომენდაციებია, რომელიც საქართველოს მთავრობამ 15 აგვისტომდე უნდა განახორციელოს. საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელის განმარტებით კი, **"15 აგვისტომდე მთავრობას ვალდებულებები, ძირითადად, ქაღალდზე აქვს შესასრულებელი. მან საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ხასიათის ცვლილებები უნდა განახორციელოს".** გოცირიძის შეფასებით, სსფ ასეთი გადაწყვეტილებით საქართველოს მთავრობასთან კიდევ ერთ დათმობაზე წავიდა.

# „თბილგაზს" რომ გაზი „ჰაერში არ გაეპაროს"

მაია ურუშაძე

სააქციო საზოგადოება „ინჟმშენმა" დაიწყო „თბილგაზის" რეაბილიტაციისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი 4,2 მილიონი ლარის ათვისება. ამ სამუშაოების ოპერატორად ეს კომპანია სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ 26 მაისს, ტენდერის საფუძველზე შეარჩია.

კომპანიამ „თბილგაზის" ქსელის გადაუდებელი რეაბილიტაციის პროგრამა ნოემბრის ბოლომდე უნდა დაასრულოს. გადაუდებელ სამუშაოთა რიგში თბილისის გაზგამანაწილებელ სისტემაში წნევების დარეგულირება და მაგისტრალური ქსელის რეაბილიტაციაც შედის; იგეგმება გლდანის გაზიფიცირებაც. გარდა ამისა, იმისათვის, რომ „ჰაერში ნაკლები გაზი გაიპაროს", მტკვრის ორივე სანაპიროზე მრიცხველები დამონტაჟდება.

ჯერჯერობით, „ინჟმშენი", „თბილგაზის" სპეციალისტებთან ერთად, კონკრეტულ სამოქმედო გეგმას ამუშავებს, რაც ათ დღეს გასტანს. „თბილგაზის" ტექნიკური დირექტორის თენგიზ არშილავას განცხადებით, „ინჟმშენი" თურქეთიდან მალე პოლიეთილენის მილებს შემოიტანს, რომლითაც ქსელის რეაბილიტაცია განხორციელდება. „24 საათის" ხელთ არსებული ინფორმაციით, ამ პროცესში ჩართულია „ახალი მენეჯმენტიც", რომელიც „თბილგაზში" მართვის უფლებით უნდა შევიდეს.

რაც შეეხება „თბილგაზის" სრულფასოვანი რეაბილიტაციის ხუთწლიან პროექტს, რომლის ფარგლებშიც ეს სამუშაოები უნდა ჩატარდეს, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს შეფასებით, ის 17 მილიონი ლარი დაჯდება. შეგახსენებთ, რომ 2003 წლის ბიუჯეტის დამტკიცების წინ სამინისტრომ პროექტის დაფინანსებისათვის ამ თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინება მოითხოვა, რასაც დიდი ხმაური მოჰყვა. პარლამენტარებისათვის გაუგებარი აღმოჩნდა, თუ რატომ უნდა მიეცა ბიუჯეტს თანხები ორგანიზაციისთვის, რომლის მართვის უფლებით გაცემა უკვე გადაწყვეტილი იყო. მიუხედავად ამისა, მთავრობამ სოციალურად მტკივნეული სექტორის უყურადღებოდ დატოვება ვერ გარისკა და, საბოლოოდ, ბიუჯეტში „თბილგაზის" რეაბილიტაციისათვის 4,2 მილიონი ლარი გაითვალისწინა.

# სტუდენტები პრაქტიკას „კოკა-კოლაში" გაივლიან

სოფიკო ოხანაშვილი

"კოკა-კოლამ" ახალი პროგრამის - სტუდენტების საზაფხულო 8-10 კვირიანი პრაქტიკის უზუნველყოფის განხორციელება დაიწყო. "კოკა-კოლაში" ყოველწლიურად 50 წარჩინებული სტუდენტი გაივლის პრაქტიკას. **„ამერიკაში, უკვე დიდი ხანია, სტუდენტები ყოველ ზაფხულს "კოკა-კოლაში" პრაქტიკას გადიან, ჩვენც გვინდა, რომ "კოკა-კოლაში" რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა დასაქმდეს. უმრავლესობა, ვინც ჩვენს ქარხანაში მუშაობს, 30 წლამდეა",** - განაცხადა "კოკა-კოლას" საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა სოფო ჭყონიამ.

წელს "კოკა-კოლას" ხელმძღვანელობის წინადადებას ახალი პროგრამის ამოქმედების შესახებ მხოლოდ ტექნიკური უნივერსიტეტის ექვსი ფაკულტეტი (ქიმიის და ბიოტექნოლოგიური, ეკონომიკის, კვების მრეწველობის მენეჯმენტი და სხვა) გამოეხმაურა. სტუდენტები პრაქტიკას სპეციალობის შესაბამისად გაივლიან. სტუდენტები, ჯგუფებად განაწილდებიან.



"კოკა-კოლა" პრაქტიკანტ სტუდენტებს მასპინძლობს.

თითოეულ ჯგუფს ეყოლება ხელმძღვანელი, რომელიც პრაქტიკის დამთავრების შემდეგ, სტუდენტების მუშაობას შეაფასებს. პრაქტიკის განმავლობაში აქტიური სტუდენტები წამახალისებელ პრემიას მიიღებენ. წარჩინებულ სტუდენტებს კი ეძლევათ შანსი, სამუშაოდ "კოკა-კოლაში" დარჩნენ.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** დღეს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესია "აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების მიმდინარე ეტაპზე შექმნილ საგანგაშო ვითარებას და ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლების ამოცანებს" განიხილავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი ბათიაშვილის პროგნოზით, მომავალ პარლამენტში ოთხი პოლიტიკური სუბიექტი - "ლეიბორისტული (შრომის) პარტია", "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატიული ფრონტი", სახელისუფლებო ბლოკი "ახალი საქართველოსთვის" და "დემოკრატიული აღორძინების კავშირი" იქნებიან წარმოდგენილნი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზი ჟურნალისტები აპროტესტებენ სატელევიზიო მაუწყებლობაზე არძინბას რეჟიმის „სახელმწიფო" მონოპოლიას, რომელიც 1995 წლიდან შემოიღეს. ამ პროტესტს მხარი დაუჭირა სეპარატისტთა პარლამენტმა (ე.წ. სახალხო კრებამ). სახალხო კრების სპიკერის ნუგზარ აშუბას დაპირებით, საკანონმდებლო" ორგანო ახლო მომავალში აპირებს პირველი მოსმენით მიიღოს კანონი "მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ოფიციალური თბილისი აცხადებს, რომ გუშინ დედაქალაქის თავზე ნატო-ს მზვერავი თვითმფრინავის "ავაქსის" საჩვენებელი ფრენა მოსკოვმა მშვიდად უნდა აღიქვას. ნატო-ს ადრეული გაფრთხილებისა და კონტროლის საჰაერო ძალების სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი იოჰან დორა მზვერავი თვითმფრინავით "ბოინგ-ავაქსი" თბილისს სამშაბათს ოფიციალური ვიზიტით ეწვია. მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ,საქართველოს "ავაქსის" მომსახურებით სარგებლობა ნატო-ში შესვლის შემდეგ შეეძლება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ახმეტა.** პანკისში მცხოვრებ ჩეჩენ ლტოლვილებს მესამე ქვეყანაში გადასვლის იმედი გაუჩნდათ. დღეს გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ახმეტის ოფისში ჩეჩენ ლტოლვილებთან გასაუბრება დაიწყო. ჩეჩნები იმედოვნებენ, რომ გასაუბრების შემდეგ გაერო მათთვის რეალურ ქვეყანას გამოძებნის. "ყველაზე სასურველ ქვეყნად" ჩეჩენ ლტოლვილებს ამერიკა ესახებათ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ თურქეთ-საბერძნეთის საზღვარზე, ედირნეს პროვინციაში თურქმა მესაზღვრეებმა საქართველოს ათი მოქალაქე დააკავეს, რომლებიც საბერძნეთის ტერიტორიაზე არალეგალურად შეღწევას ცდილობდნენ. როგორც ანატოლიის სააგენტო იუწყება, ყველა დაკავებული ედირნეს პროვინციის უშიშროების სამმართველოს გადაეცა. უკეთეს შემთხვევაში მათ სამშობლოში გამოაძევებენ, უარეს შემთხვევაში კი ისინი შესაძლოა, საზღვარზე არალეგალური გადასვლის მცდელობისთვის გაასამართლონ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** იუსტიციის მინისტრის როლანდ გილიგაშვილის განცხადებით, სასჯელაღსრულების დაწესებულებათა ხელმძღვანელებს მითითება მიეცათ, პატიმართა გაქცევის მცდელობის შემთხვევაში მოხდეს მათი ლიკვიდაცია. ამას ითვალისწინებს „პატიმრობის შესახებ" კანონი, თუმცა ზოგიერთი გუშაგი გაქცეულ პატიმარს ინდობს და არ ესვრის. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სისხლის სამართლის კოდექსში ტრეფიკინგის მუხლის დამატების შესახებ კანონი ძალაში დღეიდან შედის. ტრეფიკინგის ყველაზე მძიმე ფორმად მიჩნეულია დანაშაული, რომელიც ჩადენილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ და დანაშაული, რომელსაც მოჰყვა დაზარალებულის სიკვდილი ან სხვა მძიმე შედეგი. ამ შემთხვევაში დამნაშავეს 12-დან 20 წლამდე პატიმრობა ელის. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ძებნის სამმართველოსა და სხვა შესაბამისი სამსახურების თანამშრომლებმა ხაშურში დააკავეს მკვლელობისათვის აჭარის შს სამინისტროს მიერ ძებნილი, 38 წლის ზაურ მესხიძე, რომელმაც 1998 წლის 24 თებერვალს, ქობულეთში ავტომატიდან გასროლით მოკლა ვინმე მაჯელიძე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის 26-ე პოლიკლინიკის ექიმებმა გუშინ დახმარებისთვის ქალაქის მერს ვანო ზოდელავას მიმართეს. ექიმები ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის სატენდერო კომისიის მიერ მომზადებული პროექტის გაუქმებას ითხოვენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მედიკოსთა პროფკავშირის "სოლიდარობის" წარმომადგენლები მოითხოვენ, სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელი ორგანოს - სამეთვალყურეო საბჭოს წევრები თავად დაწესებულებების კოლექტივებმა აირჩიონ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "თბილწყალკანალი" და შპს "ჟინერი" შეთანხმდნენ, რომ წყლის მარაგის შევსებამდე, ჟინვალჰესი ელექტროენერგიის გამომუშავებას შეამცირებს და წყლის უმეტეს ნაწილს დედაქალაქის სასმელი წყლით უზრუნველსაყოფად მიმართავს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ზაარბრიუკენმა თბილისის სოციალურად დაუცველი და ქუჩის ბავშვების პრობლემების მოგვარების მიზნით 800 ათასი ევრო გამოყო. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ბათუმის ტერმინალი საქართველოს რკინიგზას უჩივის

სოფიკო ოხანაშვილი

გუშინ, 12 საათიდან, "ნავთტრანს ლიმითედის" შვილობილმა კომპანიამ "ბათუმის ნავთობის ტერმინალმა" და "ალეგრატრანსმა", რომელიც ტერმინალის მარკეტინგულ საკითხებს განაგებს, საქართველოს რკინიგზასთან არსებული პრობლემების დაურეგულირებლობის გამო ბათუმის ტერმინალში ვაგონების ჩამოტვირთვა შეწყვიტეს. "ნავთტრანს ლიმითედის" დირექტორის მარკ როუზეს განცხადებით, კომპანია გადაწყვეტილებას არ შეცვლის მანამ, სანამ "საქართველოს რკინიგზასთან" არ გაფორმდება პირდაპირი ხელშეკრულება.

გუშინვე "ალეგრატრანსმა" უზენაეს სასამართლოში "საქართველოს რკინიგზის" წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა. საქმე ისაა, რომ წლების განმავლობაში საქართველოს რკინიგზა "ალეგრატრანსს" პირდაპირი ხელშეკრულების გაფორმებაზე უარს ეუბნებოდა. "ალეგრატრანსმა" ახლა ამ პრობლემის მოგვარება სასამართლოს გზით გადაწყვიტა.

"ალეგრატრანსისა" და "საქართველოს რკინიგზის" უთანხმოება მხოლოდ ამით არ ამოიწურება. "საქართველოს რკინიგზამ" „ალეგრატრანსს" საქართველოს უზენაეს სასამართლოში ნავთობტერმინალში ვაგონების შეყოვნების გამო უჩივლა. 16 ივნისის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, "ბათუმის ტერმინალს" 12 მილიონი ლარის ოდენობის ჯარიმა დაეკისრა. ტერმინალის აღმასრულებელი დირექტორის ოლეგ ვოსტრუკოვის განცხადებით, ისინი არ აღიარებენ ამ ჯარიმას და არც მის გადახდას აპირებენ. მისივე თქმით, მათთვის გაუგებარია, რის საფუძველზე ითხოვს "საქართველოს რკინიგზა" თანხის გადახდას, რადგან ტერმინალს არნაირი ვალდებულება არ გააჩნია "საქართველოს რკინიგზის" მიმართ. **"ამ ეტაპზე ჩვენ ვუცდით, როდის მივიღებთ განაჩენს, რომ უკეთ გავერკვეთ, რის საფუძველზე დაგვაკისრეს ჯარიმა. შემდეგ კი აუცილებლად გავასაჩივრებთ სასამართლოს გადაწყვეტილებას",** - განაცხადა ვოსტრუკოვმა.

# „ჩვენ დაინტერესებულნი ვართ საქართველოს მომავლით"

პირველი გვერდიდან

ხელისუფლების და ქვეყანაში მოქმედი სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების დამოკიდებულება ბეიკერის დოკუმენტისადმი. ევროსაბჭოს დელეგაციის შთაბეჭდილება ასეთია: **"ზოგადად, პარტიების უმრავლესობა მხარს უჭერს ამ კომპრომისულ დოკუმენტს. არსებობენ გამონაკლისებიც, მაგრამ ასეთი პარტიების რიცხვი მცირეა."**

ევროსაბჭოს ელჩების პრესასთან შეხვედრისას ჟან კლოდ ჟოზეფმა განაცხადა, რომ ნავარაუდევია ევროსაბჭოსა და ეუთო-ს დამკვირვებლებისგან შემდგარი ერთობლივი ჯგუფების გამოგზავნა 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებზე.

**"საარჩევნო კომისიის დაკომპლექტება არჩევნებთან დაკავშირებული საკითხების მცირედი ნაწილია. საქართველოს სჭირდება საარჩევნო კოდექსი. წინასაარჩევნო დრო მკაცრად განსაზღვრული უნდა იყოს, გრაფიკი არ უნდა დაირღვეს. აუცილებელია ზუსტი სიების გამოქვეყნება და საარჩევნო უბნების ორგანიზება ისე, რომ არჩევნები სამართლიანად ჩატარდეს",** - ევროსაბჭოს ელჩების თვალს არ გამოჰპარვია, რომ ამ ეტაპზე პარტიების ყურადღება მთლიანად ცესკო-ს დაკომპლექტებისკენ არის მიპყრობილი, ჟოზეფის ზემოთ მოყვანილი სიტყვებიც სწორედ ამის დასტურია.



*"საარჩევნო კომისიის დაკომპლექტება არჩევნებთან დაკავშირებული საკითხების მცირედი ნაწილია," - ამბობენ ევროსაბჭოს ელჩები*

ელჩები შენიშნავენ, რომ კანონშემოქმედებით საქმიანობაში საქართველოს სერიოზული "დავალიანება" აქვს: **"სხვა მიუღებელ კანონთა შორის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია კანონი პროკურატურის შესახებ და სისხლის სამართლის საპროცესო კანონი."**

ევროპის საბჭოს დელეგაცია, როგორც უკვე მოგახსენეთ, უკმაყოფილოა ხელისუფლების უმოქმედობით კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

**"ვხედავ, რომ დარბაზში ტელეკამერებმა პრესის ჟურნალისტების სახეები გადაფარეს. ვიმედოვნებ, რომ მსგავსი რამ საქართველოში სიმპტომატურ ხასიათს არ ატარებს",** - ამ სიტყვებით დაიწყო 9 ივლისის პრესკონფერენცია ჟან-კლოდ ჟოზეფმა... გუშინ საღამოს ევროსაბჭოს დელეგაციამ თბილისი და იმედიანი განწყობა დატოვა: **"ჩვენი ყურადღება საქართველოს მიმართ დროის გარკვეულ მონაკვეთში არ მოდუნდება."**

# ქართველი პარლამენტარების თხოვნა-საჩივრები ევროკავშირს

პირველი გვერდიდან

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის განმარტებით, საუბრის ძირითადი თემა მომავალი საპარლამენტო არჩევნები იყო. **„გამოითქვა იმედი, რომ შეთანხმებასთან ახლოს ვართ და მოხერხდება როგორც საარჩევნო კანონმდებლობის მიღება და საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტება, ისე თავად არჩევნების მშვიდ ვითარებაში და დემოკრატიულად ჩატარება",** - საკმაოდ იმედიანი განწყობით გამოვიდა შეხვედრიდან გიგი წერეთელი, რომელიც იმედოვნებს, რომ ევროკავშირი ყველანაირად დაეხმარება საქართველოს დამკვირვებლების მობილიზებასა თუ სხვა საკითხებში, რომლებმაც 2 ნოემბრის არჩევნების ნორმალურად ჩატარებას უნდა შეუწყონ ხელი.

უცნაურია, მაგრამ ხდება ის, რასაც სულ ცოტა ხნის წინათ ვერავინ წარმოიდგენდა: საერთოდ ქრება ზღვარი იმ მიდგომებს შორის, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ოპოზიციას არჩევნების მიმართ აქვთ. მაგალითად, უმრავლესობის წარმომადგენელი, ფრაქცია „სოციალისტის" თავმჯდომარე ირაკლი მინდელი დღეს ისეთივე თავგამოდებით ითხოვს ევროკავშირის ქვეყნებიდან დამკვირვებლების გამოგზავნას, როგორც მისი პოლიტიკური ოპონენტები. არჩევნების მონიტორინგის აუცილებლობას მინდელი შემდეგი გარემოებით ხსნის: **„არჩევნების შედეგებმა, როგორიც უნდა იყოს ის, მოსახლეობასა და საზოგადოებაში ეჭვი არ უნდა გამოიწვიოს. სტაბილურობა და არჩევნების შემდგომ ქვეყნის განვითარება გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ამა თუ იმ პარტიის გამარჯვება".**

გუშინდელი შეხვედრის დროს ევროკავშირის წარმომადგენლებს ისიც შეახსენეს, რომ დევნილების საარჩევნო უფლებები შეზღუდულია და მათ არა აქვთ მაჟორიტარი დეპუტატების არჩევის შესაძლებლობა. სტუმრები აღიარებენ, რომ ეს მართლაც სამწუხარო რეალობაა, მაგრამ აღნიშნული პრობლემის გადაჭრას ამ ეტაპზე შეუძლებლად მიიჩნევენ.

როგორც ირკვევა, დახურულ კარს მიღმა გამართული საუბრის ერთ-ერთი მთავარი თემა, არჩევნებთან ერთად, ევროკავშირთან ურთიერთობებში თვისობრივი სიახლის შეტანაც იყო. გიგი წერეთელი საუბრობს ევროკავშირის გაფართოების ახალ, ე.წ. „სამეზობლო ინიციატივაზე", რომლის არეალში საქართველოც მოიაზრება. პარლამენტის ვიცე-სპიკერი სთხოვს დელეგაციის წევრებს, რომ ლობისტობა გაუწიონ „სამეზობლო ინიციატივაში" საქართველოს ჩართვას. ამ თხოვნაზე გიგი წერეთელს უარი არ მიუღია, თუმცა, იქვე მიანიშნეს, რომ ეს ძნელად მისაღწევი ამოცანაა და მის ხორცშესასხმელად რიგი პრობლემების გადაწყვეტაა აუცილებელი. ამ პრობლემათა შორის კი სახელდება: ეკონომიკური სირთულეების დაძლევა, კორუფციასთან ბრძოლა, კანონის აღსრულება და კანონის უზენაესობის დამკვიდრება.

ევროკავშირის დელაგაციას კიდევ ერთი თხოვნა „შეაგებეს" მასპინძლებმა - უფრო აქტიური დახმარება კონფლიქტების მოგვარების საქმეში.

**„ევროკავშირიდან საქართველო დიდ დახმარებას ღებულობს, განსაკუთრებით - მატერიალური სახით (კრედიტები, გრანტები). რაც შეეხება კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას, ამ მიმართულებით, ალბათ, მეტი ძალისხმევაა საჭირო. ეს უფრო რუსეთთან ურთიერთობას შეეხება. არადა, ევროკავშირს ნამდვილად აქვს იმის შესაძლებლობა, რომ რუსეთზე მეტი ზეწოლა მოახდინოს, რათა მოსკოვმა პირნათლად შეასრულოს მშვიდობის დამცველისა და მომრიგებლის როლი",** - აცხადებს გიგი წერეთელი.

ევროკავშირის დელეგაციამ გუშინ საქართველოში სტუმრობა დაასრულა და ერევანში გაემგზავრა.

# ქართველი სპიკერის ევროპული პოსტი

პირველი გვერდიდან

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა, მომხსენებელმა პასუხი მიიღო: ამაზე საგანგებოდ იმსჯელებს მაასტრიხში შეხვედრის დროს ეუთო-ს მინისტრების დონეზე შეკრებილი სხდომაო.

**- ქალბატონო ნინო, ნიდერლანდებში თქვენს გამგზავრებას საქართველოში საკმაოდ სერიოზული მოვლენები დაემთხვა. მხედველობაში, რა თქმა უნდა, ჯეიმს ბეიკერის ვიზიტი მაქვს. როგორ შეაფასებთ ამ ვიზიტს და მის შედეგებს?**

- ვფიქრობ, ეს აშკარა ნიშანია იმისა, რომ აშშ ძალიან სერიოზულად არის დაინტერესებული და არა მხოლოდ დაინტერესებული, არამედ – შეშფოთებულიც საქართველოში შექმნილი სიტუაციით. ასეთი დონის ფიგურის ჩამოსვლა შემთხვევით არ ხდება ხოლმე. ვწუხვარ, რომ საგანგებო სიტუაციის გამო ბატონ ბეიკერთან შეხვედრა ვერ მოვახერხე. ვფიქრობ, რომ მან საკმაოდ მნიშვნელოვანი მესიჯები ჩამოიტანა.

**- ვიზიტის ფარგლებში გაჟღერდა ეუთო-ს მიერ საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეების დანიშვნის პერსპექტივა. თუ გქონდათ ამ თემაზე საუბარი, რა პოზიციაზე არიან ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეაში?**

- კონკრეტულად ამ საკითხთან დაკავშირებით საუბარი არ მქონია, რადგან ამ საკითხზე შეთანხმება ჯერ ქვეყნის შიგნით უნდა მოხდეს.



*ნინო ბურჯანაძე ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს.*

მქონდა საუბარი იმაზე, რომ არჩევნების სამართლიანად ჩატარება პრინციპულად მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის და საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტსა და ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის წევრებს არჩევნებზე პირადად ჩემს მიერ ხელმოწერილი მოწვევა გადავეცი. ბევრმა დელეგატმა და თავად ეუთო-ს ოფიციალურმა პირებმა გამოთქვეს სურვილი, რომ დააკვირდნენ არჩევნების მიმდინარეობის პროცესს. ვფიქრობ, არჩევნების სამართლიანად ჩატარების თვალსაზრისით ეს საკმაოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

**- რაც შეეხება ოპოზიციის და პრეზიდენტის ერთ მაგიდასთან დაჯდომას. თქვენ საკმაოდ აქტიურობდით ამ მიმართულებით. ამ დღეებში ეს შეხვედრა, ბეიკერის ვიზიტის შედეგად, შედგა. თქვენის აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია ეს შეხვედრა და მოახერხებს თუ არა ოპოზიცია საერთო პოზიციის შემუშავებას?**

- მოხარული ვარ, რომ შეხვედრა შედგა. ვფიქრობ, ეს მართლაც მნიშვნელოვანი მომენტი გახლდათ. იმედი მაქვს, რომ შეთანხმება მოხერხდება. საქმის ყურში ვარ, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ყველა დეტალი ვიცი – აქაც საკმაოდ სერიოზული სამუშაოა გასაწევი. თბილისში დაბრუნებისას ჩავერთვები ამ პროცესში და შევეცდები, გარკვეული წვლილი შევიტანო კონსენსუსის მიღწევაში.

**- აშშ-ს ასეთი დაინტერესება, არჩევნებზე საერთაშორისო დამკვირვებლების ჩამოსვლა და ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის მიღწეული შეთანხმება რამდენად იქნება იმის გარანტია, რომ არჩევნები ცივილიზებულად ჩატარდება?**

- იმედი მაქვს, ყველას ეყოფა გონიერება, გააანალიზოს, რას ნიშნავს ბეიკერის ჩამოსვლა და რას ნიშნავს ის, რომ ყველა დონეზე – მათ შორის ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროში, ეუთო-ში - სხვადასხვა დელეგაციების და ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის დონეზე, ხაზს უსვამენ იმას, რომ საქართველოსგან არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას მოელიან. ყველამ იცის, რომ არჩევნების სამართლიანად ჩატარებას საფრთხე ემუქრება. იმედი მაქვს, ამ საფრთხეს თავიდან ავიცილებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნამდვილად არ ვიტყვი, რომ საქართველოსთან ურთიერთობას გაწყვეტენ, მაგრამ საქართველო გადავა იმ ქვეყნების რიგში, რომელთანაც თანამშრომლობენ თანამშრომლობისთვის და არა იმისთვის, რომ პარტნიორები და თანამოაზრენი არიან. შესაბამისად, თანამშრომლობაც მინიმუმამდე შემცირდება.

# „დიდი დათბობის" ხანა

*იგი 2004 წელს დაიწყება. სწორედ ამ დროიდან აპირებენ წლების განმავლობაში გაყინული საპენსიო დავალიანების გალღობას ჩვენი ხელისუფალნი. რამდენ წელიწადს გასტანს ეს, ჯერ გაურკვეველია - საქართველოს მთავრობა 5 წელიწადზე აკეთებს აქცენტს, სავალუტო ფონდს 3 წელი უფრო ესიმპათიურება. ეს და კიდევ რამდენიმე სხვა საკითხი აგვისტოსთვის, სავალუტო ფონდის დასკვნითი ვიზიტისას გაირკვევა.*

მაკა ჭაიანი

დღეისთვის უკვე გარკვეულია, რომ დავალიანების გასტუმრება, ძირითადად, ფასიანი ქაღალდების საშუალებით მოხდება. ამას ისიც ადასტურებს, რომ აგვისტოში სავალუტო ფონდის მისიას თბილისში ფასიანი ქაღალდების სპეციალისტებიც ჩამოჰყვებიან. მაშინ გაირკვევა ისიც, თუ რამდენპროცენტიანი იქნება ეს ქაღალდები. წინასწარი შეთანხმებით, ციფრი წლიური ინფლაციის პროცენტს არც უნდა ჩამორჩებოდეს და არც აჭარბებდეს. სხვადასხვა წყაროები 3-4 და 6-7 პროცენტს ასახელებენ. ასევე აგვისტოში გაირკვევა, ექნება თუ არა მფლობელს ფასიანი ქაღალდის გაყიდვის უფლება. გარკვეული მოსაზრებების გამო, სავალუტო ფონდი ამის წინააღმდეგია. ქართულ მხარეს მოუწევს იმის დამტკიცება, რომ ჩვენს პენსიონერს, შეიძლება, "დღევანდელი კვერცხი" ერჩივნოს.

ყველაფერ ამას გაყინული პენსიების საშინაო ვალად აღიარება უნდა უძღოდეს წინ. სავალუტო ფონდი შემოდის წინადადებით, ფასიანი ქაღალდებით არა მარტო საპენსიო, სახელფასო და სხვა სახის დავალიანებაც დაიფაროს. ამ შემთხვევებში, ისინი ხუთწლიან ვადაზეც ყაბულს არიან. რამდენს შეადგენს სახელფასო და სხვა დავალიანება, ჯერ არ დაზუსტებულა, საკუთრივ პენსიონერებისა კი სახელმწიფოს 80 მილიონი მართებს. ერთი ამდენი საურავების სახით არის დაგროვილი, მაგრამ ვალში მას არ აიღებენ. გამორიცხული არ არის, სახელმწიფოს მთლიანად არც ამ 80 მილიონის ღირებულების ფასიანი ქაღალდის გამოშვება დასჭირდეს - საპენსიო დავალიანების დაფარვის პარალელური ვარიანტი ამ ვალის მიწის გადასახადში გაქვითვას ითვალისწინებს.

სავარაუდოდ, გლეხები ამაზე წავლენ. გარდა იმისა, რომ ამისთვის მათ ერთი თვის პენსიას იქვე, ხელზე მისცემენ, იმ საურავების გადახდისგანაც გაათავისუფლებენ, რომელიც მიწის გადასახადის გადაუხდელობის გამო დაუგროვდეათ. ალბათ, ცოტა თუ იქნება ისეთი, ვინც ამდენ "ცდუნებას" ერთად გაუძლებს. სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში ვარაუდობენ, რომ ამ გზით ვალი 30 მილიონით მაინც შემცირდება. რაც უნდა იყოს, ეს 80 მილიონი "წონაში" არ მოიმატებს – მიღწეული შეთანხმების მიხედვით, ობლიგაციებით მხოლოდ 2003 წლამდე დაგროვილი პენსიები განაღდება. რაც შეეხება მიმდინარე წელიწადს, ფონდი და, მის კვალდაკვალ, პრეზიდენტი ფინანსთა სამინისტროსგან, ამიერიდან, პენსიების თვეთვეზე გაცემას მოითხოვენ.

სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდში აცხადებენ, რომ საპენსიო დავალიანების შიდა ვალში აღებითა და ფასიანი ქაღალდების გამოშვებით სახელმწიფო თავის მოქალაქეებს უფორმებს ერთგვარ კონტრაქტს, რომელშიც დაწვრილებით იქნება გაწერილი ვალის დაფარვის ვადა და მექანიზმები. ხაზს უსვამენ იმასაც, რომ, ძირითადი თანხისა თუ პროცენტის გადახდის დაგვიანების შემთხვევაში, ფინანსთა სამინისტროს შესაბამის ანგარიშს ეროვნულ ბანკში მექანიკურად ჩამოეჭრება საჭირო თანხა და ქაღალდის მფლობელის ანგარიშზე ჩაირიცხება, ზუსტად ისე, როგორც ეს საგარეო ვალების დაფარვისას ხდება. ეს ის ძირითადი მიზეზი უნდა იყოს, რომლის გამოც უფრთხოდნენ აქამდე ჩვენი ხელისუფალნი "გაყინული პენსიების" შიდა ვალში აღებას.

# გლობალური ხელშეკრულება გლობალურ ფონდთან

ზაზა ფაჩუაშვილი

*გუშინ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას გაეროს გლობალურ ფონდთან. საქმე ეხება გაეროს გლობალური ფონდიდან საქართველოში შიდსთან საბრძოლველად გამოყოფილ 12 მილიონ დოლარს.*

2001 წელს შეიქმნა მილიარდნახევრიანი ბიუჯეტის მქონე გაეროს გლობალური ფონდი, რომელსაც დაევალა ბრძოლა შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან მსოფლიო მასშტაბით. საქართველომ იმ წელიწადსვე შეიტანა განაცხადი, მაგრამ პირველი ცდა წარუმატებელი აღმოჩნდა. სამაგიეროდ, შარშანდელი პროექტი საუკეთესო იყო და საქართველომ შიდსთან საბრძოლველად 12 მილიონი დოლარის გრანტი მიიღო.

ეს თანხა 5 წლის განმავლობაში უნდა დაიხარჯოს, ოღონდ ყოველი ეტაპის შემდეგ ჩატარდება სიტუაციის დეტალური ანალიზი და გრანტი მხოლოდ იმ შემთხვევაში გაგრძელდება, თუ შესრულებული იქნება გაეროს გლობალური ფონდის ყველა პირობა.

პირველ ეტაპზე 4 მილიონის დახმარება წამოვა. ძირითადად ეს იქნება შიდსის საწინააღმდეგო ძვირად ღირებული პრეპარატები.

შიდსისა და ინფექციური პათოლოგიების ეროვნული ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, მსოფლიოში აღიარებულმა სპეციალისტმა თენგიზ ცერცვაძემ მოკლედ ბრძანა, თუ რა კონკრეტული შედეგი მოჰყვება ამ შეთანხმებას:

"სპეციფიკური ძვირად ღირებული მკურნალობით იქნება უზრუნველყოფილი შიდსით დაავადებული ყველა ავადმყოფი, რაც აქამდე მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებში ხდებოდა. გაგრძელდება სოციალური დახმარება მათი ოჯახებისთვის. განხორციელდება მავნებლობის შემცირების პროგრამა ნარკომანებისთვის. ჩატარდება ფართომასშტაბიანი პრევენციული ღონისძიებები მეძავებსა და ჰომოსექსუალისტებს შორის. შიდსით ინფიცირებულებს მიეცემათ შესაბამისი დახმარება იმისთვის, რომ შექმნან საზოგადოებები, კლუბები და აქტიურად ჩაერთონ დაავადებასთან ბრძოლაში. ეს ძალიან მნიშვნელოვანი დახმარებაა და ამას ვერც ერთი ნაციონალური პროგრამა ვერ უზრუნველყოფდა."

ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ოფიციალურმა პირებმა: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ამირან გამყრელიძემ, საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ნიკოლაიშვილმა, არასამთავრობო ორგანიზაციის "შიდსით დაავადებულ პაციენტთა მხარდაჭერის ფედერაციის" პრეზიდენტმა იზოლეტა ბოდოკიამ.

ხელმოწერის საზეიმო ცერემონიალს ესწრებოდა გაეროს გლობალური ფონდის წარმომადგენელი ვალერი ჩერნიავსკი და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციათა წევრები.

# კარგ ექიმს სახელით და გვარით არ უნდა ვეძებდეთ

## კვალიფიკაციის გარანტია სახელმწიფო სერტიფიკატი უნდა იყოს

*საქართველოში 21 ათასი სერტიფიცირებული ექიმია. ეს ის ხალხია, ვისაც სახელმწიფომ ექიმობის უფლება მისცა და ჩვენი ჯანმრთელობა ანდო. რამდენად მყარი იქნება სახელმწიფო გარანტიები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში, სწორედ სამედიცინო განათლების სისტემაზეა დამოკიდებული, რომელიც ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია.*

ზაზა ფაჩუაშვილი

### დასაწყისი

სამედიცინო განათლების პროცესების რეგულირება სახელმწიფომ 1997 წლიდან დაიწყო, როცა საქართველოში მიიღეს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. შეიქმნა უმაღლესი და საშუალო სამედიცინო პერსონალისთვის სახელმწიფო სერტიფიკატის მიმნიჭებელი საბჭო და ჩამოყალიბდა ნორმატიული ბაზა, რომელმაც წარმართა სერტიფიცირების პროცესი. სახელმწიფო სერტიფიკატი სავალდებულო გახდა ყველასათვის (გამონაკლისია გარკვეული სტაჟის მქონე სამეცნიერო ხარისხის სპეციალისტები) და დადგინდა, რომ 2001 წლიდან არასერტიფიცირებულ ექიმებს პროფესიული საქმიანობა აეკრძალებოდათ.

**შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე იაგო კალანდაძე:** "80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების ბუმი დადგა. შესაბამისად, წარმოიშვა ძალიან მკვეთრი დისბალანსი ექიმთა მოწოდებასა და საჭიროებას შორის. გაპარტახებული კლინიკებისა და სასწავლო ბაზების პირობებში უკიდურესად დაბალი იყო სწავლების დონე. მართლაც რა უნდა ესწავლა სტუდენტს, ვთქვათ, ველისციხის უმაღლეს სასწავლებელში. ამიტომ სამინისტრომ ჯანდაცვის კანონის მიღებიდან უმოკლეს ვადაში, 1998 წლის გაზაფხულისთვის დაიწყო, სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ჩატარება. იმ დროისათვის ქვეყანაში რეგისტრირებული იყო 30 ათასი ექიმი."

### სერტიფიცირება

სერტიფიცირების პროცესი სამ ეტაპად მიმდინარეობდა - ტესტირება, კომპიუტერული სისტემის გამოყენებით, სიტუაციური ამოცანის ამოხსნა და გასაუბრება. ტესტები წინასწარ ქვეყნდებოდა და გამოცდისთვის მომზადება ყველას შეეძლო. ასეთი ლიბერალური დამოკიდებულების მიუხედავად პრეტენზიები მაინც გაჩნდა.

**იაგო კალანდაძე:** "ჩვენ მოგვიხდა სამედიცინო საზოგადოების დარწმუნება სერტიფიცირების აუცილებლობაში და ექიმები ამ საკითხს შეგნებით მოეკიდნენ. რა თქმა უნდა თავიდან გაჩნდა გარკვეული პრეტენზიები, მაგრამ ეს სამინისტროს კედლებს მიღმა არ გასულა. საუბარი იყო პროცესის სრულყოფაზე და სუბიექტივიზმის მაქსიმალურად აღმოფხვრის მიზნით, სამი ეტაპიდან დავტოვეთ ერთი - ტესტირება, რომელიც შესაბამისად გავამკაცრეთ იმით, რომ ტესტების მხოლოდ ნაწილს ვაქვეყნებდით. ექიმი მხოლოდ კონკრეტული გამოცდისთვის არ უნდა ემზადებოდეს. მისი პროფესიული დონე სათანადო მოთხოვნებს მუდმივად უნდა პასუხობდეს."

### უწყვეტი განათლება

იმისათვის, რომ ექიმი მუდმივ მზადყოფნაში იყოს, უწყვეტი სამედიცინო განათლების პროცესში უნდა მონაწილეობდეს. მითუმეტეს, რომ ეს სერტიფიცირების ალტერნატიული გზაცაა.

**იაგო კალანდაძე:** " 2001 წელს ძალაში შევიდა კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ და ყოველი ექიმისთვის სავალდებულო გახდა უწყვეტ სამედიცინო განათლების პროცესში მონაწილეობა. ამ პროცესის დასაწყისი იყო ექიმთა პირველი კონგრესი, რომელიც 2-6 მაისს ჩატარდა. ამ ფორუმის ფარგლებში გაიმართა მრავალი პროფესიული სემინარი, სადაც დამსწრე ექიმებს სერტიფიცირებისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი პირველი კრედიტ-ქულები მიენიჭათ. მოგეხსენებათ, რომ სახელმწიფო სერტიფიკატს ხუთი წლის ვადა აქვს. შემდეგ საჭიროა რესერტიფიცირება, რათა ექიმს პროფესიული საქმიანობის უფლება კიდევ ერთი ვადით გაუხანგრძლივდეს. ვინც 5 წლის განმავლობაში კრედიტ-ქულების მინიმალურ რაოდენობას (125 ქულა) ვერ დააგროვებს, სასერტიფიკაციო გამოცდაზე არ დაიშვება.

2006 წლიდან კი ძალაში შევა სერტიფიცირების ალტერნატიული გზა. ვინც 5 წლის მანძილზე 250 კრედიტ-ქულას დააგროვებს სერტიფიკატის ვადა ავტომატურად გაუხანგრძლივდება. დაბალქულიანები ჩვეულებრივ გამოცდაზე გავლენ. ჯერჯერობით, კრედიტ-ქულების მინიჭება სპეციალურ სემინარებზე და კურსებზე დასწრებით ხდება. მომავალში გათვალისწინებული იქნება გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებიც.

### რეზიდენტურა

სახელმწიფო სერტიფიკატის აღების შემდეგ, რაც ზოგადი პროფილის კვალიფიკაციას იძლევა, ვისაც ვიწრო სპეციალობის მიღება და კერძო პრაქტიკის წარმოება სურს რეზიდენტურა უნდა დაამთავროს.

**იაგო კალანდაძე:** "რეზიდენტურა ჩვენი ჯანდაცვის სისტემის მონაპოვარია. ეს არის დიპლომისშემდგომი სპეციალიზაციის მიღების მსოფლიოში აპრობირებული ფორმატი.

სწავლის ხანგრძლივობას სპეციალობა განაპირობებს, დაწყებული, ვთქვათ, ერთწლიანი სტომატოლოგიით, დამთავრებული ხუთწლიანი მიკროქირურგიით. რეზიდენტურის დამთავრების შემდეგ ყველა სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდას აბარებს."

### სიახლე

1997 წლიდან დღემდე უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი 8 ათასმა ახალგაზრდამ დაამთავრა. მათგან სერტიფიკატი და შესაბამისად ზოგადი პროფილის ექიმის კვალიფიკაცია 4 ათასმა მიიღო, მაგრამ საექიმო საქმიანობის კანონის მიხედვით ზოგადი პროფილის ექიმის ინსტიტუტი თანდათან იშლება. ამიტომ, 2003 წლიდან ახალკურსდამთავრებულთათვის სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარება საჭირო აღარ არის. ისინი პირდაპირ რეზიდენტურის მისაღებ გამოცდებზე გავლენ. ვინც ვერ ჩააბარებს, უმცროსი ექიმის სტატუსი მიენიჭება.

### უმცროსი ექიმი

უმცროს ექიმს დამოუკიდებელი პრაქტიკის უფლება არა აქვს და მხოლოდ სერტიფიკატის მქონე კოლეგის მეთვალყურეობის ქვეშ შეუძლია მუშაობა. ცხადია, დამოუკიდებელი პრაქტიკის შანსი ყველას ეძლევა, თუმცა ამ მხრივ პრივილეგირებული სამუშაო ადგილებიც არსებობს.

**იაგო კალანდაძე:** "ის უმცროსი ექიმი, რომელიც სარეზიდენტურო ბაზაში იმუშავებს (ს/კ ინსტიტუტები, მეოთხე დონის მრავალპროფილიანი კლინიკები, საუნივერსიტეტო კლინიკები) და თავის სპეციალობაში რეზიდენტურის მოცულობის პროგრამას შეითვისებს, უფლებას მიიღებს, წარსდგეს უწყვეტი სამედიცინო განათლების საბჭოს წინაშე, რათა თავისი მომზადების დონე დაადასტუროს. წარმატების შემთხვევაში მას სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდაზე ისევე დაუშვებენ, როგორც რეზიდენტურის კურსდამთავრებულს.

ამ წესის არსებობით ზოგს, თურმე, ხელის მოთბობაც გადაუწყვეტია და უმცროსი ექიმებისთვის გასამრჯელო გამოუძალია, ჩემთან მუშაობა რეზიდენტურაში ჩაგეთვლებაო. ამიტომ ჯანდაცვის სამინისტრო აფრთხილებს ყველა უმცროს ექიმს, არ წამოეგონ მავანთა ანკესზე და გაითვალისწინონ, რომ პრივილეგია მხოლოდ სარეზიდენტურო ბაზებს ენიჭებათ."

### პრობლემა

სამედიცინო განათლების სფეროში სახელმწიფო ბერკეტების ამუშავების შედეგად, უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების რიცხვი 60-დან 22-მდე შემცირდა, ხოლო დიპლომირებული ექიმების ყოველწლიური გამოშვება 3500-დან 850-მდე დაეცა. თუმცა ჯანდაცვის მესვეურების განცხდებით ესეც ბევრია, ვინაიდან ქვეყანას კვლავწარმოებისთვის ყოველწლიურად 250-280 ექიმი სჭირდება. რაოდენობრივი დისბალანსის გარდა პრობლემა დიპლომამდელ განათლების პროცესშიც ყოფილა.

ელიტარული **უმაღლესი სამედიცინო სკოლის "აიეტის" რექტორი, პროფესორი დავით ტვილდიანი:** "მისასალმებელია, რომ დიპლომისშემდგომ განათლებას ყურადღება ექცევა, მაგრამ ასევე უნდა იყოს დიპლომამდელი განათლებაც, რომლის ხარისხი ძალიან დაბალია. სტუდენტები ფონს ერთი ზეპირი სახელმწიფო გამოცდით გადიან. ჩემი აზრით, ის სასერტიფიკაციო გამოცდა, რომელსაც ისინი აღარ აბარებენ ზეპირი სახელმწიფო გამოცდის მეორე ეტაპი უნდა გახდეს. ამის თაობაზე ჩემი მოსაზრება სამინისტროშიც გავაგზავნე, მაგრამ, რა ბედი ეწია არ ვიცი."

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში კი გვითხრეს, რომ დიპლომამდელი განათლება განათლების სამინისტროს პრეროგატივაა.

# ამერიკა ირანთან მოვაჭრე ფირმებს სჯის

ადამ მჭედლიძე

ირანისათვის სამხედრო ტექნოლოგიის მიყიდვის გამო ვაშინგტონმა ჩინეთის ხუთი და ჩრდილო-კორეული ერთი კომპანიის წინააღმდეგ სანქციები შემოიღო. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით, ირანს ამ კომპანიებისგან მიღებული ტექნოლოგიის მეშვეობით მასობრივი განადგურების იარაღის დამზადება თავისუფლად შეეძლო. სანქციები ვაჭრობის შეწყვეტას და ასევე, აშშ-ს მთავრობისგან დახმარების შეწყვეტას ითვალისწინებს. აღსანიშნავია, რომ დასჯილი ხუთი ჩინური კომპანიიდან - ოთხის წინააღმდეგ ერთხელ უკვე გამოყენებული იყო სანქციები, ირანისა და პაკისტანისათვის სამხედრო ტექნოლოგიის მიწოდების გამო.

„შავ სიაში" მოხვდნენ კომპანიები: „ზიბო ქემიკალ ექუიპმენტი," „ლიანგ იუნლონგ ცემიკალ ექუიპმენტი," „ჩაინა ნორს ინდასტრიზ," „ჩაინა პრესიჟენ მაშინერი იმპორტ/ექსპორტი", „ტაიან ფორინ ტრეიდ ჯენერალ კორპორეიშენი." და „ჩანგვანგ სინიონგი".

მომხდართან დაკავშირებით უკმაყოფილება გამოხატა ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, რომლის განცხადებითაც „ამერიკული მხარის ბრალდებები უსაფუძვლოა."

# „ხალხი გაიგებს, რატომ მოკლეს გიორგი სანაია„

პირველი გვერდიდან

ჭორების გავრცელების აპრობირებული ხერხით წინასწარ შემზადებული საზოგადოება სასამართლოზე გიორგი სანაიას მკვლელობის მოტივად სექსუალური ძალადობის დასახელებას აღარ გაუკვირვებია – ამ განცხადების გასაკეთებლად ნიადაგის მზადება სანაიას მკვლელობის მეორე დღიდანვე დაიწყეს შესაბამისმა ორგანოებმა. სამაგიეროდ, აჟიოტაჟის გარეშე ვერ ჩაივლიდა ამ ვერსიის სასამართლოს მიერ გათვალისწინება. მოსამართლის მხრიდან ამ ვერსიის აღიარება ბუნებრივად გახდებოდა იმის საფუძველი, რომ მკვლელობა სულიერი აღელვების ნიადაგზე ჩადენილად მიჩნეულიყო. განსასჯელის სასჯელიც, შესაბამისად, 5 წლამდე პატიმრობის ვადით განისაზღვრებოდა, ჯამში კი, ძალზე აშკარა იქნებოდა გარიგება მკვლელობისთვის პოლიტიკური სარჩულის ჩამოშორების მსურველ სამართალდამცველ ორგანოებსა და განსასჯელის სკამზე აღმოჩენილ ხურცილავას შორის.

მოსამართლეს პრობლემის გადაწყვეტაში ხურცილავასთვის ჩატარებული ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა შეეშველა – ექსპერტებმა განსასჯელი სრულიად გაწონასწორებულ ადამიანად მიიჩნიეს და კატეგორიულად უარყვეს ხურცილავას ადვოკატის მიერ წამოყენებული ვერსია – მკვლელობის ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში ჩადენის შესახებ. ექსპერტ-ფსიქოლოგის მტკიცებით, დანაშაულის ჩადენისას ხურცილავას მოქმედებაში არ იყო ფიზიოლოგიური აფექტისთვის დამახასიათებელი მესამე ფაზა, რადგან ის მიზანმიმართულად მოქმედებდა – ცდილობდა დანაშაულის კვალის დაფარვას, თითის ანაბეჭდების მოსპობას, ეძებდა გასაღებს, გააცნობიერა, რომ წასასვლელი ფული არ ჰქონდა, მოკლულის შარვლის ჯიბიდან აიღო ფული, გაქცევას ცდილობდა და ა.შ.

სასამართლოზე ექსპერტის დაკითხვისას არ თქმულა, გაითვალისწინეს თუ არა განსასჯელის შემოწმებისას მისივე ნათქვამი, რომ მკვლელობის მომენტში ის მთვრალი იყო. სამაგიეროდ, მისი სიმთვრალე განაჩენის გამოტანისას ერთადერთ დამამძიმებელ გარემოებად იქნა მიჩნეული და მოსამართლე ნანა გუგუნიშვილმა გრიგოლ ხურცილავა დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლის, 236-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 177-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის გ) პუნქტით. ეს კი ნიშნავს, რომ სასამართლომ დაადასტურა გამოძიების მიერ ხურცილავასთვის წაყენებული ბრალი განზრახ მკვლელობაში, იარაღის უკანონო შენახვასა და სხვისი ქონების დაპატრონებაში. ხურცილავასთვის მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში 13-წლიანი პატიმრობის მისჯის გარდა, მოსამართლე გუგუნიშვილმა გუშინ სხვა განჩინებებიც გაახმოვანა. მასალები იმის თაობაზე, თუ როგორ გადასცა მკვლელობის შემდეგ თავისი იარაღი ხურცილავამ მეგობრის სიმამრს – ამირან ადეიშვილს და როგორ ინახავდა ეს უკანასკნელი მკვლელობის იარაღს ხურცილავას დაკავებამდე, უნდა გადაეცეს გენერალურ პროკურატურას, რომელიც იმსჯელებს იარაღის უკანონოდ შენახვის შესახებ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მართებულობაზე. მეორე განჩინებით, ნანა გუგუნიშვილმა უსაფუძვლოდ მიიჩნია გიორგი სანაიას მეუღლის ხათუნა ჩხაიძის სარჩელი. როგორც ცნობილია, სანაიას ქვრივი მეუღლის მკვლელობის საქმის გამოძიებისას საპროცესო კოდექსის დარღვევით მისთვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა.

და ბოლოს, მოსამართლე ნანა გუგუნიშვილის განაჩენი საბოლოო არ არის და გასაჩივრებას ექვემდებარება – 14 დღის ვადაში მოსამართლის ვერდიქტით უკმაყოფილო მხარეებს შეუძლიათ საოლქო სასამართლოს მიმართონ.

**"აუცილებლად გავასაჩივრებ,** - ამბობს გრიგოლ ხურცილავას ადვოკატი დავით დადიანი, - **სასამართლომ სამარცხვინო განაჩენი გამოიტანა. საოცრება არ გახლავთ, როდესაც მოსამართლე ამბობს, რომ საინტერესო და მნიშვნელოვანი არ არის, კაცმა კაცი რატომ მოკლა, მთავარია, რომ მოკლაო? პროკურატურის წარმომადგენლებმაც კი თქვეს, რომ იზიარებენ ხურცილავას ჩვენებას სექსუალური ძალადობის შესახებ, მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ ამის აღიარებით, საბოლოო ჯამში, ხურცილავას სასჯელი 5 წლამდე უნდა განსაზღვრულიყო. ამიტომაც სასამართლოს, პროკურატურისა და ექსპერტიზის ერთობლივი ძალებით შედგა ექსპერტიზის დასკვნა, რომელსაც მოსამართლე დაეყრდნო. მე ბოლომდე ვეცდები, რომ დავამტკიცო - მკვლელობა ხურცილავამ სულიერი აღელვების ნიადაგზე ჩაიდინა".**

მკვლელობის მოტივის დადგენის გარეშე განაჩენის გამოტანას დაუშვებლად მიიჩნევს გიორგი სანაიას ქვრივი ხათუნა ჩხაიძეც.

**"მოსამართლემ, ფაქტობრივად, გამოუძიებელ საქმეზე გამოიტანა განაჩენი,** - ამბობს ხათუნა ჩხაიძე, - **მე დღესაც ვიმეორებ, რომ გიოს მკვლელობა შეკვეთილი იყო, მაგრამ ამის გამოძიება სახელმწიფო სტრუქტურებს და სასამართლო ხელისუფლებას არ აწყობდა და არ აწყობს. რაც შეეხება მკვლელობის მოტივად სექსუალური ძალადობის დასახელებას, ამას რომ ვერ დაამტკიცებდნენ, ცხადი იყო, რადგან ეს ტყუილია".**

ხათუნა ჩხაიძე არ გამორიცხავს, რომ უახლოეს მომავალში გამოიყენოს განაჩენის გასაჩივრების უფლება, თუმცა ამბობს: **"თუ ამ ეტაპზე სხვადასხვა ინსტანციებში განაჩენის გასაჩივრებით ვერაფერს მივაღწიეთ, განაჩენის გადახედვა წლების გასვლის შემდეგაც შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ახალი გარემოება გამოჩნდება; ან, უბრალოდ, იმის დადასტურების შემთხვევაშიც კი, თუ გაირკვა, რომ რომელიმე მოწმემ ცრუ ჩვენება მისცა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი გარემოების გამოჩენას წლები არ დასჭირდება და ხალხი გაიგებს, რატომ მოკლეს გიორგი სანაია".**

# რატომ დააკონსერვეს ესპანელ ბიზნესმენთა საქმის გამოძიება

პირველი გვერდიდან

მადრიდში მიმავალი ორი ესპანელი ბიზნესმენი - ხოსე ანტონიო ტრიმინო გომესი და ფრანცისკო როდრიგეს კაბალა 2000 წლის 30 ნოემბერს, თბილისში, აეროპორტის გზატკეცილიდან პოლიციის ფორმაში გამოწყობილმა ხუთმა შეიარაღებულმა პირმა გაიტაცა. გამტაცებლებს არაფერი დაუშავებიათ უცხოელ სტუმართა ქართველი გამცილებლებისთვის, ისინი მანქანიდან გადმოიყვანეს და გზატკეცილზე დატოვეს.

2001 წლის 8 დეკემბერს ტყვეობიდან გამოხსნილი ესპანელები ესპანეთის მეფის მიერ სპეციალურად მათთვის გამოგზავნილი თვითმფრინავით სამშობლოში დაუყოვნებლივ გაფრინდნენ.

ესპანელთა გატაცების ნამდვილი მოტივი და გამტაცებელთა ვინაობა ქართველმა სამართალდამცველებმა მკაცრად გაასაიდუმლოეს. ორიოდე კვირის წინ ესპანელ ბიზნესმენთა საქმე, მათი გატაცებიდან სამი წლის შემდეგ, უშიშროების სამინისტრომ გახსნილად გამოაცხადა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ხოსე ანტონიო ტრიმინო გომესისა და ფრანცისკო როდრიგეს კაბალას გამტაცებლები: ალენ ბორჩაშვილი - პანკისის ხეობაში, ხოლო ჯგუფის უფროსი შოთა ჭიჭიაშვილი მოსკოვში დააკავეს.

ტყვეობიდან გათავისუფლებულმა და მადრიდში დაბრუნებულმა მძევალყოფილებმა გატაცების დეტალებზე ხმამაღლა დაიწყეს საუბარი. სამშობლოში ჩასვლის მეორე დღესვე პრესკონფერენცია ჩაატარეს, სადაც ღიად განაცხადეს, რომ მათ გატაცებაში ქართველი მაღალჩინოსნები იყვნენ ჩარეულნი. 14 დეკემბერს ტრიმინო და პაკო მადრიდში ესპანეთის უშიშროებისა და შს მინისტრების თანდასწრებით ესპანელმა სამართალდამცველებმა დაკითხეს. სააგენტო "ექსპრესის" მიერ ჩვენთვის მოწოდებული ექსკლუზიური მასალა – ტყვედყოფილთა ჩვენებები "24 საათის" წინა ნომრებში უკვე დაიბეჭდა.

უცხოელ ბიზნესმენთა გატაცების თაობაზე საქმე, თავდაპირველად, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში აღიძრა. გამოძიებისთვის თავიდანვე იყო ცნობილი, რომ ტრიმინო გომესი და ფრანცისკო კაბალა პანკისის ხეობის მკვიდრის, კრიმინალ შოთა ჭიჭიაშვილის ტყვეობაში იმყოფებოდნენ, პროკურატურისთვის ცნობილი იყო ისიც, რომ ამ გატაცებას და, საერთოდ, ჭიჭიაშვილის ბანდას უშიშროების სამინისტროსა და შსს-ს მაღალჩინოსნები უწევდნენ ორგანიზატორობას. პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის მიერ შეკრებილი მასალები ცოტა ხნის წინ უშიშროების სამინისტროს გადაეცა გამოძიების გასაგრძელებლად.

სხვათა შორის, "24 საათში" გამოქვეყნებული ესპანელთა ჩვენებები უშიშროების სამინისტროს საქმეშიც არის - ისინი კარგა ხნის წინ ესპანელმა სამართალდამცველებმა ქართველ კოლეგებს გამოუგზავნეს. ხოსე ანტონიო ტრიმინო გომესი და ფრანცისკო როდრიგეს კაბალა ერთი თვის წინ საქართველოში ჩამოვიდნენ და ამჯერად საქართველოს უშიშროების მინისტრის თანდასწრებით, ქართველ გამომძიებლებს დეტალური ჩვენება ჩააბარეს. ესპანელმა დაზარალებულებმა "ამოცნობის პროცედურაშიც" მიიღეს მონაწილეობა. ქართველი სამართალდამცველების მიერ ნაჩვენებ ფოტოებზე ამოიცნეს ადამიანები, რომლებიც მათ გატაცებაში მონაწილეობდნენ. გარდა კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებისა, ესპანელმა მოწმეებმა "ხელი დაადეს" ყოფილ ქართველ მაღალჩინოსნებსაც. ყოფილმა მძევლებმა გამოძიებას თბილისში და პანკისის ხეობაში ის სახლებიც აჩვენეს, სადაც დატყვევებულნი იყვნენ. ესპანელმა ბიზნესმენებმა პანკისის ხეობაში არსებულ "ბაწარას ნაკრძალშიც" მიაგნეს მონადირის იმ ქოხს, სადაც გატაცების ერთ-ერთ ორგანიზატორზე განაწყენებულმა შოთა ჭიჭიაშვილმა ისინი გადამალა.

არსებული ინფორმაციით, ესპანელთა გათავისუფლების პროცესი სწორედ პარტნიორებს შორის მომხდარი კონფლიქტის გამო გაიწელა. საქმე ისაა, რომ გატაცებულთა ოჯახის წევრებთან ჭიჭიაშვილის მიერ წარმოებული მოლაპარაკებების შემდეგ თბილისში ჩამოსულ ესპანელთა ოჯახის წევრებს სასტუმრო "ლონდონში" ძალოვანი უწყების ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირი შეხვდა. **"...მან ჩემს ახლობლებს წვრილმანი ხარჯებისთვის 50 ათასი დოლარი მოსთხოვა. ჩვენმა ნათესავებმა მას ეს ფული გადასცეს. მოგვიანებით კი, დასახელებული გამოსასყიდი თანხაც მან მიიღო,"** – განაცხადა სამართალდამცველებისთვის მიცემულ ჩვენებაში ტრიმინო გომესმა. თუმცა, ესპანელები არ გაუთავისუფლებიათ, რადგან გამტაცებელთა ერთ რგოლს – ტყვეთა მიმღებ შოთა ჭიჭიაშვილს გადახდილი გამოსასყიდიდან თავის წილი არ მისცეს. ამიტომაც გაბრაზებულმა ჭიჭიაშვილმა მძევლებს ადგილი შეუცვალა, ისინი "ბაწარას ნაკრძალში" გადამალა და ესპანელთა ოჯახის წევრებს თავისი მეგობრის, დიდი გავლენის მქონე შამსუდინის მეშვეობით თავად დაუკავშირდა. **"თქვენს მიერ გადახდილი თანხა უშიშროებამ შეჭამა და თუ მილიონ დოლარს არ გადაიხდით, ამათ თავებს გამოგიგზავნითო, - პაკოს ცოლს ტელეფონით ესაუბრა და დამტვრეული ინგლისურით ასე უთხრა. პაკოს ცოლი შეჰპირდა, რომ ფულს ამჯერად მხოლოდ მას მისცემდნენ. ამ საუბრის შემდეგ თბილისში ჩამოვიდნენ ჩვენი ნათესავები – ჩემი სიძე და პაკოს დისშვილი, მაგრამ მათ უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები შეხვდნენ და სასწრაფოდ ქვეყნის დატოვება უბრძანეს, გამოძიებისთვის ხელის შეშლის გამო დაგაპატიმრებთო, დაემუქრნენ,"** – მოჰყვა ტრიმინო გომესი. საგამოძიებო მასალებში ამ შეხვედრის თაობაზე სხვა მტკიცებულებებსაც შეხვდებით. შეხვედრა კვლავ სასტუმრო "ლონდონში" შედგა და კვლავ ზემოთ ხსენებული მაღალჩინოსნის მონაწილეობით. ჩვენი ინფორმაციით, ესპანელთა ნათესავები მან თბილისიდან, ფაქტობრივად, გააძევა.



შოთა ჭიჭიაშვილი

დატყვევებულთა ახლობლებმა საქართველო დატოვეს; სამშობლოში დაბრუნებისთანავე დახმარებისთვის ესპანეთის შინაგან საქმეთა მინისტრს მიმართეს და მომხდარის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს. ესპანეთის შს მინისტრმა ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება ჩააყენა საქმის კურსში. სწორედ ამ პერიოდში ევროსაბჭოში ესპანეთის წარმომადგენელმა საქართველოს მკაცრი სანქციებით დასჯის საკითხი დააყენა, **"საქართველოს სპეცსამსახურები ადამიანით ვაჭრობენ,"** – ასეთი განცხადება გააკეთა მან. **"ევროსაბჭოს ხელმძღვანელობამ კატეგორიულად მოსთხოვა საქართველოს მთავრობას გატაცებულების გათავისუფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანას ევროსაბჭოდან გარიცხვით დაემუქრა,"** – წერდა მადრიდის ერთ-ერთი პოპულარული გაზეთი "ესპანიოლი". ესპანელ ბიზნესმენთა გატაცების გამო ატეხილი საერთაშორისო სკანდალი იმით დასრულდა, რომ ესპანეთის შს მინისტრი თავის ქართველ კოლეგას ჯერ ტელეფონით ესაუბრა, შემდეგ კი, ესპანეთის პრემიერ-მინისტრის დავალებით, საქართველოში არაოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა, თავისი ქართველი კოლეგების გარდა ქვეყნის პრეზიდენტსაც შეხვდა და სპეცსამსახურებში არსებული სიტუაციის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. ორი ქვეყნის მთავრობებს შორის გამართული კულუარული საუბრები იმით დასრულდა, რომ შევარდნაძემ ძალოვანი უწყების ხელმძღვანელები თავისთან დაიბარა და მკაცრი დავალება მისცა - სასწრაფოდ მძევალთა გათავისუფლება მოითხოვა.

სამართალდამცველი უწყების მაღალჩინოსანი, რომელიც ესპანელთა გატაცებას მეთაურობდა, იძულებული გახდა ჭიჭიაშვილისთვის მძევლების გათავისუფლება ეთხოვა, ამის გამო იგი პანკისის ხეობაში ჩავიდა კიდეც და ჭიჭიაშვილის მეგობარს, ცნობილ ჩეჩენ საველე მეთაურს ალმან ბაკაევს შუამავლობა სთხოვა, რაზეც უარი მიიღო.

შოთა ჭიჭიაშვილმა მოთხოვნილი თანხა – 200 ათასი დოლარი საბოლოოდ მიიღო და დატყვევებული ესპანელებიც გაათავისუფლა. გამოსასყიდის ხელმეორედ გადახდისა და თანხის ჭიჭიაშვილისთვის ჩაბარების პროცედურა ჭიჭიაშვილის მეგობარს - შამსუდინს ჩაატარებინეს. დიდი კავშირების მქონე იორდანიელ შამსუდინზე, რომელმაც ესპანელთა გათავისუფლებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა, უშიშროების სამინისტროს სქელტანიანი დავთარი მოეპოვება. შამსუდინი, რომელსაც, არსებული ინფორმაციით, რუსეთის სპეცსამსახურების გენერალიტეტთანაც და პოლიტიკურ ელიტასთანაც "საქმიანი" კავშირები ჰქონდა, პანკისის ხეობაში საკმაოდ დიდხანს საქმიანობდა და ყოფილ ქართველ მაღალჩინოსანთა შეკვეთებს შოთა ჭიჭიაშვილთან ერთად ასრულებდა.

ესპანელ ბიზნესმენთა გატაცების ერთ-ერთი მთავარი ფიგურა - შოთა ჭიჭიაშვილი ორი კვირის წინ მოსკოვში, სიძის სახლში დააპატიმრეს. საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ რუს სამართალდამცველებს მისი ექსტრადიციისთვის საჭირო დამატებითი დოკუმენტები დაკავების მომდევნო დღეებშივე გადაუგზავნა. თუმცა, შოთა ჭიჭიაშვილის ექსტრადიცია საეჭვოდ დაგვიანდა. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, ჭიჭიაშვილის საქმეში ახალი გარემოება გამოჩნდა - რუსეთის პროკურატურამ მოიპოვა მასალები, რომლის მიხედვითაც, პანკისისხეობელ ქისტ ვაჰაბიტს, თურმე, რუსეთში განხორციელებულ ტერაქტებშიც აქვს წვლილი შეტანილი. საქმე ისაა, რომ ასეთ შემთხვევაში ესპანელი ბიზნესმენების, პიტერ შოუს, მამა ბასილის, წითელი ჯვრის წარმომადგენლების და სხვა რეზონანსულ გატაცებათა საქმეში ბრალდებული ჭიჭიაშვილის საქართველოში ექსტრადიცია კარგა ხნით გადაიწევს, სანამ რუსეთის პროკურატურა მოპოვებულ მასალებს არ გამოიძიებს და შემდეგ ბრალდებულს არ გაასამართლებს. ამ სამართლებრივი პროცედურის ჩასატარებლად კი ორი წელი მაინცაა საჭირო. საქმეში ჩახედულთა ვარაუდით, ინფორმაციით დატვირთული შოთა ჭიჭიაშვილის საქართველოში ექსტრადიცია არ განხორციელდება, რადგან ეს ხელს არ აძლევთ მის ყოფილ პარტნიორებსა და იმ ექსმაღალჩინოსნებს, რომლთაც დღესაც დიდი გავლენა აქვთ.

სხვათა შორის, "24 საათში" გამოქვეყნებულ ესპანელ ბიზნესმენთა ჩვენებაზე კომენტარის გაკეთება უშიშროების სამინისტროს ვთხოვეთ, რაზეც კატეგორიული უარი მივიღეთ. **"ამ საქმეზე კომენტარს არ ვაკეთებთ,"** – ასეთი იყო საზოგადოებასთან ურთიერთობის ბიუროს დირექტორის ნიკა ლალიაშვილის პასუხი. არადა, როგორც გითხარით, უშიშროების სამინისტროს ყველა საჭირო მტკიცებულება მოეპოვება იმისთვის, რომ პასუხისგებაში მისცეს ის მაღალჩინოსნები, რომლებიც თავიანთ თანამდებობრივ გავლენას იყენებდნენ პანკისის ხეობის უკონტროლო ზონად ქცევისთვის და თავიანთი დანაშაულებრივი საქმიანობისთვის; ამიტომაც, უშიშროების სამინისტროს ამჟამინდელი პოზიცია (ანუ უმოქმედობა) სერიოზულ ეჭვებს აღძრავს იმის თაობაზე, რომ ლოგიკური დასასრული ამ საქმესაც არ უწერია.

**"სულიკო, რომლის მანქანიდანაც გაგვიტაცეს, თბილისის პოლიციის უფროსი იყო, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე ვიცოდით. შემდეგ გავიგე ისიც, რომ გენერალი ლევანი, რომელსაც კარგად ვიცნობდი (იგივე ლევან კენჭაძე), სულიკოს შვილის - გიორგის ნათლია ყოფილა. ტყვეობის განმავლობაში "კაპიტანი" მეუბნებოდა, რომ ვიღაც ესპანელმა ბიზნესმენმა მიაწოდა ინფორმაცია გენერალ ლევანს თქვენ შესახებ და ლევანმა მოაწყო ეს ყველაფერიო,"** – განაცხადეს ყოფილმა მძევლებმა ესპანეთში მიცემულ ჩვენებაში. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, სულიკო კობიაშვილი, რომელიც ესპანელ ბიზნესმენებს საქართველოში მეგზურობას უწევდა, საგზაო პოლიციის მაშინდელი უფროსის თემურ კობიაშვილის ძმა გახლავთ. არსებული ინფორმაციით, თავის დროზე იგი ლევან კენჭაძის მძღოლის ფუნქციას ასრულებდა.

ესპანელ ბიზნესმენთა გატაცების საქმეზე უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილი უფროსის ლევან კენჭაძისა და იმ ყოფილი მაღალჩინოსნების კომენტარს, რომელთა სახელებმაც ამ საქმესთან კავშირში გაიჟღერა, "24 საათის" მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

MBG ემბიჯი
MICROFINANCE BANK OF GEORGIA
საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი

ჩვენი მისია:

ჩვენ გთავაზობთ:




ფილიალების ქსელი

bp btc AIOC

აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის ოფშორული საბადოების ათვისების I ფაზის პროექტი და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საექსპორტო მილსადენის პროექტი

პროექტის დოკუმენტაციის საერთაშორისო საჯარო განხილვის პროცესი

აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის ოფშორული საბადოების ათვისების I ფაზის პროექტი გულისხმობს კასპიის ზღვის საბადოების ათვისებას, აზერბაიჯანის სანაპირო ზოლში. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტი მიზნად ისახავს 1760 კმ სიგრძის მილსადენის მშენებლობას, რომლითაც მოხდება ყოველდღიურად ერთ მილიონ ბარელამდე ნედლი ნავთობის ტრანსპორტირება აზერბაიჯანიდან,საქართველოს გავლით, თურქეთის მიმართულებით,სადაც ნავთობი შემდეგ მიეწოდება მსოფლიო ბაზრებს,და რომლის ამოქმედება 2005 წლიდან არის დაგეგმილი. ამ პროექტებში განხორციელებული ინვესტიციები ჯამში 10 მილიარდამდე აშშ დოლარს მიაღწევს,რაც მათ შორის მოიცავს 3,2 მილიარდ აშშ დოლარს აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის I ფაზის განვითარებისათვის და 2.95 მილიარდ აშშ დოლარს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საექსპორტო მილსადენისათვის. ორივე პროექტს წარმართავს კომპანია "BP",თითოეული ამ პროექტის საერთაშორისო ინვესტორთა ჯგუფების სახელით.

ერთობლივი მანდატის ფარგლებში, "საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია" (IFC) მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი, რომელიც ახორციელებს ინვესტიციებს კერძო სექტორში და "ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი" (EBRD) ამჟამად განიხილავენ თითოეული 100 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფის საკითხს აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის საბადოების ათვისების I ფაზის პროექტისათვის და თითოეული დამატებით 150 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფას – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის დაფინანსების მიზნით.

პროექტების მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტექსტში, რომელიც გულისხმობს პროექტების მშენებლობის და ექსპლოატაციის ეტაპების რეალიზაციის გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროებისადმი საპასუხისმგებლო დამოკიდებულების პირობებში, პროექტებმა მიმართეს უპრეცედენტო ნაბიჯებს – გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამჭვირვალობის და საზოგადოების მონაწილეობის დონის ამაღლების მიზნით, რაც, მათ შორის, მოიცავდა გარემოსდაცვითი და სოციალურ საკითხებზე ფართომასშტაბიანი საზოგადოებრივი კონსულტაციების და საჯარო განხილვების ორგანიზებას,გასული ორი წლის განმავლობაში. პროექტების ტერიტორიის მიმდებარე სამივე ქვეყანაში მოეწყო "ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების" ანგარიშების საჯარო განხილვა და ეს დოკუმენტები ფართო საზოგადოების შესწავლის საგანი გახდა,რასაც 2002 წელს მოჰყვა დოკუმენტების დამტკიცება ქვეყნების მთავრობების მიერ.

ქვეყნების ტერიტორიაზე პროექტების ზემოქმედების არეალში მოქცეულ მოსახლეობასთან, პროექტების ქვეყნების ხელისუფლების ორგანოებთან და სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კონსულტაციების გარდა, ზოგიერთი საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტების მოთხოვნით, რომელიც პროექტის დაფინანსების შესაძლებლობას განიხილავს, უნდა მომზადდეს და საჯარო განხილვას დაექვემდებაროს "გარემოსდაცვითი შეფასების" დოკუმენტაცია,რაც უზრუნველყოფს,ამავე ინსტიტუტების და ორგანიზაციების შესაბამისი პოლიტიკის წესების და სახელმძღვანელო პრინციპების შესრულებას. ამ მოთხოვნიდან გამომდინარე, შეიქმნა დიდი მოცულობით დამატებითი დოკუმენტაციის მომზადების აუცილებლობა, რომელიც გაერთიანდა დოკუმენტების ამ პაკეტში, რომელიც ამჟამად არის წარმოდგენილი საჯარო განხილვისათვის.

წინამდებარე განცხადებით იხსნება საჯარო განხილვის 120-დღიანი პერიოდი (2003 წლის 12 ივნისიდან) რომელიც წინ უძღვის პროექტის დაფინანსების საკითხის განხილვას "საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის" და "ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის" მიერ. ეს ორგანიზაციები მიესალმებიან შენიშვნებს და მოსაზრებების მიღებას საზოგადოების წევრების,არასამთავრობო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოებრივი ჯგუფების და სხვა დაინტერესებული მხარეებისაგან.

ფართო საზოგადოებას შეუძლია გაეცნოს საჯარო განხილვის მასალებს ინტერნეტ-გვერდზე, რომლის მისამართია www.caspiandevelopmentandexport.com ან მსოფლიო ბანკის "Infoshop"-ში (701 18th Street, N.W., Washington D.C., U.S.A). და EBRD ს საინფორმაციო ბიზნეს ცენტრში (One Exchange Square London სამუშაო საათებში).

აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტების დოკუმენტაციის ასლების გაცნობა შესაძლებელია აგრეთვე ქვემოთ მითითებულ მისამართებზე:

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის ოფისი,საბურთალოს ქ.38 თბილისი,ტელ: 59 34 00

რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრი კავკასიისათვის ჭავჭავაძის პრ. 74,ოთახი 901,თბილისი

ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გუდიაშვილის ქ. 7,თბილისი

რუსთავის მერიაში კოსტავას ქ.20,რუსთავი

ახალციხის მერიაში კოსტავას ქ.18,ახალციხე

შეკითხვები და კომენტარები უნდა მიეწოდოს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის თბილისის ოფისს ან გაეგზავნოს "საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას" და "ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს" მათი ინტერნეტ-მისამართების მეშვეობით (www.ifc.org or www.ebrd.com )

უცხოეთი

## აზერბაიჯანის პრეზიდენტი კვლავ ჰოსპიტალშია

ტელეკომპანია "ბი-ბი-სი" ჰეიდარ ალიევის ადმინისტრაციაზე დაყრდნობით იუწყება, რომ აზერბაიჯანის პრეზიდენტი თურქეთში სამედიცინო აკადემიაში გადაიყვანეს.

არანაირი ინფორმაცია არ არსებობს იმის თაობაზე, რა სახის გამოკვლევა უნდა ჩაუტარდეს აზერბაიჯანის 80 წლის პრეზიდენტს.

ტელევიზიით აჩვენეს კადრები, სადაც ალიევი თურქეთისა და იტალიის დელეგაციებს ხვდება. ამ სატელევიზიო სიუჟეტებში პრეზიდენტი ცუდად არ გამოიყურებოდა.

უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ჰეიდარ ალიევის ჰოსპიტალიზაცია უკვე მეორედ მოხდა. აპრილში ალიევს გულის შეტევა ტრიბუნაზე მყოფს დაემართა.

ამბობენ, რომ ამის შემდეგ მან რამდენიმე დღე რეანიმაციაში გაატარა.

სხვადასხვა წყაროს ინფორმაციით, ჰეიდარ ალიევის ჯანმრთელობის მდგომარეობა უკანასკნელ თვეებში კიდევ უფრო გაუარესდა. არადა, ჰეიდარ ალიევმა ოქტომბერში დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარი კანდიდატურა უკვე წამოაყენა.

დღემდე ალიევს ერთი ინფარქტი და სამი ოპერაცია აქვს გადატანილი. როგორც ჩანს, მოქმედი პრეზიდენტის მძიმე მდგომარეობა დღევანდელმა მმართველმა პარტიამ გაითვალისწინა და საპრეზიდენტო არჩევნებში ჰეიდარ ალიევთან ერთად წამოაყენა მისი ვაჟის - ილჰამის კანდიდატურაც.

## რუსეთში ტერაქტში ეჭვმიტანილები დააკავეს

გუშინ რუსეთის პოლიციამ ორი ადამიანი დააკავა. ისინი მოსკოვში გამართული როკ-ფესტივალის დროს განხორციელებულ ტერაქტში არიან ეჭვმიტანილები.

შინაგან საქმეთა მინისტრის ბორის გრიზლოვის თქმით, პოლიციის ოფიცრებმა მოსკოვის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში 30 კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება აღმოაჩინეს. მინისტრის განცხადებით, ეს რაოდენობა 30 კამიკაძეს ეყოფოდა.

გრიზლოვის მტკიცებით, შესაძლოა, გუშინ დაკავებული ორი პიროვნება მომავალი ტერორისტი თვითმკვლელები იყვნენ.

შინაგან საქმეთა მინისტრმა აგრეთვე განაცხადა, რომ მათ სამხილი აქვთ იმ პიროვნების წინააღმდეგ, რომელმაც შაბათს აფეთქების ბრძანება გასცა. შაბათს ორმა თვითმკვლელმა ტერორისტმა ქალმა თავი აიფეთქა და 14 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

რუსეთის უშიშროების ძალები ტერორისტული აქტების ორგანიზატორების ძიებას გამალებულები აგრძელებენ. მათ მობილური ტელეფონების ოპერატორებს მოსკოვსა და მის შემოგარენში ყველა სიგნალის გაშიფვრა უბრძანეს.

გამომძიებლები იმედებს ამყარებენ ერთ-ერთი კამიკაძის მობილური ტელეფონის სიმბარათზე- აფეთქების შემდეგ ერთ-ერთ ქალს მობილური ტელეფონი აღმოუჩინეს.

პოლიცია ცდილობს, ამ ტელეფონიდან გაკეთებული ზარების ადრესატები დაადგინოს. გამომძიებელთა აზრით, კამიკაძე-ქალების ასაფეთქებელი მექანიზმი დისტანციური მართვის მოწყობილობით იმართებოდა. სავარაუდოდ, ორგანიზატორებმა დროზე ადრე დააჭირეს ხელი ღილაკს, ამიტომაც მსხვერპლის რაოდენობა გაცილებით მცირეა, ვიდრე შეიძლება ყოფილიყო.

# ელბარადეი ირანში დეტალური ინსპექტირების ჩატარებას მოითხოვს





ელბარადეი.

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს დირექტორი მოჰამად ელბარადეი ირანს ეწვია, რათა ქვეყნის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებები განაახლოს და ისინი ე.წ. დამატებითი პროტოკოლის ხელმოწერაზე დაითანხმოს. დამატებითი პროტოკოლი ატომური ენერგიის სააგენტოს საშუალებას მისცემს, ირანში ბირთვული რეაქტორების დეტალური ინსპექტირება ნებისმიერ დროს ჩაატაროს.

ირანში ელბარადეის ჩასვლის წინ რუსეთმა და საფრანგეთმა თეირანს მოუწოდეს დამატებითი პროტოკოლის ხელმოწერისაკენ. მათი განცხადებით, ეს ირანის ბირთვული პროგრამების თაობაზე არსებულ ყველა ეჭვს გაფანტავს.

აღსანიშნავია, რომ ელბარადეის ვიზიტი ისრაელის მიერ გაკეთებულ განცხადებას დაემთხვა. ისრაელის ხელისუფლებამ ირანის მიერ ახალი რაკეტების "შაჰაბ 3"-ის გამოცდის გამო დიდი შეშფოთება გამოთქვა, რომლის მოქმედების რადიუსი ისრაელსაც მოიცავს.

ფრანკფურტის აეროპორტში, თვითმფრინავში ჩაჯდომის წინ, ელბარადეიმ განაცხადა, რომ ირანისათვის უმჯობესია, დეტალური ინსპექტირების რეჟიმს დათანხმდეს.

"თუ ისინი კარგად გააანალიზებენ ყოველივეს, მიხვდებიან, რომ ამ ნაბიჯის გადადგმა მათ ინტერესებში შედის", - აღნიშნა ელბარადეიმ.

მისი თქმით, თეირანის თანამშრომლობაზე დათანხმება ხელს შეუწყობს ირანზე დაწესებული ემბარგოს მოხსნას.

ივნისში გაკეთებულ მოხსენებაში ელბარადეიმ აღნიშნა, რომ ირანი ატომური ენერგიის სააგენტოსთან სათანადოდ არ თანამშრომლობს. თებერვალში, ვიზიტის დროს, ელბარადეიმ ნათანცში მშენებარე ბირთვული საწარმო მოინახულა, რომელიც თეირანის სამხრეთით, 320 კილომეტრის დაშორებით შენდება.

ამ საწარმოს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან სწორედ იქ მუშაობს რამდენიმე ცენტრიფუგა, რომელიც ურანის გასამდიდრებლად შეიძლება იქნეს გამოყენებული. გამდიდრებული ურანი კი ატომური ბომბის ძირითადი შემადგენელი ელემენტია.

"ვფიქრობ, რომ ირანისათვის მაქსიმალური გამჭვირვალობა და ამ გამჭვირვალობის მეშვეობით ნდობის შექმნა არის აუცილებელი", - განაცხადა ელბარადეიმ ირანის საგარეო საქმეთა მინისტრთან ქემალ ხარაზისთან შეხვედრის შემდეგ. "ჩვენი მოქმედებები ყოველთვის გამჭვირვალე იყო და მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი, რომ მომავალშიც ასე გავაგრძელოთ, რადგან დასამალი არაფერი გვაქვს", - თავის მხრივ განაცხადა ქემალ ხარაზიმ.

დღემდე ირანი ატომური იარაღის შექმნას კატეგორიულად უარყოფს. მან ატომური ენერგეტიკის სააგენტოს მოთხოვნებს "პოლიტიკურად მოტივირებული" უწოდა. თეირანის მტკიცებით, ირანს ბირთვული საწარმოები ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად სჭირდება.

ემიგრაციაში მყოფმა ირანის ხელისუფლების ოპოზიციურმა ჯგუფმა - ირანის ეროვნული წინააღმდეგობის საბჭომ – სამშაბათს, ვაშინგტონში გამართულ შეკრებაზე განაცხადა, რომ ირანში ინერგება ურანის გასამდიდრებელი ახალი ტექნოლოგია. მათი თქმით, ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი საწარმო კოლადუზშია განლაგებული. ეს ადგილი თეირანიდან 10 კილომეტრით არის დაშორებული. ეროვნული წინააღმდეგობის საბჭოს წარმომადგენლის ალირეზა ჯაფარზადეს თქმით, ურანის გამამდიდრებელი მოწყობილობა ერთ-ერთი სამრეწველო კომპლექსის შიგნით არის დამალული. ურანის გამამდიდრებელი ცენტრიფუგა გამოცდას სწორედ იქ გადის.

ამავე ჯგუფის მტკიცებით, ირანში, არდეკანში, კიდევ ერთი ბირთვული საწარმო შენდება. ჯაფარზადეს ინფორმაციით, მშენებლობა ორ წელიწადში დასრულდება.

საინფორმაციო სააგენტო "როიტერი" დასავლელ დიპლომატებზე დაყრდნობით იუწყება, რომ ირანის მმართველ წრეებში ცხარე დებატები მიმდინარეობს, დათანხმდნენ სააგენტოს მოთხოვნებს, თუ - არა. მათი ინფორმაციით, არსებობს გარკვეული ნიშნები იმისა, რომ ირანის ხელისუფლება დამატებით პროტოკოლს ხელს მოაწერს.

ირანზე ზეწოლის ერთ-ერთ მექანიზმად დასავლეთი ეკონომიკურ ბერკეტებსაც იყენებს. ევროკავშირმა ირანი გააფრთხილა, რომ სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმება თეირანის ატომური პროგრამების გამჭვირვალობაზე იქნება დამოკიდებული. იაპონიამ კი ირანში 2 მილიარდი დოლარის ინვესტიცია შეაჩერა მანამ, სანამ თეირანი ატომურ სააგენტოსთან ურთიერთობას საბოლოოდ არ გაარკვევს.

# ბუშის აფრიკული ტურნე შეცდომების აღიარებით გრძელდება

ლევან ღირსიაშვილი


ჯორჯ ბუში და ტაბო მბეკი.

REUTERS

აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის აფრიკულ ტურნეს თეთრი სახლის ძველ განცხადებებში ცვლილებების შეტანა მოჰყვა. აშშ-ის ადმინისტრაცია აღიარებს, რომ იანვარში პრეზიდენტ ბუშის განცხადება - თითქოს ერაყი ნიგერიისგან ურანის შესყიდვას ცდილობდა - მცდარ დოკუმენტებზე იყო დაფუძნებული. ეს დოკუმენტები კი, როგორც გაირკვა, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ მომზადდა.

28 იანვარს, კონგრესის წინაშე ყოველწლიური გამოსვლის დროს ("ქვეყანაში არსებული ვითარების შესახებ"), პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა: "ბრიტანეთის ხელისუფლებამ შეიტყო, რომ სადამ ჰუსეინს ცოტა ხნის წინ აფრიკაში დიდი რაოდენობით ურანის შესყიდვა სურდა." საუბარი შეეხებოდა სამ აფრიკულ ქვეყანას: ნიგერიას, ნამიბიას და გაბონს. თუმცა ძირითადი ყურადღება მაინც ნიგერიაზე იყო გამახვილებული. უკვე მარტის თვეში ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტომ გაერო-ს უშიშროების საბჭოში განაცხადა, რომ მონაცემები, თითქოს ერაყი ნიგერიაში ურანის ყიდვას ცდილობდა, სინამდვილეს არ შეესაბამებოდა.

სააგენტო "ბი-ბი-სის" ცნობით, ჯერ კიდევ შარშან ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ ნიგერიაში მიავლინა აშშ-ის ყოფილი ელჩი გაბონში ჟოზეფ უილსონი, რომელსაც ერაყის საიდუმლო კავშირები უნდა შეემოწმებინა. უილსონის განცხადებით, ის ნიგერიის ხელისუფლების წევრებს შეხვდა, რომლებმაც კატეგორიულად უარყვეს ერაყთან გარიგების მცდელობის ვერსია. ჟოზეფ უილსონის ვიზიტი საკმაოდ გასაიდუმლოებული იყო. ჯერჯერობით უცნობია, თუ რა სახის მოხსენება წარუდგინა მან დაზვერვის ხელმძღვანელობას და რა ცნობა მიაწოდა დაზვერვის შეფმა პრეზიდენტს. ცხადია, რომ პრეზიდენტმა ბუშმა თავისი მოხსენება სწორედ დაზვერვაზე დაყრდნობით გააკეთა.

გაზეთ "ვაშინგტონ პოსტს" აშშ-ის ადმინისტრაციის ინკოგნიტო წარმომადგენელმა განუცხადა, რომ აშშ-ის და ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურებს შესაბამისი დოკუმენტაცია მოკავშირე ქვეყნის სადაზვერვო სამსახურმაც მიაწოდა. ინკოგნიტო წყარომ უარი განაცხადა, დაესახელებინა ეს მესამე ქვეყანა. თუმცა, "ვაშინგტონ პოსტმა" სხვა წყაროს მეშვეობით დაადგინა, რომ საუბარი იტალიას შეეხება.

ასეა თუ ისე, თეთრმა სახლმა უკვე აღიარა, რომ დოკუმენტაცია გაყალბებული იყო. ამის შესახებ კი აშშ-ის ეროვნული უშიშროების საბჭოს პრესმდივანმა მაიკლ ანტონმა განაცხადა.

**"ჩვენ რომ გვცოდნოდა ის, რაც დღეს გავიგეთ, მაშინ ცნობა ერაყის მიერ აფრიკაში ურანის შესყიდვის მცდელობის შესახებ მოხსენებაში არ აღმოჩნდებოდა,"** -განუცხადა სააგენტო "ბი-ბი-სის" ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენელმა.

საინტერესოა, რომ ერაყის შესახებ დოსიეს გაყალბებამ ლონდონში არნახული სკანდალი გამოიწვია და ტონი ბლერის კარიერას სერიოზული პრობლემები შეუქმნა. აშშ-ში კი ამ ფაქტმა არც თუ ისე დიდი მღელვარება გამოიწვია.

ამასობაში კი აშშ-ის პრეზიდენტი აგრძელებს მოგზაურობას აფრიკის ქვეყნებში. გუშინ იგი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტს ტაბო მბეკს შეხვდა. დილით გამართული მოლაპარაკების შემდეგ ორივე პრეზიდენტი ჟურნალისტებს შეხვდა და ბრიფინგი გამართა.

თეთრი სახლის მეთაურმა ისაუბრა რეგიონის უსაფრთხოებაში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის როლზე. მან განსაკუთრებით აღნიშნა სამხრეთ აფრიკის მიერ შეტანილი წვლილი ბურუნდიში, კონგოსა და ზიმბაბვეში სტაბილურობის დამყარების საქმეში.

ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ აშშ რეგიონში სამშვიდობო პროცესის გაძლიერებისათვის 100 მილიონი ამერიკული დოლარის გამოყოფას აპირებს.

დამკვირვებლები მიუთითებენ, რომ სამხრეთ აფრიკასა და აშშ-ის შორის განსხვავებულ პოლიტიკურ მიდგომათა მთელი სპექტრი არსებობს. პირველ რიგში, უთანხმოება ერაყის საკითხს უკავშირდება. კერძოდ, პრეზიდენტმა მბეკმა სადამ ჰუსეინის იარაღით დამხობის პოლიტიკა მკვეთრად გააკრიტიკა. გარდა ამისა, ის არ ეთანხმება თეთრი სახლის მოსაზრებას, რომ ზიმბაბვეს კრიზისის გადაჭრა პრეზიდენტ მუგაბეზე ზეწოლით არის შესაძლებელი; თუმცა, რასაკვირველია, არსებობს საერთო ხედვაც და ინტერესებიც. კერძოდ, აშშ და სამხრეთ აფრიკა ურთიერთშორის ვაჭრობის განვითარებით უკიდურესად არიან დაინტერესებულნი. გარდა ამისა, მათი ინტერესები რეგიონში შიდსთან ბრძოლის საკითხშიც ემთხვევა ერთმანეთს. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა შიდსით ინფიცირებულთა რაოდენობის მიხედვით მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. ამდენად, პრეზიდენტი მბეკი ამ პრობლემასთან ბრძოლის მიზნით აშშ-ის მიერ 15 მილიარდი დოლარის გამოყოფას, რასაკვირველია, კმაყოფილებით შეხვდება.

# გლებ პავლოვსკი: „კავკასიაში არჩევნები ელექტორალურ პროგნოზს არ ემორჩილება„

პირველი გვერდიდან

**- გამოდის, რომ კრემლი, ანუ ფედერალური ცენტრი ჩეჩნეთის არჩევნებში არ ჩაერევა?**

- რუსეთის ფედერალურ ხელისუფლებას ჩეჩნეთში არჩევნების წინაპერიოდში არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს, თუ როგორ დასრულდება კენჭისყრა. მსგავსი პროგნოზები უმადური საქმეა და საშიშიც. ამ ეტაპზე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ კრემლი აჰმედ კადიროვზე აკეთებს აქცენტს. რუსეთის ხელისუფლებისათვის მისაღებია ნებისმიერი ლიდერი, რომელსაც ჩეჩენი ხალხი აირჩევს. ჩეჩნეთში საომარი პროცესის პოლიტიკურში გადატანა დღეს ფედერალური ხელისუფლების მთავარი ამოცანაა.

**- როგორია პოლიტიკურ ძალთა განლაგება საპარლამენტო არჩევნების წინ რუსეთში?**

- რუსეთის სათათბიროს მომავალ შემადგენლობაში აბსოლუტურ უმრავლესობაში იქნება პროპრეზიდენტული ძალა. სახელისუფლებო ძალებით დაკომპლექტდებიან მოწინავე პარტიებიც. როგორი იქნება ამ პარტიების საარჩევნო სიები და პერსონალური შემადგენლობა, ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. წინასწარ კი იმის თქმა შეიძლება, რომ ყველა პოლიტიკურ პარტიას ჯაბნის "ედინაია როსია". იგია აბსოლუტური ლიდერი. ამ პარტიას აქვს სოლიდური პოლიტიკური რესურსი და შეუძლია მნიშვნელოვნად გაუსწროს ყველას. არ გამოვრიცხავ, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ამომრჩეველთა ხმებისათვის ნამდვილი ბრძოლა გაჩაღდეს სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს შორის. "ედინაია როსია", რომელიც რუსეთის პრეზიდენტს უჭერს მხარს, ამ ველზე ყველაზე ძლიერი მოთამაშეა, რომელმაც შეძლო პარტიის მომხრეთა პრეზიდენტის მომხრეებთან გაიგივება.

შეიძლება, სერიოზული პრობლემები გაუჩნდეს კომუნისტურ ოპოზიციას. ამ პარტიის ელექტორატის უმრავლესობა რუსეთის დიდი ქალაქებისა და რეგიონების აქტიური ჯგუფებია, რომელთათვისაც რეალურად გენადი ზიუგანოვი მიუღებელი ლიდერია. ასეთი ტრადიციაა რუსეთში: კომპარტიის მომხრეთა 80 პროცენტს არ სჯერა, რომ რუსეთის პრეზიდენტი ოდესმე შეიძლება კომუნისტი გახდეს.

პესიმისტური პროგნოზი მაქვს ლდპრ-ის მიმართაც. ჟირინოვკის პარტიაში გაუნათლებელი ახალგაზრდების ადგილს იკავებენ წვრილი და საშუალო ბიზნესიდან მოსული ვაჭრუკანები.

რაც შეეხება რუსეთის მემარჯვენეებს, დღეს იქ საერთოდ არაფერი ხდება. რუსეთის მემარჯვენეების გადაუჭრელი პრობლემაა ლიდერისა და საარჩევნო სიაში პირველი კაცის გამონახვა. სხვა სერიოზულ ძალებს მე ვერ ვხედავ.

ფოსტა

# მიხა არაბული: „აქა ვწევარ და სხვაგვარ არ ძალმიძს!„

ღია წერილი **ქალბატონ რუსუდან პიტავას** (ვიღაც ჩიქოვანისა და ვარდანაშვილების სამოქალაქო საქმის გამო)

*8 წელია, გრძელდება სამოქალაქო დავა მწოლიარე მწერლის, მიხა არაბულის ოჯახსა და მის მეზობლად მდებარე სახლის პატრონს, იზოლდა ჩიქოვანს შორის. ჩიქოვანი მეზობელ ვარდანაშვილებს (ვარდანაშვილი მიხა არაბულის მეუღლის გვარია, რომელიც ეზო გარემოს ოფიციალური მფლობელია) სამანქანო გზისთვის საჭირო ეზოს ნაწილს სთხოვს. თავდაპირველად, ჩიქოვანს შანსი არ ჰქონდა, მაგრამ კანონში ცვლილების შემდეგ, აუცილებელი გზის შესახებ, საჩივარი განაახლა და ვაკე-საბურთალოს სასამართლოში წარმატებასაც მიაღწია. ვარდანაშვილებმა აპელაცია საოლქოში შეიტანეს, რომელმაც საქმე უზენაესს გადაუგზავნა (ამ პროცესის შესახებ "24 საათში" ორჯერ იყო ინფორმაცია).*

*სწორედ ამ დროს შემოვიდა რედაქციაში მიხა არაბულის ღია წერილი მოწინააღმდეგე მხარის ყოფილ ადვოკატ რუსუდან პიტავასადმი, რომელიც აშკარად სცდება პირადულის ფარგლებს.*


მიხა არაბული

ქალბატონო რუსუდან! თქვენ თქვენი საქმის დიდი სპეციალისტი, საქართველოს გასული წლის საუკეთესო იურისტი და სახელგასმენილი ადვოკატი ბრძანდებით. იმდენად ძლიერი, რომ ცათამდე მართალთ, ვაკე-საბურთალოს ჩვენთვის ავადსახსენებელ სასამართლოში სამოქალაქო საქმე კინაღამ წაგვაგებინეთ, მაგრამ, როცა მიხვდით, რომ სასამართლოს მოხელენიც, თქვენი დაცვის ქვეშ მყოფი მახათაძეც და მათთან შეკრული ჩვენი ე.წ. ადვოკატიც ფარული და საძრახისი გზებით, ხერხებითა და მეთოდებით ცდილობდნენ ჩვენს დამარცხებას და ჩვენთვის კერძო საკუთრების წართმევას, თქვენ ამ ინტრიგას განერიდეთ და მთავარ სხდომას აღარ დაესწარით.

ამისთვის მადლობას გიხდით, ღირსეულო ქალბატონო!

მაგრამ ერთი შეკითხვა კი მინდა დაგისვათ: თუ გინახავთ ერთხელ მაინც უჩინარი მოსარჩელე და თუ გინახავთ, ან მისთვის, ან ჩვენი მაოხრებელი მახათაძისთვის თუ გიკითხავთ შინაურულად მაინც, რატომ იყიდეს ჩვენგან დამალულად და დაფარულად ასეთი სახლი, რას გვერჩოდნენ? ამისთანა ვითარებაზე ამბობს რუსთაველი: „რას მაქმნევდით, რა გინდოდათ, ერთმანეთსა რითა ვჰგვანდით? თქვენ მორჭმულნი სთამაშობდით, ჩვენ მტირალნი ღაწვთა ვბანდით". ეს მოძალადენი წესიერი მყიდველები რომ ყოფილიყვნენ და იმ სამწელნახევრის განმავლობაში ერთხელ მაინც გაგვცნობოდნენ და დაგველაპარაკებოდნენ, ჩვენ აუცილებლად კარგი მეზობლობა გვექნებოდა და არც თმენის ვალდებულება წარმოიშვებოდა, ქალბატონო რუსუდან!

„არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა".

ახლახან ერთმა ღვთისნიერმა ადამიანმა გამაცნო ბრწყინვალე ახალგაზრდა კაცი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, თქვენი კოლეგა შალვა ქურდაძე, რომელიც სრულიად უანგაროდ, საკუთარი ინიციატივით, მეორე ეტაპზე ჩაერთო სამოქალაქო პროცესში ჩვენს დასაცავად. გამაოცა მისმა პროფესიონალიზმმა, ცოდნამ, კანონებისადმი პატივისცემამ და განსაკუთრებით კოლეგებისადმი დამოკიდებულებამ. აღარას ვამბობ ალღოსა და გუმანზე, რომელიც აუცილებლად უნდა ჰქონდეს ყველა ჭეშმარიტ იურისტს მტყუან-მართალის გასარჩევად...

სწორედ შალვამ თქვა თქვენზე: ქალბატონი რუსუდანი მაღალკვალიფიციური ადვოკატია, ზნესრული პიროვნებაა და ამდენად უსამართლობას და უკანონობას ვერ აიტანდაო. ამ ღია წერილის დასაწერადაც მისმა ნათქვამმა მიბიძგა...

ისე კი, ქალბატონო რუსუდან, ჩვენი კანონები რომ მხოლოდ მდიდრებისათვის არის დაწერილი, საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობას რომ არ შეესაბამება და კარგი რომ არაფერი მოაქვს ქვეყნისთვის, ამაშიც ალბათ დამეთანხმებით.

მოდით, ქალბატონო რუსუდან, მე და თქვენ თბილისის გარეუბნებში არსებული საცხოვრისები პირობითად სამ კატეგორიად დავყოთ. პირველ კატეგორიაში გავამწესოთ ნებართვიანი, მუდმივი სარგებლობისათვის დადგენილი წესით გამოყოფილი მიწის ნაკვეთებზე აშენებული სახლები, რომლებსაც აქვთ სამანქანე გზა და საქართველოს კანონით გამოცხადებულია კერძო საკუთრებად. მეორე კატეგორიაში გავამწესოთ უნებართვო, მიტაცებულ მიწის ნაკვეთებზე თვითნებურად აშენებული სახლები, რომელთაც არა აქვთ სამანქანე გზა და რომლებიც დანაშაულებრივი გზით აშენდა და დაკანონდა თავის დროზე, მაგრამ მათი მიწის ნაკვეთები ვერასოდეს იქცევიან კერძო საკუთრებად. მესამე კატეგორიაში გავამწესოთ ყველა სხვა სამფლობელო, რომელთაც, II კატეგორიის სახლების მსგავსად, არა აქვთ სამანქანე გზა, აქვთ მხოლოდ საცალფეხო მისასვლელები, მაგრამ მაინც ცხოვრობს იქ ხალხი.

ჩემი აზრით, უზნეობა იქნება II და III კატეგორიის მოსახლენი, აუცილებელი სამანქანე გზის მოთხოვნით, I კატეგორიის მოსახლეს, ანუ მიწის კერძო მესაკუთრეს რომ დაუპირისპირდნენ. ამას, მგონი, არასათანადო მოსარჩელე ჰქვია.

უზნეობას კი კანონი და სამართალი წინ უნდა აღუდგეს.

გარდა ამისა, რაც ახლა გითხარით, ვინმე დ.ო. ჩიქოვანი იმიტომაც არის არასათანადო მოსარჩელე, რომ ჩვენ მას საერთოდ არ ვიცნობთ, თვალით არ გვინახავს და ამდენად, ჩვენ მასთან სამეზობლო სამართლის მუხლებით არ უნდა განვისჯებოდეთ.

ყველაფერში დამნაშავეა დედამისი ი.გ. მახათაძე. ამ მკვეხარა ქალბატონმა 1991 წლის შემოდგომაზე ჩვენი გაჭირვებული მეზობლის გურგენიძისაგან ჩალის ფასად იყიდა ყოველმხრივ შემოზღუდული უგზო სახლი, დანაშაულებრივი გზით დააკანონებინა, 1992 წლის გაზაფხულზე დ.ო. ჩიქოვანზე გააფორმა და სამი წლის გასვლის შემდეგ საბურთალოს რაიონულ სასამართლოში სარჩელი შეიტანა - სამანქანე გზას არ მაძლევენ ვარადანაშვილებიო. ჩვენც მხოლოდ მაშინ გავიცანით იგი. რვა წელია სასამართლოებში დაათრევს ჩემს მეუღლეს და ისედაც გასაცოდავებული და გაუბედურებული ქალი სიკვდილის პირას მიიყვანა.

ქალბატონო რუსუდან! როცა მიხვდით, რომ ჩვენს პროცესში რაღაც თქვენს მორალთან შეუსაბამო და უჩვეულო ხდებოდა, ვგონებ, ამიტომაც ასცილდით ამ საქმეს. ყოველ შემთხვევაში, მინდა ასე მჯეროდეს.

არც მახათაძესა და არც ჩიქოვანს თავის ამ ეგრეთ წოდებულ სახლში ერთი ღამეც არ გაუთევიათ. მათ ეს სახლი იმთავითვე გასაყიდად უნდოდათ. ძველმა მეზობლებმა მშვენივრად ვიცოდით, ვისი რა იყო და ვის რისი უფლება ჰქონდა.

მახათაძემ აქ, ჩვენს ძველ მეზობლებშიც ჩამოაგდო მტრობა, ჩემი იმედი გქონდეთ, ვაკე-საბურთალოს სასამართლოში არაფერს გაგიჭირვებთო, - წააქეზა კალმახელიძეები (ჩემი აღრიცხვით, III კატეგორიის სახლის მფლობელნი) კიკვიძეების (I კატეგორიის სახლის მფლობელნი) წინააღმდეგ და ეს პატიოსანი და წყნარი რაჭველები, ადრე რომ უერთმანეთოდ პურს არ ჭამდნენ, დანა-სისხლად გადაჰკიდა ერთმანეთს. ერთი სიტყვით, ბედნიერია, ვინც ამ ბოროტების განსახიერებას არ იცნობს.

ქალბატონო რუსუდან! მოგმართავთ, როგორც ერთ-ერთ საუკეთესო იურისტს: შეხვდით თქვენს კოლეგებს, თქვენებრ ცნობილ იურისტებს, ახალი მოწვევის კანონმდებლებს, მოილაპარაკეთ და შეთანხმდით, რომ 180-ე მუხლის განმარტებებში, იქ, სადაც საუბარია სამანქანე გზაზე, **ჩაემატოს: "ოღონდ არა ქალაქის პირობებში".** ამით თქვენ დიდ და კარგ საქმეს გააკეთებთ. ჯერ ერთი, მოსპობთ კორუფციის ერთ-ერთ სარუეს, და მეორე და მთავარი: კვლავ აღდგება ძველი, უპრეტენზიო და თბილი, ნამდვილქართული სამეზობლო ურთიერთობანი და პრობლემებიც მოგვარდება.

მე კი პირობას ვდებ, რომ სანამ პირში სული მიდგას, ჩვენს კერძო საკუთრებას მოძალადეთაგან როგორმე დავიცავ, შვილებს არ ჩავრევ ამ საქმეში, არც სოფიკოს ვალს შევარჩენ არავის და ზემო ვეძისის 33 ა-ს ვერც ახლანდელი და ვერც მომავალი მფლობელის მანქანები ვერ გაიჭაჭანებს ჩემს ეზოში.

ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა: თბილისის საოლქო სასამართლო თავისი განჩინებით ამ პრობლემის გადაწყვეტას უზენაეს სასამართლოს სთხოვს. ამაზეა ნათქვამი: ბუს დიდი თავი აქვსო, - და პატარა ვირეშმაკობაცაა, უნდათ მოწმეთა დაკითხვას და თავის უშუალო მოვალეობას, საქმის საფუძვლიან განხილვას თავი აარიდონ...

და ბოლოს: მე მეცამეტე წელია ლოგინს ვარ მიჯაჭვული. ღია წერილების წერაც მხოლოდ ჩემს მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს შეიძლება ეპატიოთ, რადგან აქ ვწევარ და სხვაგვარად არ ძალმიძს.

***პატივისცემით მიხა არაბული, I ჯგუფის ინვალიდი, თავის საკუთარ ეზოში ხეიბრის ეტლით გამოსვლის უფლებასაც რომ არ უტოვებენ***

ნინო I



## მადრიდში უამრავი გოგონა ოცნებობს ბექჰემზე



ნურია ვიქტორიას დევიდის წართმევას უპირებს

არა და აღარ გათავდა ეს ბექჰემომანია. გათავდა კი არა, ყველაფერი ახლა იწყება. ვიქტორია და დევიდი ორი დღით ჩავიდნენ მადრიდში, რასაც საშინელი აჟიოტაჟი მოყვა. წარმოგიდგენიათ, რა მოხდება, როცა "სპაის ბოი" ოჯახთან ერთად საბოლოოდ დასახლდება ესპანეთში? მთელი მადრიდი უდიდესი ინტერესით ელის იმ დღეს, როცა დევიდი პირველად გავა "სანტიაგო ბერნაბეუზე", მოდურ ნივთებზე გადარეული მისი თანამეცხედრე კი მადრიდის მდიდრულ ბუტიკებს ჩამოუვლის და, რაულის, ფიგუს, ზიდანისა თუ რონალდოს მეუღლეების გულის გასახეთქად, ძვირად ღირებული ტანსაცმლით თუ ფეხსაცმლით განაახლებს გარდეროზს. ყველას ძალიან აინტერესებს, როგორ განვითარდება ვიქტორიასა და "რეალის" დანარჩენ ლამაზმანთა ურთიერთობა, როგორ მორიგდებიან "სპაის გერლი" და რაულის მეუღლე მამენ სანსი, ანდა ფიგუს შვედი მოდელი ჰელენე სვიდენი. მოკლედ, ვიქტორიას სწორედ ისევე მოუწევს ბრძოლა ახალ სამყაროში თვითდამკვიდრებისთვის, როგორც დევიდს - "რეალის" ძირითად შემადგენლობაში უცვლელად თამაშისთვის. მართალია, ბექჰემი ინგლისური ფეხბურთის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავია, მაგრამ "რეალს" ვარსკვლავების მეტი რა ჰყავს! მოკლედ, დევიდს და ვიქტორიას წინ სერიოზული გამოცდა ელით.

საბრალო ვიქტორიას თითქოს ეს გამოწვევა არ ეყოფოდა, სრულიად მოულოდნელად ისეთი პრობლემა გამოუჩნდა, რამაც საერთოდ დააკარგვინა მადრიდში ჩასვლის სურვილი. თურმე ნუ იტყვით, მადრიდელი გოგონები უკვე აქედანვე ოცნებობენ დევიდ ბექჰემის ხელში ჩაგდებაზე და ვიქტორიას თამამად უცხადებენ, მანჩესტერში მშვიდად რომ იჯექი და არაფერზე ნერვიულობდი, ის დრო წარსულს ჩაბარდა, მადრიდში დევიდის შენარჩუნება ძალიან გაგიჭირდებაო. ქერათმიანი ინგლისელის ცდუნება ყველაზე მეტად 23 წლის ნურია ბერმუდესს სურს. ეს მწველთვალებიანი შავგვრემანი ფოტომოდელი ესპანეთში ყველაზე სახიფათო ქალად ითვლება. ნურიას ძალიან მოსწონს ფეხბურთელები, განსაკუთრებით კი - "რეალის" სახელგანთქმული ვარსკვლავები. მისი საყვარელთა სია მართლაც რომ შთამბეჭდავია: იკერ კასილასი, ივან ელგერა, მიჩელ სალგადო, რონალდო, ფრანსისკო პავონი, რობერტო კარლოსი... ლამის მთელი "რეალი". ნურიამ ვერაფერი მოუხერხა მხოლოდ ისეთ დიდ მორალისტებსა და ოჯახზე გადაგებულ ფეხბურთელებს, როგორიც რაული, ფიგუ და ზიდანი არიან. რაულისა და ფიგუს მეუღლეები ნურიას არათუ ჩამოუვარდებიან სილამაზით, არამედ ჯობნიან კიდეც. აი, ზიდანის ვერონიკზე კი რა მოგახსენოთ. მიუხედავად იმისა, რომ ვერონიკ ფერნანდეს-რამირესი ახალგაზრდობაში ბალერინა იყო, ნურიას ნამდვილად ვერ აჯობებს. ნურია მასზე ახალგაზრდაცაა და ლამაზიც, მაგრამ ზიდანმა, ალბათ, მაინც ვერ გაბედა ცოლის ღალატი მხოლოდ იმიტომ, რომ ექსცენტრული ვერონიკი ქმარს საქვეყნო სკანდალს მოუწყობდა.

ასეა თუ ისე, ნურიამ ყველა აცდუნა, ვისთანაც კი მოისურვა ურთიერთობის გაბმა. ახლა ბექჰემის ჯერია. ნურია ბერმუდესი არც მალავს, რომ ინგლისელი ფეხბურთელის "შებმა" აქვს გადაწყვეტილი: "მე პირველი ვიქნები იმ ქალთა შორის, ვინც მას მადრიდში შეხვდება. საკმარისია, მხოლოდ ერთხელ შევხედო და..." - უთხრა ნურიამ ინგლისურ გაზეთ "მირორს". ესპანელი მზეთუნახავი დარწმუნებულია, რომ მისი ერთი შეხედვა სრულიად საკმარისი იქნება ბექჰემის გადასარევად. "გეშინოდეს, ვიქტორია, შენ უნდა კანკალებდე ჩემს წინაშე, რომ ოჯახი არ დაგინგრიო", - იმუქრება ნურია. ბექჰემი ჯერ არ ჩასულა მადრიდში, ნურია კი წინასწარ ილოკავს ტუჩებს იმ სიამოვნებისა და სკანდალის მოლოდინში, რასაც მას დევიდის ცდუნება მიანიჭებს. მაგრამ ეს ყველაფერი როდია! ნურია ცოდვიანი ღიმილითა და თვალების ციმციმით უცხადებს ინგლისელ ჟურნალისტებს, რომ როცა ბექჰემი მობეზრდება, მას სიამოვნებით გადაულოცავს სხვებს. "ვერც კი წარმოიდგენთ, რამდენი გოგონაა მადრიდში, რომლებსაც ერთი სული აქვთ, როდის შეხვდებიან დევიდს. მას ძალიან გაუჭირდება ჩვენგან თავის დაცვა", - იცინის ნურია. ესპანელები და ინგლისელები უკვე ნაძლევს დებენ ერთმანეთთან, მოახერხებს თუ არა დევიდი მადრიდელ გოგონებთან გამკლავებას და შეინარჩუნებს თუ არა ვიქტორია თავის ოჯახურ მყუდროებას.

### TV-სპორტი

**ხუთშაბათი. 10 ივლისი**

**НТВ + ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ბრაზილიის ჩემპიონატი. "ინტერნასიონალი" - "ვასკო და გამა"
15:00 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე"
15:30 ესპანეთის ჩემპიონატი. შეჯამება
17:00 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. "რეალი" - "პორტუ"
18:45 "დარტყმა გოლისთვის"
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:15 სახვალიო ტელეპროგრამა
19:25 ბრაზილიის ჩემპიონატი. "ინტერნასიონალი" – "ვასკო და გამა"
21:10 "FUTBOL MUNDIAL"
21:40 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "ოლიმპიკი"
23:25 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "კომო" - "მილანი"
01:10 "FUTBOL MUNDIAL"
01:40 01:40-დან 13-მდე შესვენება
05:35 ბრაზილიის ჩემპიონატი. "ინტერნასიონალი" - "ვასკო და გამა". პირდაპირი ტრანსლაცია.

**НТВ + СПОРТ**
11:00, 17:00, 19:45, 21:30 პრეს-ცენტრი
11:15, 21:45 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 სპორტული ცეკვები. ევროპის ჩემპიონატი ლათინოამერიკულ ცეკვებში
12:45 ველოსპორტი-შოსე. რუსეთის ჩემპიონატი
13:15 ფიგურული სრიალი. შესვენებისას (14:00) პრეს-ცენტრი
16:15 როდეო. "Bull Riders"
17:15 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. საუკეთესო მატჩები
19:15 "ჩქაროსნული სამყარო"
20:00 ისტორია. ჰოკეიში რუსეთის ჩემპიონატები. 2000-2001 სეზონი
21:00 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
22:00 კრივი. მსოფლიო ჩემპიონატი ტაილანდში
00:00 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. ვაჟები. ფინალი. შესვენებისას (01:15) ახალი ამბები

**EUROSPORT**
11:30 ტრიალი
12:00 მძლეოსნობა. სპრინტერები
13:30 ფეხბურთი. მსოფლიო თასის კლასიკა
15:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური ნორვეგიაში
16:30 მძლეოსნობა. სპრინტერები
16:45 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
21:00 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი
22:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი
00:00 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
01:00 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
02:00 ახალი ამბები
02:15 სუმო. გრანდ ტურნირი (ბაშო)
04:15 ახალი ამბები

### Tour de France

# შორია ელისეს მინდვრებამდე

ირაკლი ბერიაშვილი



REUTERS

ინდივიდუალურ-გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებული - "US პოსტალ"-ის გუნდი

გუშინ ორჯერ მოვკარი ყური დაახლოებით ერთსა და იგივე ფრაზას, არმსტრონგი ცუდად გამოდის ტურ დე ფრანსზე, არმსტრონგი წარუმატებლად ასპარეზობს ტურ დე ფრანსზეო.

მე ტურის ოთხგზის ჩემპიონის ადვოკატად არავის დავუყენებივარ, უფრო პირიქით შეიძლება ითქვას, რადგან მისი არც ჰაბიტუსი მომწონს და არც ვირეშმაკური მცდელობა, ყველა დროის საუკეთესო ველომრბოლად გაასაღოს თავი. მაგრამ, მოდი, ეს თემა სხვა დროისთვის გადავდოთ, ახლა კი ისევ იმ ორი დილეტანტის, ესე იგი, მოყვარულის მიერ ნათქვამ ფრაზას დავუბრუნდეთ.

ტურის დაწყებიდან სულ ოთხიოდე დღეა გასული. პელოტონს ჯერ არც ერთი ასე თუ ისე მნიშვნელოვანი გორაკიც არ გადაუვლია, ერთთავად ვაკეზე მიქრის. ფინიშებზე, მცირე გამონაკლისის გარდა, ყველას ერთი და იგივე დრო ეწერება და, როგორც წესი და რიგია, იქ მხოლოდ და მხოლოდ სპრინტერები ანუ პეპლები არკვევენ ურთიერთობას. იმ ორი ფრაზის არც ერთმა მთქმელმა ნამდვილად არ იცის, რომ არმსტრონგებს, ულრიხებს, ინდურაინებს, მერქსებს, პანტანებს ეგეთ ფინიშებზე არაფერი ესაქმებათ. იქ, როგორც უკვე ვთქვი, პეპლები, ის მრბოლები არკვევენ ურთიერთობას, რომელთა ჩამორჩენა ზემოთ ჩამოთვლილ ლიდერებთან ტურის ბოლოს საათებს უტოლდება ხოლმე, ესეც იმ პირობით, თუ ივაჟკაცეს და ელისეს მინდვრებამდე მიაღწიეს.

ტურის დაწყებიდან სულ ოთხიოდე ეტაპია გავლილი და ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს - ორასკაციანი სიის სათავეში წამოსკუპებულ სპორტსმენსა და რიგით მეასეს შორის სხვაობა სულ რაღაც 30 წამია. ასე რომ, არც ამერიკელისა და არც საერთოდ ველოსპორტის ქომაგებს სანერვიულო არაფერი აქვთ – პირველივე აღმართზე ეს უპირატესობა მაისის თოვლივით გადნება. მაგალითად, ფეხბურთში, ჩემპიონატის დაწყებიდან ოთხი ტურის შემდეგ, მეთერთმეტე ადგილზე მყოფ მადრიდის "რეალზე" ნამდვილად შეიძლება თქვა - "წარუმატებლად ასპარეზობსო", მაგრამ ველოსპორტი ფეხბურთი არ არის და არც ტურ დე ფრანსია ესპანეთის ჩემპიონატი. ისე, ერთი მართლა საანეკდოტო, ოღონდაც ნამდვილი ამბავი გამახსენდა. კრივის მწვრთნელი ეუბნება თავის შეგირდს - შენ ეს ჭადრაკი არ გეგონოს, აქ ფიქრია საჭიროო.

და საერთოდაც, დარწმუნებული ვარ, ტურში ვინმე ახალი ტალანტის გამოჩენა ჩემზე ძალიან არავის გაუხარდება, მაგრამ რაღაც წარმატება-წარუმატებლობაზე ლაპარაკი იმ ავადსახსენებელი კარვის ქალების პოლიტიკურ მსჯელობებს მაგონებს. ყოველთვის მინდოდა მეთქვა და ახლა მომეცა კიდეც საშუალება: საქართველოში ფეხბურთი ყველაზე საინეტერესო და რთული სახეობა ჰგონიათ და რადგან ამ სფეროში ყველა შესანიშნავად ერკვევა, როგორღაც ლოგიკურად გამოდის, რომ სხვა სახეობებიც ორჯერ ორივით იციან.

ახლა კი საკუთარ საველოსპორტო მცირე ფიქრებთან და დიდ პრეტენზიებთან დავტოვოთ ეს ჩვენი ორი, ფრანციცულად თუ ვიტყვით, დილეტანტი და საქმეს მივხედოთ.

ეს წერილი თავისუფლად, ასე ვთქვათ, შეკვეთის გარეშე იწერება და ამიტომ თემასაც თვითონ ავირჩევ. ბონიფიკაციებსა და საშუალედო ფინიშებზე მინდოდა მეთქვა ცოტა რამ. ყველაზე საინტერესო თემაზე - ტაქტიკაზე საუბარი კი, ალბათ, მეშვიდე, პირველი მთის ეტაპის წინ უფრო უპრიანი იქნება.

ბონიფიკაცია დამატებითი ჯილდოა, რომელსაც სპრინტერები ფინიშსა და საშუალედო ფინიშებზე იღებენ. ჯგუფური ფინიშის დროს, ესე იგი, მაშინ, როცა ფინიშზე ერთდროულად რამდენიმე ათეული სპორტსმენი მიდის, ყველა მათგანს ერთი და იგივე დრო ეწერება. პრემიას, ანუ ბონიფიკაციას იღებს პირველი სამი სპორტსმენი. ტურ დე ფრანსზე პირველს 12 წამი აკლდება ნაჩვენები შედეგიდან, მეორეს - 8, მესამეს - 4. ამას გარდა, ეტაპის მთელ სიგრძეზე რამდენიმე საშუალედო ფინიშია მოწყობილი. როგორც კი პელოტონი ამ საშუალედო ფინიშებს მიუახლოვდება, ძირითად ჯგუფს რამდენიმე სპორტსმენი გამოეყოფა და კისრისტეხით გაეშურება ხოლმე თეთრი ბრტყელი ხაზისკენ. ამგვარ ფინიშებზე, რადგან ის საბოლოო არ არის, პრემიაც ნაკლებია - პირველს 6, მეორეს 4, მესამეს კი 2 წამი ჩამოაკლდება.

აი, სწორედ ამ პრემიალური წამების გამოა, რომ ნებისმიერი მრავალდღიანის დასაწყისში ლიდერებად სპრინტერები მოგვევლინებიან ხოლმე. მაგრამ ეს დროებითია და, როგორც უკვე ვთქვით, უკვე მეშვიდე ეტაპზე ყველაფერი რადიკალურად შეიცვლება. მთებს მივადგებით თუ არა, სპრინტერები დამნაშავე ბავშვებივით განზე გადგებიან და ჭეშმარიტ მებრძოლებს დაუთმობენ ასპარეზს.

#### ნინო პრიმა

მესამე ეტაპის სტარტი პელოტონმა შარლევილ მეზიერში აიღო. მეჩვიდმეტე საუკუნეში დაარსებული ეს პატარა ლამაზი ქალაქი სისუფთავითა და სიკოხტავით იწონებს თავს. შარლევილ მეზიერი ფრანგული ლიტერატურის ისტორიაშიც შევიდა, როგორც შესანიშნავი ფრანგი პოეტის არტურ რემბოს მშობლიური ქალაქი.

თუ პარიზიდან სტრასბურგში დააპირებთ წასვლას, აუცილებლად შეიარეთ სენ დიზეში, რომელიც ამ ორი დიდი ქალაქის დამაკავშირებელ გზაზე მდებარეობს. ეს მესამე ეტაპის საფინიშო ქალაქიც არის. სენ დიზეს საფრანგეთის აღმოსავლეთის კარიბჭესაც უწოდებენ. ის ოტ-მარნეს დეპარტამენტის უმნიშვნელოვანესი ქალაქია, შამპან-არდენის მხარეში კი სიდიდით მეხუთეა. სენ დიზედან ათიოდე კილომეტრზეა ლაკ-დუ-შანტეკოკი - ევროპის უდიდესი გაუმდინარე ტბა. ვინც არ დაიზარა და ევროსპორტის საშუალებით მესამე ეტაპს მიადევნა თვალი, პელოტონთან ერთად ჩაივლიდა ამ ტბის სანაპიროსთან. სენ დიზე ისტორიული ქალაქიცაა. ცალკეულ უბნებში დღემდეა შემონახული უძველესი შენობები: ემილ მოგის მოედანი მეთექვსმეტე საუკუნისაა, პატარა ქუჩებსა და შუკებს კი ოცდამეერთე საუკუნის ქალაქში შუა საუკუნეების რომანტიკა შემოაქვს.

#### დალიდა

როგორც იქნა, ხმა მოგვაწვდინა ჩვენი ჯგუფის ახალმა წევრმაც. არ ვიცი, როგორ, მაგრამ თვით ლანს არმსტრონგთან გაუხერხებია მცირე, მაგრამ მაინც ინტერვიუ.

"ჩემთვის ნამდვილი ცხოვრება ტურ დე ფრანსზე იწყებაო. აქ ყველაფერია - სიძნელეები, მხიარულება, საფრთხის მოლოდინი და თვით სიკვდილიც კი. როგორ ვაპირებ ამ სამი ათას ხუთასი კილომეტრის გავლას? ვფიქრობ, დავიწყო გუნდის მაისურით, ელისეს მინდვრებზე კი ყვითლით დავასრულო. მეტოქეებზე - ბელოკიზე, ულრიხზე, ჰამილტონსა და კიდევ რამდენიმე ძალიან ძლიერ სპორტსმენზე ვერაფერს ვიტყვი. ერთი კი არის. რეალობა დღეს უფრო რთულია, ვიდრე რამდენიმე წლის წინათ. დრო გადის და, ბუნებრივია, წლიდან წლამდე უფრო ახალგაზრდა ვერ გავხდები. არც ძალა მემატება და, კაცმა არ იცის, ის, რაც მაქვს, საკმარისი იქნება თუ არა ტურის მოსაგებად. პარიზამდე ამას ვერავინ იტყვის, ვერც სხვა და ვერც მე".

#### ირაკლი

მესამე ეტაპი ნაცნობი სცენარით წარიმართა. ორივე გაუბედავი შეტევა მარცხით დასრულდა. როგორც ჩანს, წლეულს პელოტონს გადაწყვეტილი აქვს, მეტიჩრებს ეტაპის მოგების საშუალება არ მისცეს. ფინიშზე კი დავაში კვლავ ჩაერთო ალესანდრო პეტაკი, რომელსაც მეორე ეტაპზე საფინიშო "გარჩევებში" მონაწილეობაზე ავარიებმა შეუშალეს ხელი. იტალიელი კვლავ ყველაზე სწრაფი იყო და ახლა სპრინტერებს შორის ლაურეატობის ყველაზე ნაღდი კანდიდატია.

გუშინ ტურ დე ფრანსის ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური - ინდივიდუალურ-გუნდური რბოლა გაიმართა.

69-კილომეტრიანი ეტაპის სტარტიდან სამ-სამი წუთის ინტერვალით მორიგეობით გადიან გუნდები. თითოეული გუნდის მიერ ნაჩვენები შედეგი მისი ყველა წევრის მაჩვენებელს ემატება და, ამდენად, გასაგები უნდა იყოს მნიშვნელობა, რომელიც ამ ეტაპს ექნება ნებისმიერი ფავორიტისთვის. აქვეა სათქმელი ისიც, რომ მაინცდამაინც ლოგიკური არ უნდა იყოს მთლიანი გუნდის წარმატება-წარუმატებლობის სათითაოდ ყველა სპორტსმენზე, ესე იგი, მის ინდივიდუალურ შედეგზე ჩამოკიდება. უფრო ჭკვიანური იქნებოდა, ამ შედეგის რაღაც კოეფიციენტით კორექტირება, მაგრამ ტურის ფრანგი ორგანიზატორები, მიუხედავად იმისა, რომ შუაგულ ევროპაში ცხოვრობენ, როგორც ჩანს, მაინცდამაინც შორს არ არიან საერთო საქმეების ჩვენებური მკეთებლებისგან.

როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვეს ფავორიტთა გუნდებმა. პირველი იყო ლანს არმსტრონგის "US პოსტალი", მეორე – ხოსება ბელოკის "ონსე", მესამე – იან ულრიხის "ბიანკი".

**ტექნიკური შედეგები**

*III ეტაპი. შარლევილ მეზიერი – სენ დიზე. 167,5 კმ.*

| | |
|---|---|
| 1. ალესანდრო პეტაკი (ფასა ბარტოლო, იტალია) | 3.27.39 |
| 2. რომანს ვაინშტაინი (ვინი კალდიროლა, ლიტვა) | იგივე დრო |
| 3. ოსკარ ფრეირე (რაბობანკი, ესპანეთი) | იგივე დრო |

*IV ეტაპი. ჟონვილი - სენ დიზე. გუნდურ-ინდივიდუალური რბოლა. 69 კმ.*

| |
|---|
| 1. US პოსტალი |
| 2. ონსე |
| 3. ბიანკი |

*საერთო ჩათვლა*

| | |
|---|---|
| 1. ვიქტორ ჰუგო პენა (US პოსტალი) | 13.44.44 |
| 2. ლანს არმსტრონგი (US პოსტალი) | +1 წმ. |
| 3. ვიაჩესლავ ეკიმოვი (US პოსტალი) | +5 წმ. |
| 4. ხორხე ჰინკაპი (US პოსტალი) | იგივე დრო |
| 5. ხოსე ლუის რუბიერა (US პოსტალი) | +23 წმ. |
| 6. რობერტო ერასი (US პოსტალი) | +27 წმ. |

### კრივი

# მაიკ ტაისონი: "გამიხარდება, თუ მოვკვდები!"

## სკანდალური მოკრივე მძიმე დეპრესიაშია

მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი მოკრივე მაიკ ტაისონი რინგზე მიღწეულ წარმატებებთან ერთად სკანდალებითაც იყო ცნობილი. სპორტული წარმატებები წარსულს ჩაბარდა. ახლა ტაისონი უმეტესად უსიამოვნო ინციდენტებით იქცევს ყურადღებას. მასში დაგროვილი აგრესია იმდენად დიდია, რომ "აირონ მაიკი" გარშემომყოფთა სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის.

ახლა კი საქმე იქამდე მივიდა, რომ მაიკ ტაისონი უკვე საკუთარ თავს ერჩის და სიკვდილს უსურვებს...

36 წლის ტაისონი მძიმე დეპრესიაშია, ის თვითმკვლელობაზე საუბრობს. ბულვარული გაზეთი "The Sun" ციტირებას უკეთებს ტაისონის მიერ ერთ-ერთი ამერიკული ტელე-არხისთვის მიცემულ ინტერვიუს. ჟურნალისტთან საუბარში ტაისონი უკმაყოფილოა საკუთარი ცხოვრებით და სიკვდილზე საუბრობს. "არსებობს რამდენიმე ძალიან ბოროტი დემონი, რომელთაც მე ვებრძვი, - ამბობს ტაისონი და დასკვნაც გამოაქვს, – მე მძულს ჩემი ცხოვრება. იმედია, შემდეგი ცხოვრება უკეთესი იქნება. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, თუ რატომ მინდა სხვა სამყაროში გადანაცვლება".

ამერიკის ტელევიზია ამ ინტერვიუს ვიდეოჩანაწერს მომავალ კვირას გადასცემს ეთერში.



"რკინის მაიკი" სიკვდილზე ფიქრობს

ჟურნალისტებმა ორსაათიანი გადაცემა მოამზადეს კრივის ყველა დროის ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონის აღზევებისა და დაცემის შესახებ. გადაცემაში მოკრივის ყოფილი ცოლი, მსახიობი რობინ გივენსიც მონაწილეობს. გივენსი ტაისონთან გატარებულ რვა თვეს იხსენებს და ამბობს, რომ ის ბედნიერია, რადგან მისი ოჯახის წევრები ამ რვა თვის მანძილზე ცოცხლები გადარჩნენ. "ის თითქმის ყოველდღე მცემდა. ერთხელ ტელეფონიც კი მესროლა", - ყვება რობინ გივენსი.

ივლისის ბოლოს ტაისონს ისევ დაიბარებენ სასამართლოში. ამ ცოტა ხნის წინ ის მორიგ სკანდალში გაეხვია, როდესაც ავტოგრაფის გამო ჩხუბი ატყდა და ტაისონმა სამი ადამიანი, მათ შორის ერთი ქალი ცემა.

საკუთარ თავს ტაისონი "მსოფლიოს ყველაზე ცუდ ადამიანს" უწოდებს. მის ამ სიტყვებში ნამდვილად არის სიმართლის მარცვალი. რინგზე ის ნამდვილი გოლიათი იყო, ცხოვრებაში კი ბევრს გაუცრუა იმედები. გაუპატიურებები, ადამიანთა უმიზეზო ცემა-ტყეპა... მისი სკანდალების სია უაღრესად გრძელია.

### ალპინიზმი

## ბიძინა გუჯაბიძე ორდენის კავალერია

ცნობილი ქართველი მთამსვლელი ბიძინა გუჯაბიძე ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით დააჯილდოეს. ბიძინა გუჯაბიძე საზღვრის დაცვის დეპარტამენტში ინსტრუქტორად მუშაობს და ჯილდოზეც ცნობილი მთამსვლელი სწორედ საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა წარადგინა. შეგახსენებთ, რომ ბიძინა გუჯაბიძემ მაისის თვეში მეორედ დალაშქრა მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი ევერესტი.

### კალათბურთი

## ფაჩულია VS ჯეიმსი

მას შემდეგ, რაც ამერიკის ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ლიგას მესამე ქართველიც შეემატა, ქართველი კალათბურთის გულშემატკივრები გასამმაგებული ყურადღებით იმზირებიან ოკეანის გაღმა. ყველა მოუთმენლად ელოდა იმას, თუ როდის შედგებოდა ზაზა ფაჩულიას დებიუტი. გუშინ ზაზა ფაჩულიამ "პეპსის" მიერ ორგანიზებულ საზაფხულო ლიგის მატჩში პირველად მოირგო ორლანდო "მეჯიქის" მაისურა და "კლივლენდის" წინააღმდეგ ითამაშა, ამასთან, ახალ გუნდს 13 ქულით შეეწია. თუმცა, მისი სადებიუტო მატჩი წარუმატებელი გამოდგა. "კლივლენდმა" 107:80 მოუგო ორლანდო "მეჯიქს". კლივლენდი კი ის გუნდია, რომელსაც დრაფტის პირველი ნომერი ლებრონ ჯეიმსი ჰყავს გუნდში. გუშინდელი მატჩი ჯეიმსისთვისაც სადებიუტო იყო. მან მოედანზე 23 წუთი გაატარა და 14 ქულას მოუყარა თავი.

"ორლანდოსა" და "კლივლენდის" მატჩს 15 123 მაყურებელი დაესწრო.

### ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ესპანეთის "ბარსელონამ" ოფიციალური განცხადება გააკეთა მექსიკელ მცველთან, რაფაელ მარკესთან კონტრაქტის გაფორმების თაობაზე. 24 წლის მცველი კატალონიელებმა ფრანკ დე ბურის შემცვლელად მიიწვიეს. ფეხბურთელმა უკვე გაიარა სამედიცინო შემოწმება და გუშინ ოფიციალურად წარუდგინეს მასმედიას. ტრანსფერის დეტალებს არ ახმაურებენ, თუმცა, ესპანური პრესა წერს, რომ ეს ფეხბურთელი "ბარსელონას" 5-7 მილიონი ევრო დაუჯდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ჩელსის" მთავარ მწვრთნელს კლაუდიო რანიერის კლუბის ახალ მეპატრონესთან, რუს საქმოსან რომან აბრამოვიჩთან შეხვედრა სურს.

"არ ვიცი, რაზე ისაუბრეს აბრამოვიჩმა და ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა სვენ გორან ერიქსონმა, მაგრამ დარხეული ხმა ჩემი გადადგომის თაობაზე გუნდში არსებულ მიკროკლიმატზე უარყოფითად მოქმედებს. რაც შეიძლება, მალე უნდა შევხვდე აბრამოვიჩს. ჩვენ ძალიან ბევრი გვაქვს სალაპარაკო და რაც უფრო სწრაფად მოხერხდება შეხვედრა, მით უკეთესი იქნება ყველასთვის", - განაცხადა იტალიელმა მწვრთნელმა.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** რუსი ჩოგბურთელი ანა კურნიკოვა, სულ მცირე, 1 თვით გამოეთიშა აქტიურ სპორტს. ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც კურნიკოვამ ვერ შეძლო ტორონტოს ღია პირველობაში მონაწილეობის გაგრძელება და ორგანიზატორებს თავი მოახსნევინა. ჩოგბურთის სექს-სიმბოლომ ზურგის ტკივილი მოიმიზეზა. კურნიკოვამ მიმდინარე წლის მაისში მიიღო ტრავმა.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** მიმდინარე კვირაში ჩემპიონატში მონაწილე თითქმის ყველა გუნდი ("მინარდის" გარდა) ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში შეიკრიბა და ტესტ-გარბენებს მართავს. პირველ დღეს ტრასაზე მუშაობდნენ ხუთი გუნდის პილოტები. საუკეთესო დრო აჩვენა "ფერარის" ტესტ-პილოტმა ლუკა ბადოერმა. იტალიელმა მთელი დისტანცია უპრობლემოდ დაფარა. "უილიამსის" ტესტ-პილოტი, მარკ ჟენე მას თითქმის 4 წამით ჩამორჩა. გუშინ ამ ტრასაზე შედგა "უილიამსის" საჯინიბოს ახალი ტესტ-პილოტის, ესტონელი მარკო ასმერის დებიუტიც. ახალბედას ურიგოდ არ უასპარეზია - ჟენეს მხოლოდ 5,5 წამი დაუთმო.

■ ■ ■

**ჰოკეი.** გლენ უესლიმ თავისუფალი აგენტის სტატუსით ერთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა "კაროლინასთან". თუ გავითვალისწინებთ ამ ჰოკეისტის ასაკსა და სტაჟს, კონტრაქტი საკმაოდ სარფიანია. უესლი 34 წლისაა და მე-17 სეზონს ჩაატარებს NHL-ში, ანაზღაურებად კი 2,75 მილიონ დოლარს მიიღებს. უესლიმ წინა სეზონი თითქმის ჩაამთავრა "კაროლინას" რიგებში, მაგრამ ბოლოს, გაცვლის წესით, "ტორონტოში" გადავიდა. თუმცა, ამ სეზონში "ტორონტომ" მას კონტრაქტი აღარ გაუგრძელა და ვეტერანი ჰოკეისტიც ძველ კლუბს დაუბრუნდა.

აქტიური კარიერის, ანუ თექვსმეტი სეზონის განმავლობაში გლენ უესლის ანგარიშზე 500 (124+376) ქულაა.

■ ■ ■

**ფრენბურთი.** ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა ბერნარდო რეზენდემ ეჭვქვეშ დააყენა ფრენბურთში მსოფლიო ლიგის ფინალური ეტაპის წილისყრის ორგანიზატორთა მიუკერძოებლობა. ამ ტურნირმა 8 ივლისს, ესპანეთის დედაქალაქში აიღო სტარტი. რეზენდეს თქმით, ამ პრესტიჟული შეჯიბრის ორგანიზატორებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ მასპინძელთა გუნდს ოთხეულში მოხვედრა არ გასჭირვებოდა.

წილისყრის შედეგების მიხედვით, ეგრეთ წოდებულ "სიკვდილის ჯგუფში" მოხვდნენ: მოქმედი ჩემპიონი - რუსეთი, მსოფლიო ლიგის არაერთგზის გამარჯვებული - იტალია, გასული გათამაშების ფინალისტი - ბრაზილია და ევროპის ყველაზე სწრაფად პროგრესირებადი გუნდი - ბულგარეთი.

ესპანელებს კი სერბია-ჩერნოგორიის, ჩეხეთისა და საბერძნეთის ნაკრებ გუნდებთან მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა.

## გოგენი "ნოა ნოაში"




ნანა ბასილაშვილი

ზაფხულის სეზონთან დაკავშირებით, პარლამენტის სესიებით დაწყებული, ბაგა-ბაღით დამთავრებული, თითქმის ყველა და ყველაფერი ისვენებს. ექიმებს, მეპურეებსა და ჟურნალისტებს, სამთვიანი საზაფხულო არდადაგები არ ეხებათ. ჩვენ კი ვმუშაობთ, მაგრამ როცა მხატვრები, რეჟისორები, მუსიკოსები და ა.შ. ძალების აღსადგენად საზოგადოებას დროებით ემშვიდობებიან, ამ დროს პატარ-პატარა პრობლემები გვიჩნდება. გუშინდელ პრესკონფერენციაზე, რომლის შინაარსზეც ქვემოთ მოგიყვებით, ჟურნალისტები ერთმანეთთან მისალმების ნაცვლად იმით ინტერესდებოდნენ თუ ვინ რა მასალას ჩითავდა. თუმცა, ჯერჯერობით არც ისე ცუდადაა საქმე, რადგანაც ჩვენს დედაქალაქში კულტურული ღონისძიებები შიგადაშიგ კვლავაც იმართება.

11 ივნისს, საღამოს 10 საათზე, უკვე პოპულარულ კლუბ "ნოა ნოაში" სტუმრად გოგენთან – 21-ე საუკუნეში გვეპატიჟებიან. "ნოა ნოასთან" ერთად, ამ აქცია-ექსპერიმენტის ორგანიზატორები არიან გალერეა New Art და საფრანგეთის საელჩო. გუშინ, New Art-ში გამართულ პრესკონფერენციაზე დაგვპირდნენ, რომ ეს იქნება სიურპრიზებით აღსავსე უჩვეულო საღამო ფრანგი მხატვრის პოლ გოგენის სამყაროში.

"გოგენ არტ შოუს" მოწყობის იდეა, თავდაპირველად "ნოა ნოას" დაებადა. შესაძლოა, ბევრმა არ იცოდეს, რომ კლუბის სახელწოდება და ლოგო პოლ გოგენის შემოქმედებასთანაა დაკავშირებული. "ნოა ნოა" - გოგენის ავტობიოგრაფიული წიგნის სახელწოდებაა, ლოგოზე გამოსახული ფიგურები კი რომელიც შემდგომში, კლუბის ლოგოტიპად იქცა, მხატვრის ხელნაწერებში "აღმოაჩინეს".

"ჩვენ შევცვალეთ დეტალები, კონტურები არ დაგვირღვევია, ყველაფერი შენარჩუნებულია, მხოლოდ მცირედი ცვლილებები შევიტანეთ. და ვინაიდან გოგენისგან "ვისესხეთ" სახელიცა და ლოგოც, მადლობისა და სიყვარულის გამოსახატად გადავწყვიტეთ ერთი საღამო მისი შემოქმედებისათვის მიგვეძღვნა," - განგვიმარტა "ნოა ნოას" მენეჯერმა ნინო ტყეშელაშვილმა.

იდეის ავტორებს, გალერეა New Art თავისი მიზნების განსახორციელებლად შეუერთდა. "ხელოვნებისა და კულტურის პოპულარიზაციის მიზნით, ახალი მედიებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით გვინდა, რომ მაყურებლის წინაშე კლასიკა თანამედროვე ინტერპრეტაციით წარმოვადგინოთ", - აცხადებს გალერისტი ნინო ყირემაშვილი.

ამავე დროს, კლუბისა და New Art-ის ერთობლივი პროექტი - 7 ივლისს - ფრანგი მხატვრის დაბადების დღესა და ბასტილიის აღების დღეს ეხმაურება.

პრესკონფერენციას მესამე თანაორგანიზატორი, ანუ საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენელი არ დასწრებია, თუმცა როგორც ნინო ტყეშელაშვილმა მითხრა ამ იდეამ საფრანგეთის საელჩოში საკმაოდ დიდი რეზონანსი გამოიწვია. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ საელჩო აქტიურად ჩაება პროექტის განხორციელებაში. ამ უკანასკნელის მიზანია, პოპულარიზაცია გაუწიოს ზოგადად ფრანგულ ხელოვნებას საქართველოში.

"გოგენ არტ შოუ" მაყურებლის წინაშე საკმაოდ საინტერესო პროგრამით წარდგება. სლაიდ-შოუ, ბოდი-არტი, გოგენის თემაზე შექმნილი კოსტუმების დემონსტრირება, ქართულად თარგმნილი ფილმი (ფილმი და აუდიომასალა საფრანგეთის საელჩოს საკუთრებაა), ფრანგულ-აფრიკული რიტმები ცოცხალი შესრულებით. ეს პროგრამის სრული ჩამონათვალი არ გახლავთ. ორგანიზატორები კიდევ რამოდენიმე სიურპრიზს ამზადებენ.

ამ დამაინტრიგებელი პროექტის განხორციელებაში ორგანიზატორებს ქართველი მხატვრები დაეხმარებიან. დათო მელიქიშვილი, გია გუგუშვილი, ოლეგ ტიმჩენკო და სხვები. ამას გარდა პროგრამის მიხედვით წარმოდგენილი იქნება გურამ წიბახაშვილის ფოტოები და დიზაინერ მარინა ნაცვლიშვილის კოსტუმები. აქვე იმასაც გეტყვით, რომ არტ შოუ რეჟისორ დავით დოიაშვილისა და დიზაინერ მიხეილ ქობულაძის კონსულტაციის მიხედვით იმართება.

ორგანიზატორების თქმით, საღამოზე დასასწრები ბილეთის ფასის ღირებულებაში (15 ლარი) შედის კოქტეილი და სიურპრიზი გოგენისაგან. რაღა დაგიმალოთ და ამ უკანასკნელით ძალიან დავინტერესდი.

# "ორერა" სრული სვლით...


რობერტ ბარძიმაშვილი


"ორერა"-ს ოქროს შემადგენლობა

*გამოკითხულთა შორის იმდენად ცოტა იყო ახალგაზრდა, რომელმაც იცოდა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი "ორერა", რომ მათი უცოდინრობის გამო გული დაგწყდებოდა.*

თითქმის უკიდეგანო საბჭოთა სივრცეში ისინი პირველები იყვნენ, რომლებიც ესტრადაზე ერთდროულად მღეროდნენ და უკრავდნენ. "ორერას" წინ საქართველომდე ჩამოღწეული ოთხი ლივერპულელი, გრძელთმიანი ბიჭის ამბავი უძღოდა. "ვინ იფიქრებდა, რომ ეს შესაძლებელი იყო. რობერტ ბარძიმაშვილმა იმდენი რამ გააკეთა ესტრადისთვის, რასაც დღეს ვერავინ შეძლებს" - ამბობს **ბუბა კიკაბიძე** და ასე აგრძელებს საუბარს:

"არანორმალურად შრომისმოყვარე პიროვნება იყო, თავისებური, ძალიან სერიოზული. ყურადღებით იცოდა მოსმენა, მაგრამ გრძნობდი, რომ თან რაღაცაზე ფიქრობდა და ნაფიქრი საქმეც არ ახანებდა. იმდენად სერიოზული იყო, რომ მასთან დაკავშირებით სასაცილოს ვერაფერს ვიხსენებ. "ორერა" პირველი ჯგუფი იყო, რომელმაც საბჭოთა კავშირის სივრცე გარდაქმნა, საესტრადო მუსიკის გზა გაკვალა".

მას შემდეგ, რაც საბჭოთა საქართველოს "ბითლზი" დაეძგერა, რობერტ ბარძიმაშვილი კრებს ჯგუფს: ლენინგრადიდან ორი მუსიკალური ფაკულტეტის კურსდამთავრებულს, თეიმურაზ მეღვინეთუხუცესს, მუსტაფა-ზადეს ცნობილი ტრიოს კონტრაბასისტსა და ვოკალისტს გენო ნადირაშვილს, თეიმურაზ დავითაიას, რომელთან ერთადაც "გეპეის" ლეგენდარულ კვარტეტში მღეროდა, ბუბა კიკაბიძეს, რომელიც "დიელოში" მღეროდა და მეგობრულ წრეში დასარტყამ საკრავებზე უკრავდა და ნანი ბრეგვაძეს. 1967 წელს "ორერას" მოსკოვური კონცერტი, როგორც ბომბი, ისე აფეთქდა.

"ორერას" შემდეგ საბჭოურ სივრცეში ბევრი ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი ჩამოყალიბდა. "რობერტი ერთდროულად საუკეთესო ორგანიზატორი და მუსიკოსი იყო. "ორერას" მსგავსი ანსამბლი მთელ საბჭოთა კავშირში არ არსებობდა და თუ მე მომღერალი ვარ, ეს რობერტის დამსახურებაა" - მოსკოვიდან გვითხრა **ნანი ბრეგვაძემ**.

"ორერამ" ხუთივე კონტინენტი მოიარა.

"ორერა რომ არ ყოფილიყო, მე ესტრადაზე, შესაძლოა, სხვა გზით წავსულიყავი. რობერტი ის ადამიანი იყო, რომლის ხელმძღვანელობა საკუთარ თავში კიდევ უფრო გაჯერებდა" - ამბობს ბუბა კიკაბიძე, რომელიც "მეფაიტონეს" დაბადების ისტორიას იხსენებს: "ეს რობერტის იდეა იყო - ყოფითი შინაარსის სიმღერა, რომელიც ერთნაირად მოეწონებოდა სხვადასხვა გემოვნების მსმენელს, ისევე როგორც ფრანგული შანსონები".

რობერტ ბარძიმაშვილი სიტყვაძუნწი კაცი იყო, ხმაური არ უყვარდა და თავის ღვაწლზე ხომ სიტყვას ვერ დააცდენინებდი. ის არასდროს არ ამტკიცებდა თავის სიმართლეს, მიაჩნდა, რომ ისედაც გასაგები უნდა ყოფილიყო ყველასთვის, ეს ხომ გასაკეთებელიაო, ამბობდა. "მას, ალბათ, ბევრი სატკივარი ჰქონდა და თავის გულში ხარშავდა, ასეთი იყო" – ამბობს ლეგენდარული "ორერას" წევრი ბუბა კიკაბიძე და ხელოვანთა "სისუსტეზე" მიანიშნებს: ბევრი კი არ უნდა ხელოვან ადამიანს, მხოლოდ მოკითხვა: როგორ ხარ?

**დღეს სამ საათზე ლურჯი მონასტრიდან გაასვენებენ რობერტ ბარძიმაშვილს.**

# შერონ სტოუნი კვლავ მარტო დარჩა

### ჰოლივუდურმა ქორწინებამ არ გაამართლა



შარონ სტოუნი და ფილ ბრონშტეინი

ნათია ნინიძე

უკანასკნელი დღეების განმავლობაში ჰოლივუდში და მის ფარგლებს გარეთაც, მსოფლიოს ელიტარულ წრეებსა თუ ჩვეულებრივ, მოკვდავთა შორის, ახალი საჭორაო თემა გაჩნდა. მსოფლიოში ჰოლივუდის კიდევ ერთ წარუმატებელ ქორწინებაზე ალაპარაკდნენ. ამჯერად საზოგადოების ყურადღების ცენტრში კინოვარსკვლავი შერონ სტოუნი და მისი ყოფილი მეუღლე, გაზეთ San Francisco Chronicle-ის მთავარი რედაქტორი ფილ ბრონშტეინი აღმოჩნდნენ.

ჰოლივუდში ხუთწლიანი ქორწინება დაირღვა. ორმოცდახუთი წლის კინოვარსკვლავი შერონ სტოუნი ლოს ანჯელესში საკუთარ სახლში გადავიდა საცხოვრებლად; ორმოცდათორმეტი წლის ბრონშტეინი კი სან ფრანცისკოს ვილაში დარჩა. სად იცხოვრებს წყვილის ნაშვილები როან ჟოზეფ ბრონშტეინი (რომელიც შერონმა და ფილმა ერთად იშვილეს) ჯერჯერობით უცნობია. თუმცა, სამი წლის ჟოზეფი ამჟამად ლოს ანჯელესში იმყოფება. კინოვარსკვლავის წარმომადგენლები ამ ყველაფერთან დაკავშირებით დუმილს ამჯობინებენ. რაც, პრინციპში, გასაგებია - განქორწინება იმდენად მოულოდნელად მოხდა, რომ კომენტარები კი არა, შერონსა და ფილს განქორწინების გასაფორმებლად ადვოკატების დასაქირავებელი დროც კი არ აღმოაჩნდათ.

ჭორებს თუ დავეყრდნობით, ცოლ-ქმარმა განშორება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც შერონ სტოუნი მოსკოვსა და ლონდონში დაგეგმილი გადაღებებიდან (ფილმისთვის "სხვა ლოიალობა") დაბრუნდა. ახალ ფილმში სტოუნი მზვერავის (მსახიობი რუპერტ ევერეტი) მეუღლის როლს თამაშობს. რამდენად იმოქმედა გადაღებებმა განქორწინების გადაწყვეტილებაზე, ალბათ, ფართო საზოგადოებისთვის ამ დღეებში გახდება ცნობილი. საგულისხმოა, რომ ამავდროულად სტოუნი მონაწილეობდა ფილმ "მატყუარების კლუბის" გადაღებებში. ეს კინოსურათი მოგვითხრობს ოჯახურ პრობლემებზე. ოჯახზე, რომელიც სკანდალების გამო დაიშლება, გარკვეული ხნის შემდეგ კვლავ აღდგება. განვითარდება თუ არა სტოუნის პირადი ცხოვრებაც კინოსცენარის მიხედვით, ამაში რამდენიმე ხანში დავრწმუნდებით.

თუ გავითვალისწინებთ, რომ შერონ სტოუნი ყოველთვის ერიდებოდა საკუთარი პრობლემების აფიშირებას, მისი განქორწინება "მოწმენდილ ცაზე" მოულოდნელი აღმოჩნდა ყველასთვის. საკუთარ ცხოვრებაზე საუბრისას, მსახიობს ერჩივნა აფორიზმებით ესაუბრა. ამ "მახვილგონივრული" გამონათქვამებიდან საკმაოდ ცნობილია ერთ-ერთი, მაგალითად ასეთი: "არასდროს დაწვე ტიპთან, რომელსაც შენზე მეტი პრობლემა აქვს". და მართლაც, თუ გადავხედავთ იმ მამაკაცების ჩამონათვალს, ვისთანაც შერონს სასიყვარულო ურთიერთობები აკავშირებდა, შეგვიძლია მივხვდეთ, რამ მიიყვანა მსახიობი ასეთ დასკვნამდე. ეს მამაკაცები კი სხვადასხვა დროს იყვნენ: პროდიუსერი ბობ მაკდონალდი, კინორეჟისორი პოლ ვერხოვენი (მასთან დაკავშირებით სტოუნი ამბობდა: "ჩვენ ხშირად ვჩხუბობდით, როგორც კატა და თაგვი"), მსახიობი მაიკლ დუგლასი.

სტოუნი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, თუ ვის დაუკავშირებდა საკუთარ ბედს. თავის დროზე, მსახიობი საკმაოდ შეძლებული ადამიანი გახდა, მიმართა სპეციალისტებს და დახმარებისთვის ასი ათასი დოლარიც გაიღო, რათა შეერჩიათ მისთვის შესაფერისი მეწყვილე. სტოუნმა თავიდანვე განმარტა, რომ არ სურდა მეუღლე შოუ-ბიზნესის სფეროდან ყოფილიყო, რომ უპირატესობას სამეფო ოჯახიშვილს მიანიჭებდა. სისხლით მეფისწულის ნამდვილად არაფერი ეცხო ფრანგ მილიონერს მიშელ ბენასერს, ადამიანს, რომელიც სტოუნმა მეგზურად აირჩია. "იუმორის პრინცი" – ასე უწოდებდა მსახიობი ბენასერს. მართლაც, იგი იყო ერთ-ერთი იმ იშვიათთაგანი, ვისაც შეეძლო სტოუნის გამხიარულება. არც პირველი ქორწინება გამოდგა იღბლიანი. მაიკლ გრინბურგთან ის ცოტა ხანი ცხოვრობდა. "ჩემთვის ძალიან მძიმე იყო განშორება, მაგრამ ამის მოთმენაც აღარ შეიძლებოდა. ისე გამოდიოდა, რომ მე მაიკლის ნერვებზე ვთამაშობდი".

"ნამდვილ მამაკაცებს გონება უფრო მტკიცე უნდა ჰქონდეთ, ვიდრე პენისები", - ეს ცხოვრებისეული დასკვნაც შერონ სტოუნს ეკუთვნის. ამ ხმამაღალი განცხადების შემდეგ არ გასულა დიდი დრო, რომ მსახიობმა საკუთარი ცხოვრება ინტელექტუალს, საკმაოდ მდიდარ ბრონშტეინს დაუკავშირა. ფილ ბრონშტეინი მეტსახელად "ელ მაჩო", ცნობილია ვიწრო წრეებში თავისი კოვბოური ფეხსაცმლებითა და საკუთარ თავზე შეყვარებული ადამიანის მანერებით. სახელი გაითქვა, როდესაც ზღაპრული ფეხსაცმლის კოლექციის მეპატრონე გახდა. სტოუნთან დაქორწინების პირველ წელს ბრონშტაინმა ინფარქტი გადაიტანა. მალე მათ ვაჟიც იშვილეს და წყვილის ცხოვრებაში თითქოს ყველაფერი რიგზე იყო.

ორი წლის წინათ ფილი სერიოზულად გაიტაცა ვინმე სარა სტებილმა. "ფიარის" სპეციალისტმა. ასაკით იგი ბრონშტეინს შვილად ეკუთვნოდა. "მე ცოლიანი ვარ... თუმცა, მინდა გავსინჯო რაღაც ახალი", - ასე პასუხობდა ბრონშტეინი ცნობისმოყვარე კოლეგებს. ეტყობა, უფრო ამ არასასიამოვნო დეტალის დაფარვის გამო, ორი წლის წინათ ბრონშტაინი სტოუნს ახლდა ვენეციის კინოფესტივალზე. ვიდრე მსახიობი რეპორტიორების წინაშე პოზიორობდა, როგორც "დეილი ტელეგრაფის" ჟურნალისტი ამბობდა, ბრონშტეინი მთლად კარგად ვერ გრძნობდა თავს. ერთი წლის შემდეგ შერონ სტოუნმა კიდევ ერთხელ მოიწადინა საზოგადოება დაერწმუნებინა, რომ მის ირგვლივ ყველაფერი კარგადაა: "მე აბსოლუტურად ბადნიერი მეუღლე ვარ. ფილი ჩემთვის ყველაზე ახლობელი ადამიანია".

ახლა კი, როდესაც ყველაფერი დასრულდა, შესაძლოა, ძალაში შევიდეს სტოუნის მესამე მცნება, რომელიც მსახიობმა ასევე ცხოვრებისეული გამოცდილების წყალობით ჩამოაყალიბა: "მამაკაცი მხეცია, რომელიც აუცილებლად უნდა მიიჩვიო".

# ფრექ ნასტის მუსიკალური ჰიპნოზის ქვეშ

### ლონდონური ღამე "აჭარა მიუზიკ ჰოლში"


ფრექ ნასტი მუშაობს



ვერა ნეფარიძე

*მსგავსი სიამოვნება არ განუცდიათ თბილისელ "კლუბერებს" მშობლიურ ქალაქში. ეს იყო ყველაზე ნოვატორული მუსიკისა და საერთოდ, საკლუბო ხელოვნების წარმოდგენის საუკეთესო მაგალითი. გუშინ ღამე "აჭარაში" (როგორც ეძახიან ხოლმე "აჭარა მიუზიკ ჰოლს" შემოკლებით) გათენებამდე შეუსვენებლად ცეკვავდნენ. თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ დი-ჯეი ფრექ ნასტის წარმატებულ გამოსვლებს კუალა ლუმპურის აეროპორტში, ნევადის უდაბნოსა თუ ლონდონის წამყვან კლუბებში თბილისიც შეემატა. ეს მოხდა პირველად "აჭარა მიუზიკ ჰოლში", თბილისის მეგაკლუბში, ღონისძიებაზე, რითაც საქართველოში ბრიტანეთის საკონსულომ ათწლიანი მოღვაწეობა აღნიშნა.*

თავიდანვე მოსალოდნელი იყო, რომ ეს არ იქნებოდა ჩვეულებრივი საღამო, თუნდაც ისეთი, როგორიც იმართება ხოლმე "აჭარა მიუზიკ ჰოლში" სხვადასხვა მოწვეული სტუმრების წყალობით. არ იქნებოდა სხვების მსგავსი ძალიან მარტივი მიზეზის გამო – ასეთი რანგის საკლუბო მუსიკალური წამყვანი ჩვენთან ჯერ არ გამოსულა. დი-ჯეი ფრექ ნასტი ამჟამად თავისი შემოქმედების მწვერვალზეა და თუ ეს აქამდე სხვებისგან მოსმენით, წაკითხულიდან ან ბოლოს და ბოლოს, თითო-ოროლა ჩანაწერიდან ვიცოდით, გუშინ ღამით ამ ყველაფერში თავადვე დავრწმუნდით. თუმცა, ვიდრე ნასტი და ცოცხალი ვიზუალური ეფექტების პროექტი Raya-ს ოსტატები საქმეს შეუდგებოდნენ, "აჭარაში" ძალიან ჩამოცხა...

სამშაბათს ღამით "აჭარა მიუზიკ ჰოლში" იშვიათი ხალხმრავლობა იყო. გადაჭარბებული ნამდვილად არ იქნება, თუკი უფრო დავაზუსტებთ და ვიტყვით, რომ კლუბის საკმაოდ დიდი ფართობი (ჰოლი, რესტორნის ნაწილი, შესასვლელი და დარბაზი) გადაჭედილი იყო ხალხით. საქმე იმაშია, რომ საღამოს ორგანიზატორმა, საქართველოში ბრიტანეთის საკონსულოს წარმომადგენლობამ საოცარი ხელგაშლილობა გამოიჩინა და ბრიტანელი საკლუბო ოსტატების საღამოზე ყველა დაპატიჟა, ვისზედაც კი ხელი მიუწვდებოდა. ვის არ შეხვდებოდით აქ, სხვადასხვა ტიპის საქმოსნებიდან და არასამთავრობო სექტორით დაწყებული - ხელისუფლების წარმომადგენლებისა და მინისტრებით დამთავრებული; აღარაფერს ვიტყვი მასმედიის თანამშრომელთა რაოდენობასა და სტატუსის მრავალფეროვნებაზე, ასევე თბილისში გარკვეული თუ გაურკვეველი მიზნებით მყოფ უცხოელებზე.

ასეთ ხალხმრავლობას იმ საღამოს დიდი უპირატესობა აღმოაჩნდა – სხვაგვარ პირობებში მეტად გაჭირდებოდა საათნახევრის (საღამო სწორედ ასეთი დაგვიანებით დაიწყო) გაყვანა. აუდიტორიის ინტერესი კი იმდენად დიდი აღმოჩნდა მოსალოდნელი კონცერტისადმი, რომ სტუმართა ნაკადი კი არ იკლებდა, არამედ – პირიქით. თუმცა, აუდიტორიამ სტუმარს დაგვიანება აპატია კი არა და დი-ჯეის მუშაობის დაწყებიდანვე წყენა არც გახსენებია. თავად ფრექ ნასტი კი თავისი საქმის ერთგული აღმოჩნდა – დი-ჯეიმ საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში არც თვითონ შეისვენა და, რაც მთავარია, დარბაზში მყოფებსაც არ მისცა ამის საშუალება. ისხდნენ მხოლოდ ცეკვისგან ღონემიხდილები. ისე, ვინც ნასტის ბიოგრაფიული ცნობები ასე თუ ისე იცოდა, მისი ასეთი მოზღვავებული ენერგიულობა დიდად არ გააკვირვებდა. სხვანაირად ხომ ვერ შეძლებდა დი-ჯეი ერთდროულად ყოფილიყო დი-ჯეი (როგორც კლუბებში, ასევე რადიოსადგურში) და პროდიუსერიც.

თბილისური "ლონდონის კლუბის საღამო"-ს კიდევ ერთი ხიბლი ჰქონდა - ვიზუალური გაფორმება. თბილისში, ალბათ, პირველად გაიმართა ასეთი სრულყოფილი, დასავლური სტანდარტის საკლუბო ღონისძიება, სადაც მუსიკაც და ვიზუალური გაფორმებაც მკაცრ მოთხოვნილებებს პასუხობდა. ჩვენთვის მეტი სიახლე იყო გამოყენებული ცოცხალი ვიზუალური ეფექტები, რომელიც ცნობილმა კოლექტივმა Raya-მ შემოგვთავაზა. ბრიტანელმა ოსტატებმა აქაურ აუდიტორიას თბილისში სახელდახელოდ დამზადებული მასალა, ვიდეო და სამგანზომილებიანი ინსტალაციები წარმოადგინეს. Raya ლონდონის თანამედროვე ხელოვნების ინსტიტუტში ჩამოყალიბდა და მოკლე ისტორიის მიუხედავად უკვე საკმაოდ კარგად არის ცნობილი ცოცხალი ვიდეომიქსის მოყვარულთა შორის. მათი გამოსვლების სიაშია არაერთი ცნობილი მუზეუმი, საკონცერტო დარბაზი და კლუბი. ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია აღვნიშნო, რომ 2000 წელს Raya-მ მონაწილეობა მიიღო თანამედროვე მუსიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან, გლასტონბერის ფესტივალში.

არანაკლებ საყურადღებოა, რომ ბრიტანელების სტუმრობა ამით არ ამოწურულა. გუშინ Raya-ს ვიჯეებმაც და ფრექ ნასტიმაც ქართველი დაინტერესებული პირებისთვის "აჭარა მიუზიკ ჰოლში" ვორქშოპი გამართეს. და კიდევ ერთი: როგორც ბრიტანეთის საკონსულოს წარმომადგენლები გვპირდებიან, მათ კიდევ არაერთი მსგავსი მუსიკალური ღონისძიებების ორგანიზება აქვთ ჩაფიქრებული.

## TV პროგრამა
10 ივლისი

### რუსთავი - 2
07.00 [illegible] 07.30 [illegible] 09.40 [illegible] 10.20 [illegible] 11.10 [illegible] 12.00, 15.00 [illegible] 12.15 [illegible] 13.30 [illegible] 15.20 [illegible] 17.30 [illegible] 18.00, 21.00, 02.00 [illegible] 18.20 [illegible] 18.50 [illegible] 19.40 [illegible] 22.00 [illegible] 22.50 [illegible] 00.10 [illegible] 00.40 [illegible]

### პირველი არხი
07.30 [illegible] 09.45 [illegible] 10.10 [illegible] 10.25 [illegible] 12.00, 15.00, 20.00 [illegible] 12.15 [illegible] 13.00 [illegible] 14.00 [illegible] 16.30 [illegible] 17.00 [illegible] 17.25 [illegible] 18.00 [illegible] 18.20 [illegible] 18.35 [illegible] 18.55 [illegible] 19.20 [illegible] 21.05 [illegible] 22.15 [illegible] 22.35 [illegible] 23.00 [illegible] 00.00 [illegible]

### პირველი სტერეო
08.00 [illegible] 09.00 [illegible] 12.00 [illegible] 14.00 [illegible] 16.00 [illegible] 18.00, 19.15 [illegible] 19.00, 20.00, 21.00, 22.00 [illegible] 19.30, 20.15 [illegible] 20.50 [illegible] 21.15 [illegible] 22.35 [illegible] 23.00 [illegible] 00.00 [illegible] 02.00 [illegible] 03.45 [illegible]

### მეორე არხი
[illegible]

### კავკასია
[illegible]

### იბერია
[illegible]

### მეცხრე არხი
[illegible]

### იმედი
[illegible]

### [illegible]
[illegible]

### VII არხი
[illegible]

### ОРТ
**07.00** „Доброе утро!“ **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.15, 21.00 Сериал „Земля любви, земля надежды“ 11.05 Худ.фильм „Королева Марго“ 12.05** „Шутка за шуткой“ **12.35** Дисней-клуб: „Базз и его команда“ **13.15 Комедия „Королевская регата“ 14.55** Док.сериал „Дикие штучки“ **15.25** „Пока все дома“ **16.20** „Кумиры“. И.Кириллов **16.55 Худ.фильм „Кукла“ 18.00** „Большая стирка“ **19.25 Сериал „Герой нашего племени“ 19.55 Худ.фильм „За кулисами“ 22.00, 00.30** „Время“ **22.35 Худ.фильм „Ледниковый период“ 23.40 Сериал „Шпионка“ 01.00** „Арктическая Троя“ **01.30** „Гении и злодеи“ **02.00 Триллер „Предложение“**

### РТР
**06.45** „Доброе утро, Россия!“ **09.45, 21.55 Сериал „Если невеста ведьма“ 10.40 Сериал „Тени исчезают в полдень“ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** Вести **12.20** „Короткое замыкание“ **13.20 Детектив „Марш Турецкого“.** „Ошейники для волков“, 1 с. **14.15** „Экспертиза“ **14.30** „Вся Россия“ **14.45** Вести - Москва **15.20** „Что хочет женщина“ **16.10 Сериал „Московские окна“ 17.15 Сериал „Простые истины“ 17.45** „Экспертиза“ **18.20, 20.50** Вести. Дежурная часть **18.50, 03.10** „Дорожный патруль“ **19.05** Вести - Спорт. **19.20, 21.30** Местное время. Вести - Москва **19.50 Сериал „Комиссар Рекс“ 21.50** „Спокойной ночи, малыши!“ **22.55 Детектив „Марш Турецкого“.** „Ошейники для волков“, 2 с. **00.20 Худ.фильм „Смешная девчонка“ 03.30 Сериал „Сеть“ 04.20 Сериал „Дживс и Вустер“**

### НТВ
**07.00** Утро на НТВ **10.10 Сериал „Жил был я...“ 11.00** „Сегодня утром“ **11.25** „Растительная жизнь“. Л.Нарусова **12.05** „Кулинарный поединок. Завтрак для смелых“ **13.00, 16.00, 18.00, 20.00** „Сегодня“ **13.30** Ток-шоу „Страна Советов“ **14.35 Сериал „След оборотня“ 15.45** „Криминал“ **16.35** „Принцип „Домино“. „Профессия проститутка“ **18.30 Сериал „Скорая помощь 2“ 19.25** „Очная ставка“. „Страшная находка“ **20.35 Сериал „Улицы разбитых фонарей“ 21.50 Сериал „След оборотня“ 23.00** „Страна и мир“ **23.30 Сериал „Клан Сопрано“ 00.40 Сериал „Улицы разбитых фонарей“ 01.50** „Сегодня“ **02.15** „Гордон“ **03.15** „Кома“

# საკუთარი სახლი - პრეზიდენტის ციხესიმაგრე

თეთრ სახლში ცხოვრება უზრუნველია. პრესტიჟულია. მდიდრულია. თუმცა, ეს ბედნიერი პერიოდი მაქსიმუმ რვა წელს გრძელდება. შემდეგ თითოეული პრეზიდენტი "ექსი" ხდება და ახალი "ფერის" სახლთან შეგუება უწევს. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული შოკი ძალიან ძლიერი რომ არ იყოს, პრეზიდენტები თეთრ სახლში ცხოვრებისთანავე იშენებენ ბუდეს, რომელსაც საკუთარი ჰქვია და რომელიც საპრეზიდენტო ვადებს არასდროს ექვემდებარება.

სამწუხაროდ, ბილ კლინტონმა თავისი მუდმივი ბუდის ძებნა საკმაოდ გვიან დაიწყო – როდესაც თეთრი სახლის დატოვებამდე ძალიან ცოტა დრო რჩებოდა და რომ არ აჩქარებულიყო, ჩემოდნებით კარდაკარ სიარული მოუწევდა. ჩაპაკუას ვილა, ნიუ იორკის ვესტჩესტერის ლამაზ და მყუდრო უბანში მან 1999 წელს შეიძინა. ეს კოლონიალური სტილის (მე-18 საუკუნის) დიდი სახლი კლინტონისთვის ნამდვილ ციხესიმაგრედ იქცა. სახლს ხუთი საძინებელი ოთახი, საცურაო აუზი, სპორტული დარბაზი და მწვანეში ჩაფლული ეზოც აქვს, სადაც ავტოავარიამდე ხშირად დარბოდა კლინტონის საყვარელი ძაღლი ბადიც...


აშშ-ს პირველი პრეზიდენტის მამული - მაუნტ ვერნონი

უფრო გაუმართლა ჯორჯ ბუშს, რომელიც საკუთარ მამულს ჯერ კიდევ თეთრ სახლში გადასახლებამდე ფლობდა. უზარმაზარი რანჩო და ფერმა კაქტუსებიან კროუფორდში პრეზიდენტისთვის დღემდე უსაყვარელეს ადგილად რჩება. მეტიც, თეთრი სახლის ოფიციალურ ფუფუნებაზე მეტად მას სწორედ რანჩოს თავისუფლება მოსწონს – თავისი ცხენებით, დიდი ჯიპით, კოვბოის ჩექმებითა და ვრცელი მინდვრებით. საკუთრების განცდა ყოფილ ბიზნესმენ ბუშში იმდენად ძლიერია, რომ ის უცხო ქვეყნების ლიდერებთან ოფიციალურ შეხვედრებსაც ხშირად სწორედ თავის ტეხასურ მამულში მართავს. და მართლაც – სად თეთრი სახლის მდიდრული და ოფიციალური პრესოთახი, და სად კროუფორდის სუფთა ჰაერზე, ხის საჯინიბოს ფონზე გამართული ბრიფინგი...


თომას ჯეფერსონის საყვარელი რეზიდენცია "მონტიჩელო"

უძრავი ქონებისადმი სიყვარული კლინტონსა და ბუშს თავიანთი დიდი წინაპრებისგან მოსდგამთ. მაგალითად, ჯორჯ ვაშინგტონი მაუნტ ვერნონის მამულზე გიჟდებოდა, აბრაამ ლინკოლნს თავისი ხის ქოხი ერჩივნა ყველაფერს, თომას ჯეფერსონს კი – მონტიჩელოს საკუთარი პროექტით აშენებული სახლი. დღეს ამერიკის დამფუძნებელი მამების სახლები მუზეუმებად არის გადაკეთებული. სანამ ჯორჯ ბუშის კაქტუსებიანი მამულიც ისტორიის კუთვნილება გამხდარა, ჟურნალ "ფორბსის" მიმომხილველები მაუნტ ვერნონსა და მონტიჩელოს მამულებს სტუმრობენ და ამტკიცებენ, რომ ძველი პრეზიდენტებიც ძალიან დახვეწილ და გემოვნებით აშენებულ მამულებში ცხოვრობდნენ.

დავიწყოთ ჯორჯ ვაშინგტონით, რომელიც იმავე "ფორბსმა" ამერიკის უმდიდრეს პრეზიდენტად აღიარა. მას მაუნტ ვერნონის სახლი ნახევარ-ძმისგან მემკვიდრეობით ერგო. თავიდან მამული მხოლოდ 2 ათას აკრზე იყო გადაჭიმული, მაგრამ დროთა განმავლობაში პრეზიდენტმა კიდევ 8 ათასი აკრი დაამატა. მისი გარდაცვალების შემდეგ სახლი ვაშინგტონის ძმისშვილმა გაყიდა. 1853 წლიდან კი მაუნტ ვერნონის ქალთა ასოციაციამ აშშ-ს პირველი პრეზიდენტის სახლის მუზეუმად გადაკეთება განიზრახა. მალე იგივე ბედი ხვდა წილად ტომას ჯეფერსონისა და ჯეიმს მედისონის სახლებსაც. ეს რეზიდენციები დღეს მუზეუმების სახით "ცხოვრობენ" და თავი კერძო შემოწირულობისა თუ სუვენირების მაღაზიების წყალობით გააქვთ.

ისტორიული შენობაა 1681 წელს აშენებული სახლიც ქუინზში, მასაჩუსეტსის შტატში, რომელშიც აშშ-ს მეორე პრეზიდენტი, ჯონ ადამსი დაიბადა და გაიზარდა. მამული წლების განმავლობაში ფართოვდებოდა და იმ დროს, როდესაც ადამსი დაიბადა, ის უკვე 11 შენობას შეიცავდა. დღეს ადამსების ნაციონალურ ისტორიულ პარკში შედის ის შენობაც, რომელშიც ადამსის ვაჟი და აშშ-ს მეექვსე პრეზიდენტი ჯონ ქუინზი ადამსი მოევლინა ქვეყანას, ასევე "ძველი სახლი" – ადამსების ოთხი თაობის უცვლელი საცხოვრებელი ადგილი და ეკლესია, სადაც ორი პრეზიდენტი და მათი მეუღლეები არიან დაკრძალულნი.



ბრიფინგი საკუთარ რანჩოზე

ცალკე ისტორიაა თომას ჯეფერსონისა და მონტიჩელოს მამულის ურთიერთობა. ამ სახლის შენება საკუთარი დიზაინით მან 1769 წელს დაიწყო და 1809 წლამდე – პრეზიდენტობის მეორე ვადის დასრულებამდე ვერ დაამთავრა. ჯეფერსონს თავისი ქმნილება ყველაფერს ერჩივნა. სახლის კეთილმოსაწყობად და გასაფართოვებლად არც ვალების აღებას ერიდებოდა. ბოლოს საქმე იქამდეც მივიდა, რომ გარდაცვალების შემდეგ ქალიშვილს, მართას სახლთან დაკავშირებული 107 ათასი დოლარის ოდენობის ვალი დაუტოვა. მართა ჯეფერსონიც იძულებული გახდა, მამის საყვარელი მამული გაეყიდა. თუმცა, პრეზიდენტის რეზიდენცია ისტორიას თითქმის უცვლელი სახით მაინც შემორჩა. დღეს უზარმაზარ ტერიტორიას, რომელზეც ფერმები, ბაღები, ქსოვილის ქარხანა და წისქვილებია განლაგებული, ჯეფერსონის ფონდი ფლობს და განაგებს კიდეც.

აშშ-ს მეოთხე პრეზიდენტი ჯეიმს მედისონი ცხრა წლის იყო, როდესაც მონპელიეს მამულში გადასახლდა. ის შეიცავდა ფერმას, სახლს და მონებისთვის განკუთვნილ თავშესაფრებს. თუმცა, წლების განმავლობაში მედისონის სახლი მთელ ვირჯინიაში ულამაზესი გახდა. მას არქიტექტურული თვალსაზრისით ბადალი არ მოეძებნებოდა. მედისონი მონპელიეს მამულს კარგა ხანს ფლობდა. მისი გარდაცვალების შემდეგ უძრავ ქონებას დაქვრივებული პირველი ლედი უვლიდა. 1983 წელს კი დიუპონების ოჯახმა ადამსების ულამაზესი შენობა ისტორიის დაცვის ნაციონალურ ფონდს გადასცა. და ისიც, მაუნტ ვერნონის, მონტიჩელოსა და ქუინზის სახლებთან ერთად, ისტორიის კუთვნილება გახდა.

ასე რომ, თეთრი სახლის უზრუნველი აურა აშშ-ს არც ერთი პრეზიდენტისთვის არ ყოფილა საკმარისი. დამფუძნებელი მამებიდან დაწყებული უმცროს ბუშამდე საკუთარი სახლი თითოეული პრეზიდენტისთვის ყველაზე დიდ და უსაფრთხო ციხესიმაგრედ რჩება.

# ბაღდადის მუზეუმში ექსპონატების რესტავრაცია დაიწყო

ერაყის ნაციონალურ მუზეუმში უკვე აშკარად ალაპარაკდნენ ომით გამოწვეულ დანაკარგზე. მუზეუმის დირექტორმა ნავალაალ მუთავალიმ ლონდონში ამ საკითხთან დაკავშირებით პრესკონფერენციაც გამართა, რომელზეც განაცხადა, რომ ერაყში საომარი მოქმედებების შემდეგ მაროდიორებმა მუზეუმის საცავიდან 13 ათასამდე ექსპონატი გაიტაცეს. გატაცებულ ნივთებს შორისაა სტატუეტები, თიხის ნაკეთობები, ქვები უძველესი წარწერებით და მრავალი სხვა.

საგამოფენო დარბაზებიდან 47 ექსპონატი დაიკარგა, მათგან 7 განსაკუთრებულ ფასეულობას წარმოადგენს. მუთავალის თქმით, მდგომარეობა, შესაძლოა, უფრო მძიმეც იყოს, რადგანაც მუზეუმის თანამშრომლებს საცავების სრული შემოწმება ჯერ არ დაუმთავრებიათ. მუზეუმის ინვენტარიზაცია ამ ცოტა ხნის წინ დაიწყო, მხოლოდ მას შემდეგ, რაც მუზეუმმა ელექტროგენერატორი მიიღო. მანამდე საცავებში დენი არ იყო და ამიტომ მათი დათვალიერება შეუძლებელი გახლდათ.

ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა მუზეუმს 1500 ექსპონატი დაუბრუნეს. ეს ის ნივთებია, რომლებიც მათ სამხედრო ოპერაციების დროს გაიტანეს ნაციონალური მუზეუმიდან. როგორც ერაყელები ამბობენ, მათი საქციელი ექსპონატების დაცვას ისახავდა მიზნად - მათ გადაწყვიტეს სახლებში შეენახათ ეს ნივთები მანამ, სანამ მუზეუმი სათანადოდ არ იქნებოდა დაცული. მუზეუმის გარდა, ძალიან დაზიანდა ის ადგილები, სადაც არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობდა. ამერიკელი არქეოლოგის - ელიზაბეტ სტოუნის თქმით, ეს ადგილები გაძარცულია (სხვათა შორის, გასაკვირია, რატომ დარჩა ხელუხლებელი ბაბილონი და ური). უფრო მეტიც, სამწუხაროდ, რამდენიმე ადგილას საერთოდ ის ნანგრევები, სადაც არქეოლოგები გათხრებს აწარმოებდნენ. ერაყის ომმა მსოფლიო არქეოლოგიას უდიდესი ზიანი მიაყენა.

შემოდგომაზე ბაღდადში საერთაშორისო სპეციალისტების ჯგუფს ელოდებიან, რომელიც გადარჩენილი ძეგლების რესტავრაციას დაიწყებს. თუმცა, სპეციალისტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ, სამწუხაროდ, ყველა ექსპონატის აღდგენა, ალბათ, შეუძლებელი იქნება.

ბაღდადის აღების შემდეგ არქეოლოგებმა და ისტორიკოსებმა კრიტიკის ქარცეცხლში გამოატარეს კოალიციის ძალები იმის გამო, რომ მათ ვერ მოახერხეს ისტორიული ფასეულობების გადარჩენა და ბევრი ხელოვნების ნიმუში უკვე ქვეყნის გარეთ, ბაღდადიდან კარგა მოშორებით აღმოჩნდა.




ქ. თბილისის უსინათლო ბავშვთა რესპუბლიკური საშუალო სპეციალური სკოლა-ინტერნატი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას მოსამზადებელ კლასში 2003-2004 სასწავლო წლისათვის

სწავლება ქართულ ენაზეა. სწავლების პერიოდში მოსწავლეები სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე იმყოფებიან.

საშუალო განათლების მიღებასთან ერთად მოსწავლეები ეუფლებიან ჯაგრისების დამზადებასა და მასაჟისტის პროფესიას, რის შემდეგაც ენიჭებათ მე-3 და მე-4 თანრიგის ოსტატისა და მედიცინის დისკვალიფიკაცია ჯანმრთელობის დაწესებულებებში მუშაობის უფლებით.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ: ქ. თბილისი, ისანი-სამგორის სახ. რაიონი, გუთნის ქ. №6 (მეტრო ავლაბარსა და სასტუმრო „მეტეხს“ შორის).

ტელეფონები: 77-14-83, 77-32-33, 77-32-10




წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდსასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთწვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის

ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.